

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Shota Rustaveli Theatre and Film
Georgian State University

**სახელოვნებო მეცნიერებათა
ძიებანი**

№ 2 (98), 2025

ART SCIENCE STUDIES



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2025

ISSN 2720-8109 (web)

ISSN 1512-4215 (print)

UDC(უაკ) 7(051.2)

ს-364

სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი # 2 (98), 2025

სარედაქციო საბჭო:

ლელა ოჩიაური

კინომცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

ნათო გენგიური

ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

გიორგი ცხიტიშვილი

თეატროლოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ამავე უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

რევაზ ჟიჟინაძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების პროფესორი

ნიკო კვარაცხელია

საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

ხათუნა დამიძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქორეოლოგი, ამავე უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ლიტერატურული რედაქტორი
თაშთა ქაჭანია

ტექნიკური რედაქტორი
ია ლოდია

დამკაბადონებელი
ეკატერინე ოქროპირიძე

კორექტორი
მანანა სანადირაძე

გამომცემლობის ხელმძღვანელი
მეკა ჰასაძე

Art Science Studies #2 (98), 2025

Editorial Board:

LELA OCHIAURI

Film critic, Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University

NATO GENGIURI

Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

GEORGE TSKITISHVILI

Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University, Director of Dimitri Janelidze Scientific Research Institute of the same university

REVAZ CHICHINAZE

Professor of Media and Mass Communication Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

NIKO KVARATSKHELIA

Professor of school of business, computing and social sciences in St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

KHATUNA DAMCHIDZE

Choreologist, Dr. of Arts, Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University, Researcher of Dimitri Janelidze Scientific Research Institute of the same university

Literary Editor
TAMTA KAJAIA

Technical Editor
IA LODIA

Book Binding
EKATERINE OKROPIRIDZE

Proofreader
MANANA SANADIRADZE

Head of Publishing House
MAKA VASADZE

კრებულიათვის მოწოდებული მასალა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამეცნიერო აპარატით. თან უნდა ახლდეს მონაცემები ავტორის სამეცნიერო კვალიფიკაციის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე ნაშრომის ინგლისურენოვანი რეზიუმე.

კრებულის სტამბური გამოცემა ეგზავნება სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით ცენტრს.

ნაშრომები მოგვაწოდეთ და ცნობებისათვის მოგვმართეთ: 0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #40, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი.

ტელ/ფაქსი: +995 (32) 2999411 (240)
მობ: +995 (77) 288 762
+995 (93) 628 884

E-mail: kentavri@tafu.edu.ge
Web: www.tafu.edu.ge

Materials supplied for the volume should be provided with corresponding scientific appliance. Paperwork concerning author's academic qualification and summary of work should be attached in Georgian and English languages.

Printed version of the volume is sent out to various international research centers.

Works should be supplied under the following contact:
0102, Tbilisi, Davit Agmashenebeli Avenue #40, Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University, Second Block

Tel/Fax: +995 (32) 2999411 (240)
Mob: +995 (77) 288 762
+995 (93) 628 884

E-mail: kentavri@tafu.edu.ge
Web: www.tafu.edu.ge

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2025
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House „Kentavri“, 2025

სარჩევი

კინომცოდნეობა

მერაბ ურუშაძე
ბგერითი თერაპია კინოხელოვნებაში -----12

მედიის კვლევები

მირიან ორაგველიძე
თელესერიალის ფუნქციური თავისებურებები
ინფორმაციულ საზოგადოებაში -----28

ხელოვნების მკვლევართა XVII საერთაშორისო კონფერენციის თავისუფალი სექციების მასალები

თეატროლოგია

დალი მესაბლიშვილი
სათეატრო ხელოვნება VS მოტივაცია-----41
თინათინ ქათამაშვილი
სტანისლავსკის სისტემა 100 წლის შემდეგ -----50

კინომცოდნეობა

ეკატერინე კონტრიძე
რეპრესირებული ქართული კინო -----62

ხელოვნებათმცოდნეობა

ნინო კვირიკაშვილი
სარკმლის თავსართი აყვავებული ჯვრით -
ვალეს ტაძრი (X საუკუნე) -----71
ქეთევან ოჩხიკიძე
წმინდა კმთრე ხახულის (X საუკუნე)
მთავარი ტაძრის პორტალის რელიეფზე -----85

ქორეოლოგია

ლევან ალიაშვილი

თალავართ ალმბა

(სპირიტუალური მოვლენა მისნურ საცეკვაო რიტუალში) -----98

ხელოვნების მენეჯმენტი და კულტურული თურიზმი

ნაირა გალახვარიძე

სამუშაოთი კომუნიკაცია და ინფორმაციული

თექნოლოგიები -----110

ნიკო კვარაცხელია

ქართული კინოინდუსტრია და თურიზმი -----124

ნათია კოპალეიშვილი

ციფრული თექნოლოგიები და სასწავლო-შემოქმედებითი

საგანმანათლებლო პროექტების აღქმის პარალელები -----134

დოდო ჭუმბურიძე

ახალგაზრდა ხელოვნების თვითდასაქმების

პოტენციალი ციფრულ ეპოქაში -----142

CONTENTS

FILM STUDIES

Merab Urushadze SOUND THERAPY IN CINEMATOGRAPHY -----	154
--	-----

MEDIA STUDIES

Mirian Oragvelidze THE FUNCTIONAL SPECIFICITIES OF TELEVISION SERIES IN THE INFORMATION SOCIETY -----	158
---	-----

MATERIALS FROM THE OPEN SESSIONS OF THE 17TH _ INTERNATIONAL CONFERENCE OF ART RESEARCHERS THEATRE STUDIES

THEATROLOGY

Dali Mesablishvili THE ART OF THEATER VS MOTIVATION -----	162
Tinatin Katamashvili THE STANISLAVSKI SYSTEM: 100 YEARS LATER -----	170

FILM STUDIES

Ekaterine Kontridze REPPRESSED GEORGIAN CINEMA -----	172
---	-----

ART STUDIES

Nino Kvirikashvili WINDOW LINTEL WITH A FLOURISHING CROSS – VALE CATHEDRAL (10 TH CENTURY) -----	174
Ketevan Ochkhikidze RELIEF ON THE PORTAL OF THE MAIN CHURCH OF SAINT PETER OF KHAKHULI (10 TH CENTURY) -----	175

CHOREOLOGY

Levan Aliashvili

TAKING THE TALAVARS

(spiritual event in the Misnur dance ritual) -----178

ART MANAGEMENT AND CULTURAL TOURISM

Naira Galakhvaridze

MUSEUM COMMUNICATION AND

INFORMATION TECHNOLOGIES -----179

Niko Kvaratskhelia

GEORGIAN FILM INDUSTRY AND TOURISM -----18

Natia Kopaleishvili

PARALLELS BETWEEN DIGITAL TECHNOLOGY AND THE PERCEPTION

OF EDUCATIONAL-CREATIVE LEARNING PROJECTS -----181

Dodo Tchumburidze

THE SELF-EMPLOYMENT POTENTIAL OF

YOUNG ARTISTS IN THE DIGITAL AGE -----183

კინოშოკოლადობა

მერაბ ურუშაძე,

ხმის ინჟინერი, ხმის დიზაინერი, პროდიუსერი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

თანამედროვე მეცნიერულ-მა აღმოჩენებმა კინოწარმოებაში მრავალი ტექნოლოგიური სიახლე დანერგა. მათ შორის თვალნათლივ გამოირჩევა ეგრეთ წოდებული „ბგერის, ხმის შემსწავლელი მეცნიერება“ (science of sound), რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე კინო-ტელეპროდუქციის შექმნისათვის. ფილმის ხმის დიზაინითა და გამოყენებული მუსიკით ის მიმართულია აუდიტორიაზე კონკრეტული ემოციური და ფსიქოლოგიური ეფექტების მისაღწევად. ბგერის სიხშირეებით, რიტმებითა და შაბლონებით დელიკატურად ხდება მაყურებლის ფსიქიკისა და ემოციის მანიპულირება, რაც მაყურებელში (მსმენელში) ფილმის სიუჟეტის დაძაბულობის განცდას უფრო მეტად ამძაფრებს, ემოციურ რეაქციებს კი მართავს და აძლიერებს.

ფილმის გახმოვანების დეტალური განხილვისას ვხვდებით შემდეგ მეცნიერულ მიდგომებს:

1. ემოციური ზეგავლენა:

- **ფონური მუსიკა და ხმის ეფექტები:** მეცნიერულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ ფონური

მუსიკა დადებით ზეგავლენას ახდენს ფილმში აუდიტორიის ჩართულობასა და ვიზუალური ინფორმაციის შენარჩუნებაზე.

- **ემოციური რეზონანსი:** გარკვეულ ბგერებს შეუძლია გამოიწვიოს კონკრეტული მაყურებლის ემოციური მდგომარეობა, რომელიც ემოხვევა მთელი აუდიტორიის საერთო ემოციურ ფონს.
- **ეგრეთწოდებული „მოტორული“ რეზონანსი (Motor resonance):** ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ხმას შეუძლია გამოიწვიოს „მოტორული რეზონანსი“, სადაც მაყურებელი/მსმენელი თავისთავზე გრძნობს ფიზიოლოგიურ კავშირს ეკრანზე პერსონაჟების ქმედებებთან.

2. კოგნიტიური პროცესები

- **ყურადღება და ფოკუსირება:** ხმის მინიშნებებს შეუძლიათ აუდიტორიის ყურადღების მართვა, რაც გულისხმობს სიუჟეტის მნიშვნელოვან ელემენტებზე ფოკუსირებას ან მომდევნო მოვლენების განჭვრეტას.
- **დამახსოვრება და გახსენება:** ხმას შეუძლია ვიზუალური ინ-

ფორმაციის დამახსოვრება და მისი შემდგომი გახსენების სტიმულირება.

- **არარეალურ სამყაროში ჩართვა (არარეალური სამყაროს რეალურად აღქმა):** ხმას შეუძლია მაყურებლის რეალური სამყაროდან ფილმის გამოგონილ, არარეალურ სამყაროში ჩართვა/ასოცირება.

3. ხმის დიზაინის მეთოდოლოგია:

- **ხმოვანი პეიზაჟები (Soundscapes):** ფილმის სიტუაციებისა და გარემოებების რეალისტური და შთამბეჭდავი ხმოვანი ლანდშაფტებისა და პეიზაჟების შექმნა.
- **სინქრონული ხმაურების ხელოვნება (Foley art):** ფილმში რეალიზმის გაძლიერებისა და ვიზუალური ელემენტების შევსების მიზნით სპეციფიკური ხმის ეფექტების დამატება.
- **მუსიკა და პარტიტურა (Music and score):** მუსიკის გამოყენება დაძაბულობის შექმნის, მოვლენების განვითარებისა და პერსონაჟების შინაგანი სამყაროს გამოხატვისათვის.
- **სიჩუმე:** ფილმში სიჩუმის მიზანმიმართული გამოყენება დაძაბულობის შესაქმნელად, მოვლენების დასაბუთებლად ან კონკრეტული მომენტების მნიშვნელობის გასაძლიერებლად.

4. ბგერის მეცნიერული კვლევა:

- **ნეიროაკუსტიკური ბგერითი თერაპია:** ბგერითი თერაპიის

ერთ-ერთი პრაქტიკული გამოყენება, როგორიცაა ნეიროაკუსტიკური ბგერითი თერაპია, ზუსტი სიხშირეების გამოყენებით ფოკუსირებულია სპეციფიკურ ორგანოებსა და ნერვული სისტემის დაბალანსებაზე.

- **კვლევები მუსიკასა და ემოციებზე:** მეცნიერული კვლევების თანახმად, ვლინდება თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა ტიპის მუსიკა და სპეციფიკური ბგერები ადამიანის ემოციებზე, კოგნიტიურ პროცესებსა და ფიზიოლოგიაზე.
- **ექსპერიმენტული ხმის დიზაინი:** აუდიტორიის აღქმის ეფექტის გასაძლიერებლად მკვლევრები სწავლობენ ხმის დიზაინის კონკრეტულ ვარიანტებს იმისათვის, რომ გამოიმუშაონ საბაზისო მეცნიერული მიდგომები.
- **რემონანსი:** ბგერითი თერაპია იყენებს რემონანსის ძალას (ფენომენს) – რომლის დროსაც გამოყენებულია სპეციფიკური სიხშირეები სხეულის ბუნებრივ სიხშირეებზე ზემოქმედებისა და გაჯანსაღების პროცესის ხელშეწყობისთვის. კრანიალური ნერვის სტიმულირებით ის აწესრიგებს ნერვულ სისტემას, აწყნარებს ორგანიზმს, ამცირებს სტრესს, გავლენას ახდენს ტვინის ტალღების აქტივობაზე და ასევე ხელს უწყობს ენდორფინების გამოყოფას.
- **კრანიალური ნერვის სტიმულაცია:** ცნობილია, რომ 40-დან 150 ჰერცამდე სიხშირეების დი-

აპაზონში ხდება კრანიალური ნერვის სტიმულირება, რაც გადამწყვეტ როლს ასრულებს სხეულის სხვადასხვა ფუნქციების რეგულირებაში; ზემოხსენებული სიხშირეების დიაპაზონი ამცირებს სტრესს და ადამიანის ემოციურ რეაქციებს აბალანსებს.

- **ფიზიოლოგიური ცვლილებები:** ბგერითმა თერაპიამ შეიძლება გამოიწვიოს ფიზიოლოგიური რეაქციები, როგორებიცაა არითმიის აღმოფხვრა, არტერიული წნევის შემცირება და ენდორფინების გამოყოფა.
- **ფსიქოლოგიური სარგებელი:** ბგერითი თერაპია დადებით ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს – ამცირებს შფოთვის, აუმჯობესებს გონებრივ სიცხა-

დეს, იწვევს რელაქსაციასა და სიმშვიდეს.

- **ეფექტები უჯრედულ დონეზე:** ბოგერითი თეორია ვარაუდობს, რომ ბგერითი თერაპია იონური არხების გახსნით ზეგავლენას ახდენს უჯრედების ფუნქციონირებაზე, აუმჯობესებს უჯრედებს შორის კომუნიკაციას, პოტენციალად აადვილებს და აჩქარებს მათი განკურნების პროცესს.
- **ჩაკრები და ბგერა:** ბგერითი თერაპია გამოიყენება ჩაკრების კონცეფციასთან ერთად – ჩაკრების ენერგეტიკულ ცენტრებთან, მათ სიხშირულ ვიბრაციასთან სპეციფიკური სიხშირეების გათანაბრება/რეზონირებით ხდება მათი გაწონასწორება და ენერგეტიკული ბალანსის აღდგენა.

ბგერითი თერაპია კინოხელოვნებაში

საკვანძო სიტყვები: ბგერითი თერაპია, სიხშირეები, რეზონანსი, კინო-ტელე ინდუსტრია

კინოფილმი ხელოვნების სხვადასხვა დარგის პროფესიონალთა ერთობლივი შემოქმედებითი შრომის შედეგს წარმოადგენს. კინოწარმოებაში შემავალ სხვადასხვა დარგთა შორის რელიეფურად ორი დარგი იკვეთება – აუდიო და ვიდეო.

თუ თავდაპირველად, კინოს გარიჟრაჟზე (მუნჯი კინო), უპირველესი ყურადღება ექცეოდა გამოსახვის საშუალებებსა და მსახიობის ოსტატობას, ტექნოლოგიის განვითარებამ, ვიზუალურ მხარესთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება ხმაზე, ბგერაზე გაამახვილა.

მოწინავე კინოსკოლები ვიზუალურ მხარესა (ვიდეო) და ხმას (აუდიო) პროცენტულად ერთსა და იმავე მნიშვნელობას ანიჭებენ

($^{50}_{50}$ %). XXI საუკუნეში უახლესი ტექნოლოგიების განვითარებამ ხმას უფრო დიდი დატვირთვა შესძინა, რადგან ხმაში შემავალი სპეციფიკური სიხშირეები უშუალოდ ზემოქმედებენ მაყურებელზე ფსიქო-ფიზიოლოგიური და ემოციური თვალსაზრისით.

სამყაროში ყველა საგანსა და ნივთიერებას მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ვიბრაცია და რეზონანსი გააჩნია. როგორც ცნობილია, აკუსტიკური რეზონანსი საგნის ბუნებრივი სიხშირეა, მაგალითად, დედამიწის ვიბრაციის სიხშირე მერყეობს 3 ჰერციდან (Hz) 7 Hz-მდე; ნეოსფეროს ზედა ასტრალი მერყეობს 17 Hz-დან 21 Hz-მდე; ადამიანის – 8 Hz-დან 12 Hz-მდე. თვით დნმ-საც კი თავისი განსაკუთრებული სიხშირე გააჩნია, რომელიც ეროვნული, რასობრივი და რელიგიური თავისებურებით ხასიათდება.

თანამედროვე მეცნიერთა დიდი ნაწილი მიუთითებს, რომ მუსიკალური გამოხატვის უნარი ჩაკოდირებულია ყოველი ერის გენეტიკურ აპარატში. დადასტურებულია, რომ გენეტიკური ინფორმაციის მატარებელი დნმ-ი გამოსცემს სპეციფიკურ „ხმებს“. ეს ხმები აკუსტიკური ტალღების ვიბრაციას იწვევენ. სინამდვილეში, დნმ-ი „მღერის“.

კეთილი ადამიანის ხმის ტემბრი - განსაკუთრებით ჭეშმარიტი მორწმუნის, ამშვიდებს ნერვულ სისტემას და აუმჯობესებს მსმენელის ფიზიკურ და ფუნქციონალურ მდგომარეობას.¹

რელიგიური რიტუალების დროს, როდესაც მორწმუნეები ლოცვას აღავლენენ, წარმოქმნიან გარკვეულ ვიბრაციებს:

- ქრისტიანები – 18 Hz -დან 21 Hz-მდე;
- მუსლიმანები – 12 Hz -დან 18Hz-მდე;
- ბუდისტები – 24 Hz -დან 33 Hz-მდე;
- იუდეველები – 11 Hz -დან 16 Hz-მდე (მეორე გამოკვლევის შედეგად 16 Hz -დან 23 Hz-მდე).

ფსიქოფიზიოლოგები დიდი ხანია ცდილობდნენ მიეკვლიათ იმ სპეციფიკური სიხშირეებისათვის, რომლებიც ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენენ ადამიანის ფსიქიკაზე.

პროფესორ ჰოროვიცის მიხედვით, 528 ჰერცი (Hz) წარმოადგენს ქმნილების „მუსიკალურ მათემატიკურ მატრიცას“. ეს სიხშირე, რომელსაც „სიყვარულის სიხშირე“-ს უწოდებენ, რეზონანსშია ყველაფრის ცენტრთან. ის ადამიანის გულსა და სულიერ

¹ Aleksidze, Man, Tb., 2007.

არსს ზეცისა და დედამიწის სპირალურ რეალობას უკავშირებს. ეს „სიყვარულის სიხშირე“ სოლფეჯიოს მუსიკალური სკალის პირველ ნოტს წარმოადგენს. სწორედ ამ ძირითად შემოქმედებით სიხშირეს იყენებდნენ ქურუმები და მკურნალები უძველეს განვითარებულ ცივილიზაციებში, იმისათვის რომ სასწაულები მოეხდინათ და ლოცვები აღევლინათ.

მათემატიკოსი ვიქტორ შოუელი 528 Hz-ს აღწერს როგორც ოქროს კვეთას, რომელსაც მთელ სამყაროში არსებულ ბუნებრივ ფორმებში ვხვდებით. იგი ამტკიცებს, რომ 528 Hz არის გეომეტრიული წრეებისა და სპირალების მუდმივა, რომელიც დნმ-ის აგებულებაშიც გვხვდება. 528 Hz-ი ცნობილია, როგორც სასწაულმოქმედი ტონი, რომელსაც შეუძლია მოახდინოს მნიშვნელოვანი და გასაოცარი ცვლილებები, მათ შორის დნმ-ის აღდგენაც.

საინტერესოა, რომ 528 Hz-ის სიხშირე, 2010 წელს, გამოიყენეს კანადელმა მეცნიერებმა ჯონ და ნენსი ჰაჩინსონებმა მექსიკის ყურეში ჩაღვრილი ნავთობისაგან წყლის გასაწმენდად. პირველ დღეს, ეს სიხშირე გაშვებულ იქნა 4 საათის განმავლობაში. მეორე დღისთვის წყალი უკვე სუფთა იყო, მაგრამ მათ განაგრძეს ექსპერიმენტი, იმისათვის რომ ტესტი ბოლომდე მიეყვანათ. მეცნიერებმა შეძლეს აღედგინათ წყლის სისუფთავე, რაც გამოიხატა თევზებისა და დელფინების დაბრუნებით.

როგორც ვხედავთ, 528 ჰერცს მრავალი გამოყენება აქვს. მის ერთ-ერთ თვისებას ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივების უნარი წარმოადგენს. ის არის ჰარმონიული ვიბრაცია, რომელიც ამაღლებს ადამიანის სულსა და განწყობას.

ფსიქოაკუსტიკა სწორედ ის მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ადამიანის მიერ ბგერის აღქმასა და მასზე ბგერის ზემოქმედებას. ფსიქოაკუსტიკის შესწავლის სფერო მოიცავს ბგერის სიძლიერის აღქმას (ამპლიტუდა), ბგერის ადგილმდებარეობას, მუსიკალურ აკუსტიკას, ბგერისა და ადამიანის ტვინის ურთიერთქმედებას (ნეირომუსიკა).

უახლესი მეცნიერული კვლევების მონაცემებით აშკარად მტკიცდება, რომ ბგერა ბიოლოგიური ბუნებისაა. მედიკოსები, ბიოლოგები, ბიოფიზიკოსები და ფსიქოაკუსტიკაში მომუშავე მეცნიერები აცხადებენ, რომ სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობაში პირველი ადგილი უჭირავს ბგერას, რომელიც, თავის მხრივ, და-

მოკიდებულია ბგერის ამპლიტუდასა და ხანგრძლივობაზე.

ფსიქოაკუსტიკა არსებითად ეყრდნობა იდეას, რომ ბგერითი ტალღები (სიხშირეები) თავდაპირველად ტვინში იწვევენ გაუცნობიერებელ აქტივობას – ხდება როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიოლოგიური ცვლილებები. თითოეულ ბგერით ტალღას ტვინი შლის ნეირონულ ინფორმაციად. იგი წარმოქმნის დიდი რაოდენობით ქმედების პოტენციალს და ტვინი იწყებს აქტიურ მოქმედებას მიღებული ინფორმაციიდან აზრის გამოსატანად. ეს იმდენად სწრაფად ხდება, რომ ადამიანი ვერც კი ასწრებს მის გაცნობიერებას. ამასთან ერთად, დადასტურებულია, რომ არაზუსტ, აშლილ ტონებს შეუძლიათ ტვინის ნეირონული ტალღები ან ააჩქარონ, ან შეანელონ, ანუ, სპეციფიკურ ბგერით ტალღებს (სიხშირეებს) აქვთ უნარი, ადამიანის აღქმაში ესა თუ ის ფსიქოლოგიური და ფიზიკური გადახრები გამოიწვიონ.

ბგერის სიხშირეების შესწავლის საკითხი მრავალგანზომილებიანია და ფილმის წარმოების დროს იყოფა ხუთ ძირითად კატეგორიად: ამბიენსი (ადგილის დამახასიათებელი ხმა), მონოლოგი/დიალოგი, სპეცეფექტები, სინქრონული ხმაურები (Foley) და მუსიკა. წარმოდგენილ შრომაში ჩვენ შემოვიფარგლებით ფილმში გამოყენებული მუსიკის ფსიქოაკუსტიკური როლით.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდ როლს თამაშობს მუსიკა კინოხელოვნებაში. ამის ერთ-ერთი საგულისხმო მიზეზი არის მუსიკის, მუსიკალური სიხშირეების უნარი ზემოქმედება მოახდინოს მაყურებლისა და მსმენელის ემოციებზე. ხშირად ხდება, როცა ფილმში გამოყენებულ მუსიკას თან ახლავს ადამიანის ფიზიკური რეაქციები, ეგრეთ წოდებული „მუსიკის ძლიერი განცდა“, რაც გულისხმობს ადამიანის სხეულის რიტმულ მოძრაობებს, ჟრუანტელს, გულის ცემის აჩქარებას, წნევის მომატებას, ტირილს, სიცილსა და სხვა.

აქვე ხაზგასმით უნდა გამოვყოთ ბგერითი თერაპია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია კინოხელოვნებაში და რომელიც მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ჯერ კიდევ ნაკლებად შესწავლილი სფეროა. ამ ტექნიკის თერაპიული ეფექტი ემყარება სხვადასხვა ბგერათა სიხშირეების რხევას, რომელსაც რეზონანსში მოჰყავს ცალკეული ორგანო, სისტემა (ლიმფური სისტემა, სისხლძარღვთა სისტემა და სხვა) თუ მთლიანად ადამიანის სხეული.

ჩვენ ყველა მხრიდან გარშემორტყმული ვართ ბგერების მრავალფეროვნებით. ბგერები ადამიანისთვის შეიძლება იყოს სასიამოვნო და სასარგებლო ან გამოიწვიოს მასში უარყოფითი ემოცია – მის სულიერ სამყაროსთან სრული დისონანსი.

ბგერების მრავალფეროვნების გამო, ბგერის თერაპიის მეთოდიკა დაიყო უფრო ვიწრო და სპეციფიკურ სფეროებად, რომელთა ერთ-ერთმა მიმართულებამ – მუსიკოთერაპიამ, ამ ბოლო პერიოდში, დიდი აღიარება მოიპოვა. დამსახურებული პოპულარობით სარგებლობს სიტყვების თერაპია, რომელიც ინდივიდუალური ბგერებისაგან ქმნის აზრობრივ ფორმებს, რომლებსაც ადამიანზე დამატებითი სამკურნალო ეფექტები გააჩნიათ. ასევე, ვითარდება და იხვეწება ულტრაბგერითი მკურნალობის მეთოდები.

ბგერითი თერაპიის კიდევ ერთი მიმართულებაა ბუნების ხმებით მკურნალობა. ეს ტექნიკა დამოუკიდებლად არ არსებობს, მაგრამ ის ორგანულად ჯდება ტრადიციული მედიცინის ბევრ სფეროში, კერძოდ, ფსიქოთერაპიაში, აეროფიტოთერაპიაში და სხვა ტექნიკასა და პრაქტიკაში, რომელიც მოიცავს რელაქსაციას და მედიტაციას.

აღსანიშნავია, რომ მუსიკა ადამიანის სხეულზე განსხვავებულ ზეგავლენას ახდენს. ის ფაქტი, რომ მას ადამიანის განკურნება შეუძლია, ჯერ კიდევ ძველ დროში იყო ცნობილი. მაგალითად, ძველ ეგვიპტეში გუნდური სიმღერა უძილობის სამკურნალოდ, ხოლო ძველ საბერძნეთში საყვირის ხმები რადიკულიტისა და ნერვული სისტემის სამკურნალოდ გამოიყენებოდა. პითაგორამ, რომელმაც შექმნა კოსმოსის მუსიკალურ-რიცხობრივი სტრუქტურის თეორია, წარმატებით გამოიყენა თავისი შექმნილი მელოდიები „სულის დაავადებების“ სამკურნალოდ. როგორც თანამედროვე კვლევები ადასტურებს, მუსიკალური თერაპიის ეფექტურობა განისაზღვრება არა მხოლოდ ადამიანზე მისი ემოციური ზემოქმედებით, არამედ მუსიკალური ბგერების ბიორეზონანსული თავსებადობით სხეულის ცალკეული ორგანოებისა და სისტემების ვიბრაციასთან. მაგალითად, კუჭ-ნაწლავის ტრაქტს აქვს ნოტი „ფა“-ს რეზონანსული სიხშირე, რომლის ზედა სიხშირე ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსიკური ნივთიერებების გამოდევნას. ნოტი „დო“-ს რომელიც შემაერთებული რგოლია ადამიანსა და კოსმოსს შორის – ხელს უწყობს ფსორიაზის მკურნალობას, ხოლო ნოტების „სი“, „სოლ“

და „დო“-ს კომბინაცია ხელს უწყობს ონკოლოგიური დაავადებების თერაპიას.

მეცნიერთა და ექიმთა დაკვირვებით, მუსიკალური ბგერების ვიბრაცია ააქტიურებს უმაღლესი ნერვული აქტივობის ვეგეტატიურ მექანიზმებს (საჭმლის მონელება, სისხლის მიმოქცევა, სასუნთქი და სხვა შინაგანი ორგანოების მოქმედება), იწვევს ავადმყოფის ქვეცნობიერში განსაკუთრებულ ვიბრაციულ რეაქციებს, რაც ხელს უწყობს პაციენტების სწრაფ გამოჯანმრთელებას. უპირველეს ყოვლისა, მუსიკალური თერაპია წარმატების საშუალებას იძლევა სხვადასხვა სახის ფსიქიკური აშლილობის მკურნალობაში: ფსიქოზი (ფსიქოტროპულ საშუალებებთან ერთად), დეპრესია, შიზოფრენია. ის ასევე კარგად ეხმარება მრავალი ფსიქოსომატური (ფსიქოსომატიკა - მეცნიერება, რომელიც ფსიქოლოგიურ, ემოციურ და სოციალურ მოვლენათა გავლენას იკვლევს ფიზიოლოგიურ დაავადებებზე) დაავადების მკურნალობაში. როგორც ამერიკელმა მუსიკის თერაპევტმა დოქტორმა ალან ვიტენბერგმა აღნიშნა: „...ყველა მუსიკას აქვს დასაწყისი, შუა და დასასრული, როგორც ნებისმიერ სხვა არსებას და როგორც თავად სიცოცხლეს. ეს არის ის, რაც საშუალებას აძლევს ადამიანს, რომელიც სამყაროსგან მოწყვეტილია, დაუბრუნდეს მას...“.²

თანამედროვე ასტროლოგებმა განავითარეს რა პლატონის სწავლება „სფეროების მუსიკაზე“, ზოდიაქოს ნიშნებსა და მუსიკალურ ნოტებს შორის მჭიდრო კავშირი დაადგინეს:

- ვერძი – ნოტა დო და დო მაჟორის ტონალობა;
- კურო – დო დიეზი (იგივე რე ბემოლი);
- ტყუპები – ნოტა რე, ასევე რე-ს ტონალობა რე მაჟორის გასაღებში;
- კირჩხიბი – რე დიეზი (იგივე მი ბემოლი);
- ლომი – ნოტა მი და მი მაჟორის ტონალობა;
- ქალწული – ნოტა და გასაღები ფა, ფა მაჟორის ტონალობა;
- სასწორი – ფა დიეზი (იგივე სოლ ბემოლი);
- მორიელი – სოლ და სოლ მაჟორის ტონალობა;
- მშვილდოსანი – სოლ დიეზი (იგივე ლა ბემოლი);

² Звукотерапия - лечение звуком, Энциклопедия традиционной народной медицины, 2002.

- თხის რქა – ნოტა ლა და ლა მაჟორის ტონალობა;
- მერწყული – ლა დიეზი (იგივე სი ბემოლი);
- თევზები – ნოტა სი და სი მაჟორის ტონალობა.

ეს მონაცემები საშუალებას გვაძლევს, უფრო ზუსტად შევაფასოთ ცალკეული ნოტების და ბგერების შეგავლენა კონკრეტულ ადამიანზე (ჰოროსკოპიდან გამომდინარე) და უფრო მიზანმიმართულად წარვმართოთ მუსიკალური თერაპიის პროცესი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხმის თერაპია დაყოფილია ცალკეულ სფეროებად. თუმცა, ეს დაყოფა ძალიან პირობითია. მაგალითად, სად შეიძლება რომ ჩავრთოთ და გამოვიყენოთ სიმღერის ეფექტური თერაპიული ტექნიკა? ის უშუალო კავშირშია მუსიკასთან და სიტყვა-თერაპიასთან, ინდივიდუალური ბგერების მკურნალობასთან და რიტმულ თერაპიასთანაც კი. სიმღერა ადამიანში ააქტიურებს ენერგეტიკულ ცენტრებს, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს მათთან დაკავშირებულ სასიცოცხლო ორგანოებზე. ეს ეხება როგორც კლასიკურ, ასევე პოპ სიმღერას. ისტორიას თუ გავისხენებთ, იგივე პითაგორა სულისა და სხეულის მრავალ დაავადებას სიმღერით მკურნალობდა. მის უნივერსიტეტში დილა გალობით იწყებოდა გონების გასააქტიურებლად და ძილისაგან გამოსაფხიზლებლად და მთავრდებოდა საღამოს – დამშვიდებისა და ძილისთვის მოსამზადებლად.

ადამიანის მიერ წარმოთქმული ცალკეული ბგერების სამკურნალო თვისებები ცნობილი იყო უხსოვარი დროიდან. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა და მისტიკური როლიც კი ენიჭებოდათ მესოპოტამიაში, ინდოეთსა და ჩინეთში.

თანამედროვე კვლევები ადასტურებს **წარმოთქმული ბგერების სამკურნალო თვისებებს** და იქმნება მათი ზემოქმედების უნიკალური რეგისტრებიც კი, რომლებიც, სხვათა შორის, დიდწილად ემთხვევა აღმოსავლეთში ძველ დროში შემუშავებულ რეკომენდაციებს. მაგალითად:

- ბგერა „ი“ – წმენდს ცხვირს, კურნავს თვალებს;
- ბგერა „უ“ – ამაგრებს ყელს და ხმის იოგებს;
- ბგერები „ვ“, „ნ“, „მ“, „ე“ – აუმჯობესებს ტვინის მუშაობას;
- ბგერები „ც“, „კ“, „შ“, „ი“ – კურნავს ყურებს;
- ბგერები „უ“, „ი“, „ხ“, „ჩ“ – აუმჯობესებს სუნთქვას.

ბგერები „ო“, „ა“, „ს“, „მ“, „ი“ – მკურნალობენ გულის დაავადებებს. არანაკლებ სამკურნალო თვისებები აქვს სხვადასხვა ხმის კომბინაციებს, ეგრეთ წოდებულ „მანტრას“. კერძოდ:

- „ომ“ – ამცირებს არტერიულ წნევას;
- „აი“, „პა“ – ათავისუფლებს ტკივილს გულში;
- „აპ“, „ამ“, „ატ“, „იტ“, „უტ“ – ასწორებს მეტყველებას.

ბგერების ასეთი კომბინაციები მრავალრიცხოვანია და ყველა მათგანის ჩამოთვლა შეუძლებლად მიგვაჩნია. მთავარია ის, რომ ყველა მათგანი ეფუძნება არა სემანტიკურ მნიშვნელობას, არამედ ვიბრაციების სამკურნალო ეფექტს, რომელიც მათი წარმოთქმისას გამოიხატება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერი ხმის, ნებისმიერი ბგერის, აკუსტიკური ვიბრაციისა და ნერვული სისტემის ცენტრებთან შორის კავშირი ცნობილი იყო ძველად და ფართოდ გამოიყენებოდა აღმოსავლეთის სამედიცინო პრაქტიკაში. თანამედროვე სამეცნიერო გამოკვლევებმა დაადგინა, რომ ბგერათა გამოთქმის ინტენსივობასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, გულის ან ფილტვის დაავადებების მკურნალობისას ის უნდა იყოს დაბალი ან საშუალო, ხოლო შინაგანი ორგანოების თერაპიისათვის კი უფრო მაღალი.

სამკურნალო მანტრებიდან ლოგიკურად გადავდივართ სიტყვებსა და ფრაზებზე, რომლებიც ატარებენ ენერგეტიკულ და სამკურნალო მუხტს. დიდი ხანია ცნობილია, რომ სწორი ტონით წარმოთქმული გარკვეული სიტყვები და წინადადებები შეიძლება მართლაც შეუცვლელი წამალი იყოს. ამ პრინციპზეა აგებული ხალხში გავრცელებული ყველა სახის შელოცვები, მაგრამ, აქვე უნდა ითქვას, რომ უდიდეს ჯადოსნურ ძალას ფლობენ საუკუნეების მანძილზე შექმნილი და დახვეწილი ლოცვები, რომლებიც არა მხოლოდ სემანტიკურ მნიშვნელობას ატარებენ, არამედ მათ სიტყვების და ბგერების კომბინაციებს რეალური პოზიტიური ენერგია ახასიათებთ.

სიტყვა თერაპიის ერთ-ერთ მიმართულებად შეიძლება მივიჩნიოთ რითმთერაპია – მკურნალობა პოეზიით. ზოგიერთი ლექსი

შეესაბამება პიროვნებას, მის ემოციურობას, მის „შინაგან სამყაროს“. უფრო მეტიც, ისინი თვითგამოხატვის ინდივიდუალური გზაა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რიტმული მეტყველება ძლიერ გავლენას ახდენს ფსიქიკაზე. პოეტურ ფორმებსა და სიმღერებს შეუძლიათ აღაგზნონ ან დაამშვიდონ ადამიანი. ისინი დაგეხმარებათ დაისვენოთ, განიტვირთოთ ან მიაღწიოთ სასურველ ემოციურ განწყობას.

უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ ულტრაბგერის გარკვეულმა ტონებმა და სიხშირეებმა შეიძლება დაარღვიოს ადამიანის ფსიქიკა. არსებობს გარკვეული სიხშირეები, რომლებიც ადამიანისთვის სავალალოა. იგივე შეიძლება ითქვას სიტყვებსა და ბგერებზე. ამჟამად უკვე მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ სხეულისთვის არასასიამოვნო ხმამაღალი ბგერები ცვლის გულის რიტმს (ტაქიკარდია), აზიანებს სისხლძარღვებს (ჰიპერტენზია) და არღვევს სუნთქვის ციკლს (ბრონქული ასთმა). კუჭის წყლული, ენტეროკოლიტი, დისპეფსია და სხვ. - ეს ყველაფერი ხმაურით გამოწვეული დაავადებებია.

იტალიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ დაქორწინებულ წყვილებში, რომლებიც ხშირად ექვემდებარებიან ხმაურს, მკვეთრად მცირდება შვილის გაჩენის უნარი. ხმაური არღვევს აზროვნების ლოგიკას, იწვევს გაურკვევლობას და გაღიზიანებას. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ცოცხალ ორგანიზმზე მუსიკისა და ნებისმიერი ბგერის ზემოქმედების სწორი გაგება. სწორედ ამისკენ ისწრაფვის განვითარებადი ხმის თერაპიის მეცნიერება, რომლის მიზანია ადამიანსა და გარემოს შორის ჰარმონიის მიღწევა, იმ დამაკავშირებელი რგოლის პოვნა (სიტყვით, მუსიკით თუ უბრალოდ ბგერით), რომელიც ადამიანის ჯანმრთელობას და პოზიტიურ განწყობას ეხება.

კინოწარმოების პროცესში, მაყურებლისათვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭებისა და ემოციური ზეგავლენის მიზნით, რეჟისორები და კინოპროდიუსერები მნიშვნელოვან როლს მუსიკალური მასალის წინასწარ შერჩევას ანიჭებენ. ისინი ეყრდნობიან მეცნიერულ ექსპერიმენტებს, რომელთა მიზანია მუსიკის სპეციფიკური სიხშირეების გამოყენების გზით ამა თუ იმ ემოციის გამოწვევა.

მაყურებელსა და მსმენელზე დიდ ზეგავლენას ახდენს შემდეგი აკუსტიკური/ მუსიკალური ხერხები: ნელი/ჩქარი ტემპი, სოლო

ინსტრუმენტისა და ორკესტრის მონაცვლეობა, უეცარი ან თანდა-
თანობითი ხმის დონის გაძლიერება (პიანოდან ფორტემდე), სიხ-
შირების დიაპაზონის გაფართოება მაღალ ან დაბალ რეგისტრში,
განსაკუთრებული ჰარმონიული პროგრესია, მელოდიური და ჰარ-
მონიული პროგრესიის ურთიერთქმედება და სხვა.

თუმცა მუსიკისა და ადამიანის ემოციების ურთიერთმიმართე-
ბის მექანიზმი ჯერ-ჯერობით ბოლომდე ახსნილი არ არის, აცნობი-
ერებენ რა ამ ორი ფენომენის უდიდეს მნიშვნელობას, თანამედ-
როვე მეცნიერები – ფსიქოლოგები, ფიზიოლოგები და მუსიკათმ-
ცოდნეები, ექსპერიმენტული დაკვირვების საფუძველზე, ცდილო-
ბენ, ახსნა მოუძებნონ, თუ როგორ ხდება ცალკეული მუსიკალური
ფრაზისა და მთლიანად მუსიკალური ნაწარმოების ზემოქმედება
ადამიანის ფიზიოლოგიასა და ფსიქიკაზე.

შვედმა მეცნიერმა დანიელ ვესტფიელმა, 2001-2002 წლებში, მი-
მოიხილა ეგრეთწოდებული „მუსიკალური განწყობის გამტარობის
პროცედურა“. მან შეისწავლა მუსიკის, როგორც განწყობის შექმ-
ნისა და ადამიანის ფიზიოლოგიაზე (ადამიანის კანის გამტარობის)
მისი სტიმულირების ეფექტურობა. მეცნიერების მიერ დადგენილ
იქნა, რომ შთამბეჭდავი მუსიკის მოსმენის დროს, ადამიანის ორ-
განიზმში ადგილი აქვს ხუთ ძირითად ფიზიკურ რეაქციას:

1. ჟრუანტელი;
2. თმის ყალყზე დადგომა;
3. ყელში ბურთის განხერვა;
4. გულის აჩუყება;
5. სხვადასხვა გრძნობის გაღვივება.

განსაკუთრებით საინტერესოა მუსიკის ფსიქოლოგიის სფერო-
ში მომუშავე გაბრიელსონისა და ლინდსტრომის მიერ 2001 წელს
წარმოდგენილი სქემა, რომელიც მრავალჯერადი ექსპერიმენტის
შედეგად არის მიღებული და გამოხატავს მუსიკისა და ემოციების
ურთიერთმიმართებას.

კოფიციენტი	დონეები	ემოციური გამოხატულება
ამპლიტუდის ენველოპი	ხავერდოვანი, რბილი მკვეთრი	ზიზღი, სევდა, შიში, მობეზრება, სიძლიერე, სინაზე. სიამოვნება, ბედნიერება, გაოცება, აქტიურობა, სიბრაზე.
არტიკულაცია	სტოკატო ლეგატო	შიში, სიბრაზე. სინაზე, სევდა.
ჰარმონია	მარტივი/ კონსონანსი კონპლექსური/ დისონანსი	დასვენება/მოშვება, სინაზე. სიბრაზე, დაძაბულობა, შიში.
ხმის სიძლიერე	ხმამალალი ნაზი, მელოდიური	სიბრაზე. შიში, სინაზე, სევდა.
ხმის სიმაღლის ვარიაცია	მაღალი მცირე სწრაფი ცვალეებადობა	შიში. ბედნიერება, სიამოვნება, აქტიურობა. შიში.
მელოდიური დიაპაზონი	ფართო ვიწრო	შიში, მხიარულება. სევდა.
ტონალობა	მაჟორი მინორი	ბედნიერება. სევდა, ზიზღი, სიბრაზე.
ბგერის სიმაღლე	მაღალი დაბალი	გაოცება, სიძლიერე, სიბრაზე, შიში, აქტიურობა. მოსაბეზრებელი, სასიამოვნო, სევდიანი.
ტემპი	სწრაფი ნელი	აქტიურობა, გაოცება, ბედნიერება, სიამოვნება, ძლიერება, შიში, სიბრაზე. სევდა, მობეზრება, ზიზღი, სინაზე.

ტემბრი	ნაკლებჰარმონიული	სიამოვნება, მობეზრება, ბედნიერება, სევდა.
	მრავალჰარმონიული	ძლიერება, სიბრაზე, ზიზლი, შიში, აქტიურობა, გაოცება.
	ნაზი ტემბრი	სინაზე, სევდა.
	მკვეთრი ტემბრი	სიბრაზე.

წარმოდგენილ სქემაში მოცემულია ის მუსიკალური პარამეტრები, რომლებიც ინტენსიურად გამოიყენება როგორც ამერიკულ, ისე ევროპულ კინოწარმოებაში და აქტიურად ზემოქმედებენ ადამიანის ემოციებსა და განწყობაზე.

მუსიკის საშუალებით შესაძლებელია ადამიანში მიმდინარე ბიოლოგიური პროცესების მართვაც. გარკვეული სიხშირეები იწვევენ როგორც დადებით, ასევე უარყოფით ემოციებსაც – თრგუნავენ ადამიანის ფსიქიკას, აღვივებენ აგრესიას, შიშს, ზიზლს, სიძულვილს და ბოროტი საქმეების ჩადენისაკენ უბიძგებენ მაყურებელს.

დადგენილია, რომ როკ-მუსიკა უარყოფითად მოქმედებს მხოლოდ თეთრკანიან მსმენელზე. ამ შემთხვევაში ირღვევა კორელაცია გენეტიკურ სიხშირეების აქტივობასა და უცხოური მუსიკის სიხშირეებს შორის, რაც იწვევს ნერვული სისტემის სერიოზულ მოშლას. მაღალი სიხშირეები, ეგრეთწოდებული „აკუსტიკური ნაგავი“, იწვევს იმ ნეირონების განადგურებას, რომელთა ფუნქციას ტვინის ქერქში ბგერის ვიბრაციის გადატანა წარმოადგენს. გამაძლიერებლის მიერ გამოცემულ მაღალი სიხშირეების ერთ აკორდსაც კი შეუძლია გაანადგუროს ტვინის რამდენიმე ასეული ნეირონი და მოზარდში ინტელექტუალურად უკონტროლო ქცევები და ცხოველური ინსტინქტები გამოიწვიოს.³

როგორც ვხედავთ, განუზომელია ხმის სიხშირეების ზეგავლენა ადამიანის ფსიქიკაზე და სწორედ ამიტომ უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრია ხმის რეჟისორებსა და ფილმის ხმის დიზაინერებს, რომელთა ფაქიზ, ნატიფ გემოვნებაზეც არის დამოკიდებული ფილმის შემდგომი წარმატება.

³ Aleksidze, Man, Tb., 2007.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Aleksidze N., Man, Music and Ecology, Tbilisi, 2007.
- Binaural Sounds Can Make You Happier. http://www.money4free.net/articles/binaural_sounds
- Konecni J. V., Does Music Induce Emotion? A Theoretical and Methodological Analysis, University of California, Psychology of Aesthetics, Creativity, and the Arts, Vol. 2, No. 2, San Diego, 2008.
- Psychoacoustics: Where Sound Meets Your Brain <http://www.uaudio.com/blog/how-the-ear-works/> 11/06/2025.
- The Second International Conference on Music Communication Science, 3-4 December 2009, Sydney, Australia. <http://www.auditory.org/mhonarc/2009/msg00402.html> 11/06/2025.
- The Love Frequency: How 528 Hz Is The Frequency That Resonates At The Heart Of Creation. <http://www.spiritscienceandmetaphysics.com/the-love-frequency-how-528-hz-is-the-frequency-the-resonates-at-the-heart-of-creation/> 11/06/2025.
- Звукотерапия – лечение звуком, Энциклопедия традиционной народной медицины, Москва, 2002.

მედიის კვლევები

მირიან ორაგველიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
საგანმანათლებლო პროგრამა: კულტურა მედიაში,
სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა დოლიძე.

რეზიუმე

მასობრივი კულტურა ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ გადაიქცა თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურობად, მისი ქრონოლოგია იმდენად ორგანულად და სწრაფად განვითარდა, რომ, შეიძლება ითქვას, უმტკივნეულოდაც კი ინტეგრირდა დღევანდელობაში. სერიალები უდავოდ ერთ-ერთ ტიტანურ ადგილს იკავებს, ატლასის მსგავსად, რომელმაც დგას მასობრივი, ანუ პოპკულტურა. შესაბამისად, საინტერესოა სერიალის ფუნქციური თავისებურებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, თუმცა ამისათვის საჭიროა დაახლოებითი წარმოდგენა მაინც გვქონდეს „ინფორმაციულ საზოგადოებასა“ და მის დეფინიციამდე.

„ინფორმაციული საზოგადოება“ არის სოციალურ-ეკონომიკური კონსტრუქცია, სადაც ინფორმაცია და ცოდნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ძირითადი მამოძრავებელია. ინფორმაციულ საზოგადოებაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგია (ICT) ცენტრალურ როლს თამაშობს სხვადასხვა სექტორში ცოდნის შექმნას, გავრცელებასა და გამოყენებაში. ინფორმაციული საზოგა-

დოების მახასიათებლები მოიცავს ციფრულ ტექნოლოგიებზე ფართო ხელმისაწვდომობას, ციფრული შინაარსისა და მონაცემების გამრავლებას, ციფრული საკომუნიკაციო ქსელების გამორჩეულობას და ICT-ების ინტეგრაციას ეკონომიკურ საქმიანობაში, განათლებაში, მმართველობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადასვლა წარმოადგენს გადასვლას ტრადიციული ინდუსტრიული ეკონომიკებიდან ცოდნაზე დაფუძნებულ ეკონომიკებზე, სადაც ინფორმაციის გენერირების, დამუშავებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი გადამწყვეტია ინდივიდუალური და კოლექტიური პროგრესისთვის.

სწორედ ამგვარი საზოგადოებისთვის შექმნილი პროდუქტია ტელესერიალი, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, მასების და, მეორე მხრივ, ინდივიდების გემოვნებასა და მოთხოვნებს. აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად მნიშვნელოვანია ინფორმაციულ საზოგადოებაში სერიალების ფუნქციური როლის სიღრმისეული გააზრება, მათი კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და ეთიკური განზომილებების შეს-

წავლა, კვლევის ძირითად მიმართულებად თანამედროვე მედია ლანდშაფტის დინამიკასა და განვითარებაში სერიული კულტურის მნიშვნელობის, მისი როლისა და ფუნქციების განსაზღვრა.

და მაინც, რა როლს ასრულებს საინფორმაციო საზოგადოებაში ტელესერიალი? თემა საკმაოდ ვრცელი აქტუალური და საინტერესოა როგორც იდეური, ასევე წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია სატელევიზიო სერიალების მრავალმხრივი ფუნქციისა და შედეგების ყოვლისმომცველი გააზრება თანამედროვე კულტურისა და მედია ლანდშაფტის ფარგლებში. თუ როგორ ფუნქციონირებს სატელევიზიო სერიალები, როგორც კულტურული წარმოდგენის, სოციალური კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების კრიტიკული ინსტრუმენტები იმ ეპოქაში, რომელიც ხასიათდება სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლებითა და მედიის კონვერგენციით. სხვადასხვა ასპექტის შესწავლით, როგორებიცაა ნარატიული სტრუქტურები, აუდიტორიის ჩართულობა და ციფრული პლატფორმების გავლენა, ტელესერიალი აყალიბებს და ასახავს საზოგადოების დინამიკას. გარდა ამისა, დიდია სერიალების საგანმანათლებლო და ინფორმაციული მნიშვნელობა, მათი ეკონომიკური და ინდუსტრიული ზეგავლენა როგორც საზოგადოებრივ დისკურსზე ასევე, კულტურულ საუბრებზე.

სატელევიზიო სერიალები განვითარდა მათი ტრადიციული როლის მიღმა, ის აღარ წარმოადგენს მხოლოდ გართობის წყაროს და გახდა მნიშვნელოვანი კულტურული, სოციალური და ინფორმაციული ფენომენი.

ტელესერიალების გავლენა თანამედროვე კულტურასა და ეკონომიკაზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოდისა და ბრენდების სფეროში. ბრენდული ცნობადობა, მომხმარებლის ქცევა და ტენდენციების შექმნა არაერთხელ დაკავშირებულა სერიალების ვიზუალურ იდენტობასა და პერსონაჟების სტილთან. სამი კონკრეტული შემთხვევა – Miami Vice, Squid Game და Gossip Girl – მკაფიოდ წარმოაჩენს ამ გავლენას.

1980-იანი წლების ამერიკულ სერიალს Miami Vice მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა კაცების მოდის ტრანსფორმაციაში. სერიალის პერსონაჟის – სონი კროკეტის მიერ Armani-ის პასტელის ფერის ჟაკეტებისა და თეთრი ლინენის შარვლების ტარებამ გააღრმავა ინტერესი იტალიური მოდისადმი აშშ-ში. ამასთანავე, Ray-Ban-ის Wayfarer სათვალის გაყიდვები მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც პერსონაჟმა დაიწყო მათი გამოყენება ეკრანზე.¹

2021 წელს Netflix-ის სერიალმა Squid Game ახალი სიცოცხლე მიანიჭა სპორტულ სტილს. მწვანე სპორტული კოსტიუმები და თეთრი Vans slip-on სტილის სპორტუ-

¹ Baudrillard, Simulacra, 1994.

ლი ფეხსაცმელი მომხმარებლების საძიებო სისტემებსა და ონლაინ პლატფორმებზე ათასობით პროცენტით გაიზარდა. Depop-ზე კონკრეტული მოდელების ძიება 7,800%-ით გაიზარდა სერიალის გამოსვლიდან მალევე, ხოლო Jung Ho-yeon, ერთ-ერთი მთავარი მსახიობი, Louis Vuitton-ის გლობალურ ელჩად დასახელდა.²

სერიალი Gossip Girl კი მოდის ინდუსტრიის განუყოფელ ნაწილად იქცა 2007–2012 წლებში. ის აღიარებული იქნა, როგორც მოდის მარკეტინგის ძლიერი ხაზი – ბრენდები, როგორებიცაა Verizon Wireless, VitaminWater და HP, მონაწილეობდნენ პროდუქტის პირდაპირი პლასირებით. სერიალის პერსონაჟების ჩაცმულობა ხშირად განსაზღვრავდა ახალ სეზონურ ტენდენციებს, ხოლო სერიალი თავად იქცა მოდის ერთგვარ ვიტრინად.³

ინფორმაციის გავრცელება, მიღება და ინტერპრეტაცია განსაზღვრავს სოციალურ და კულტურულ პრაქტიკებს, ტელესერიალი ფუნქციურად ტრანსფორმირებული მედიუმია. ის აღარ არის მხოლოდ გასართობი პროდუქტი; პირიქით — ტელესერიალი თანადროულად ასრულებს ინფორმაციულ, კულტურულ, იდენტობრივ, საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიურ ფუნქციებს. მისი გავლენა ინდივიდისა და საზოგადოების კომუნი-

კაციურ ქცევებზე, ღირებულებათა სისტემასა და იდენტობის კონსტრუირებაზე მრავალმხრივია.

ტელესერიალის ფუნქციური თავისებურებების შესწავლა ინფორმაციულ საზოგადოებაში არა მხოლოდ მედიის კვლევისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელია სოციოკულტურული ანალიზისთვისაც. ამ კონტექსტში ტელესერიალი გვევლინება როგორც ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფორმა, რომელიც ასახავს თანამედროვე ადამიანის ცნობიერებისა და ყოფის სპეციფიკას.

² Yildirim, Aydin, The Role, 13(1), 2022, pp. 45–54.

³ Gossip Girl, New York Times, 2008.

თელესერიალის ფუნქციური თავისებურებები ინფორმაციულ საზოგადოებაში

საკვანძო სიტყვები: ტელესერიალი, ინფორმაციული საზოგადოება, სერიალის ფუნქციური თავისებურებები

მასობრივი კულტურა ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ გადაიქცა თანამედროვე ადამიანის ყოველდღიურობად, მისი ქრონოლოგია იმდენად ორგანულად და სწრაფად განვითარდა, რომ, შეიძლება ითქვას, უმტკივნეულოდ კი ინტეგრირდა დღევანდელობაში. სერიალები უდავოდ ერთ-ერთ ტიტანურ ადგილს იკავებს, ატლასის მსგავსად, რომელზეც დგას მასობრივი, ანუ პოპკულტურა. შესაბამისად, საინტერესოა სერიალის ფუნქციური თავისებურებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, თუმცა ამისათვის საჭიროა დაახლოებითი წარმოდგენა მაინც გვქონდეს „ინფორმაციულ საზოგადოებასა“ და მის დეფინიციებზე.

„ინფორმაციული საზოგადოება“ არის სოციალურ-ეკონომიკური კონსტრუქცია, სადაც ინფორმაცია და ცოდნა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების ძირითადი მამოძრავებელია. ინფორმაციულ საზოგადოებაში ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT) ცენტრალურ როლს თამაშობენ სხვადასხვა სექტორში ცოდნის შექმნას, გავრცელებასა და გამოყენებაში. ინფორმაციული საზოგადოების მახასიათებლები მოიცავს ციფრულ ტექნოლოგიებზე ფართო ხელმისაწვდომობას, ციფრული შინაარსისა და მონაცემების გამრავლებას, ციფრული საკომუნიკაციო ქსელების გამორჩეულობას და ICT-ების ინტეგრაციას ეკონომიკურ საქმიანობაში, განათლებაში, მმართველობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ინფორმაციის გენერირების, დამუშავებისა და ეფექტურად გამოყენების უნარი გადამწყვეტია ინდივიდუალური და კოლექტიური პროგრესისთვის.

სწორედ ამგვარი საზოგადოებისთვის შექმნილი პროდუქტია ტელესერიალი, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, მასებისა და, მეორე მხრივ, ინდივიდების გემოვნებასა და მოთხოვნებს. აღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად მნიშვნელოვანია ინფორმაციულ საზოგადოებაში სერიალების ფუნქციური როლის სიღრმისეული გააზრება, მათი კულტურული, სოციალური, ეკონომიკუ-

რი და ეთიკური განზომილებების შესწავლა, კვლევის ძირითად მიმართულებად თანამედროვე მედია ლანდშაფტის დინამიკასა და განვითარებაში სერიული კულტურის მნიშვნელობის, მისი როლისა და ფუნქციების განსაზღვრა.

და მაინც, რა როლს ასრულებს საინფორმაციო საზოგადოებაში ტელესერიალი? თემა საკმაოდ ვრცელი აქტუალური და საინტერესოა, როგორც იდეური ასევე წმინდა პრაგმატული თვალსაზრისით. მნიშვნელოვანია სატელევიზიო სერიალების მრავალმხრივი ფუნქციისა და შედეგების ყოვლისმომცველი გააზრება თანამედროვე კულტურისა და მედიალანდშაფტის ფარგლებში. თუ როგორ ფუნქციონირებს სატელევიზიო სერიალები, როგორც კულტურული წარმოდგენის, სოციალური კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელების კრიტიკული ინსტრუმენტები იმ ეპოქაში, რომელიც ხასიათდება სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლებითა და მედიის კონვერგენციით. სხვადასხვა ასპექტის შესწავლით, როგორებიცაა ნარატიული სტრუქტურები, აუდიტორიის ჩართულობა და ციფრული პლატფორმების გავლენა, ტელესერიალი აყალიბებს და ასახავს საზოგადოების დინამიკას. გარდა ამისა, დიდია სერიალების საგანმანათლებლო და ინფორმაციული მნიშვნელობა, ეკონომიკური და ინდუსტრიული ზეგავლენა და მათი გავლენა საზოგადოებრივ დისკურსსა და კულტურულ საუბრებზე.

სატელევიზიო სერიალები განვითარდა მათი ტრადიციული როლის მიღმა, ის აღარ წარმოადგენს მხოლოდ გართობის წყაროს, და გახდა მნიშვნელოვანი კულტურული, სოციალური და ინფორმაციული ფენომენი.

„ტკივილი, ვნება, სიყვარული, ღალატი, მრისხანება, მოტყუება, იმედგაცრუება, ოჯახი, ერთგულება და სექსუალობაც კი ეკრანებზე ინტერნალიზდება; ამგვარად, იცვლება ჩვენი კულტურული რიტუალები“.¹

კონკრეტული თემის სიახლე და აქტუალობა ცალსახად მნიშვნელოვანია თანამედროვე სამყაროში, მასობრივი კულტურა და განსაკუთრებით სერიალები ქმნიან ეპოქას: ფრთიანი გამონათქვამებიდან, მოდის ტენდენციებიდან დაწყებული, მორალური ასპექტის კარნახით და არაერთგვაროვანი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებით დამთავრებული.

¹ Yıldırım, Aydın, The Role, 2012.

სატელევიზიო სერიალები დიდი ხანია აღიარებულია, როგორც ისტორიების მოთხრობის, გასართობი და კულტურული რეფლექსიის მძლავრი საშუალება. დღევანდელ საინფორმაციო საზოგადოებაში, რომელსაც ახასიათებს სწრაფი ტექნოლოგიური წინსვლა და მედიის კონვერგენცია, სერიალების მნიშვნელობა სცილდება უბრალო გართობას. ამ კონტექსტში სატელევიზიო სერიალების ფუნქციონალური თავისებურებების გაგება არა თუ მხოლოდ აქტუალური, არამედ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტია მათი ღრმა გავლენის გასაგებად თანამედროვე კულტურაზე, საზოგადოებასა და მედია გარემოზე.

ამ კვლევის ცენტრში აღიარებენ იმ მრავალმხრივი ფუნქციებს, რომლებსაც სერიალები თამაშობენ ინფორმაციული საზოგადოების სტრუქტურაში. სატელევიზიო სერიალები, გართობის წყაროს გარდა, ფუნქციონირებს, როგორც სასიცოცხლო ინსტრუმენტები კულტურული წარმოდგენის, სოციალური კომუნიკაციისა და ინფორმაციის გავრცელებისთვის. ისინი ასახავს და აყალიბებს კულტურულ ნორმებს, ღირებულებებსა და სოციალურ ტენდენციებს, აწვდის აუდიტორიას ნარატივებს, რომლებიც ასახავს და გავლენას ახდენს მათ გარშემო არსებულ სამყაროზე.

თანამედროვე ადამიანზე, მის ფსიქოლოგიასა და მსოფლმხედველობაზე სერიალების გავლენა მკვეთრად იგრძნობა, მათი გავლენის არეალი საკმაოდ დიდ მასშტაბებთანაა ასოცირებული. სატელევიზიო სერიალი სცილდება ტრადიციულ ჩარჩოებს, როგორც უბრალო გასართობს, რასაც ადასტურებს გაანალიზებული ვრცელი თეორიული მასალა, რომელიც შეისწავლის მასობრივ კულტურას, ზოგადად სერიალის ფენომენს და მის გავლენას, სოციოლოგიას, მედიაკრიტიკას, მედიაწიგნიერებას და ადამიანის სიმბიოზს პოპკულტურასთან, რომელსაც ყოველდღიურობა ჰქვია.

ინფორმაციული საზოგადოების კონტექსტში მასობრივი კულტურის ფორმები გადამწყვეტ როლს თამაშობენ კულტურული თვითგამოხატვის, სოციალური დისკურსისა და ინფორმაციის გავრცელების პროცესში. ტელესერიალი, როგორც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გავრცელებული მედიაფორმატი, ინფორმაციული ეპოქის პროდუქტი და, ამავდროულად, მისი ფორმირების აქტიური ნაწილი გახდა.

თანამედროვე მედიასივრცეში სერიალები აღარ არის მხოლოდ გასართობი პროდუქტი. ისინი წარმოადგენს სოციოკულტურულ პლატფორმას, სადაც თავმოყრილი და გამოხატულია მრავალფეროვანი იდენტობები და პრობლემები: ეთნიკური, რელიგიური, გენდერული, ეკონომიკური და სხვა. მათი ზეგავლენა ვრცელდება მსოფლმხედველობაზე, ღირებულებებსა და კოლექტიურ წარმოდგენებზე. სერიალების განხილვა ინფორმაციულ საზოგადოებაში აუცილებელია არა მხოლოდ კულტურული ან ესთეტიკური, არამედ სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

„ახალი სერიალები სხვადასხვა პლატფორმაზე მნიშვნელოვან მედია ფენომენად იქცევა, რაც სატელევიზიო რეიტინგების გაანგარიშების ტრადიციული მეთოდების გადახედვას მოითხოვს“.²

სერიალის ფუნქციური თავისებურებები

1. **კულტურული ფუნქცია** – სერიალი ასახავს საზოგადოებრივ ნორმებსა და ღირებულებებს, ქმნის კულტურულ მოდელებს და ავლენს იდენტობის პოლიტიკას. სერიალში აისახება სხვადასხვა სოციოკულტურული თემატიკა, როგორიცაა გენდერული თანასწორობა, მიგრაცია, სექსუალობა და ტრადიციული ფასეულობების კრიტიკა.
2. **სოციალური ფუნქცია** – სერიალი ქმნის კოლექტიურ გამოცდილებას, ერთიანდება აუდიტორიასთან სოციალური ქსელებისა და კომენტარების მეშვეობით, ქმნის საერთო მესხიერებას და ინიცირებს საზოგადოებრივ დისკუსიებს.
3. **ინფორმაციული ფუნქცია** – სერიალი ხშირად ემსახურება ინფორმაციის გავრცელებას, პოლიტიკური, ისტორიული ან ეთნიკური თემების გაშუქებას. ის ასრულებს „რბილი ძალის“ როლს გლობალურ კულტურულ პროცესებში.
4. **ეკონომიკური ფუნქცია** – სერიალი მნიშვნელოვან როლს თამაშობს მედია ინდუსტრიაში: შექმნის, დისტრიბუციის და მონეტიზაციის სტრუქტურებში. ის ქმნის ახალ ეკონომიკურ მოდელებს ციფრულ პლატფორმებზე.

² Tomoiagă, Television, 2015, pp. 58-68.

დანიელ ბელი ინფორმაციულ საზოგადოებას მიიჩნევს როგორც პოსტინდუსტრიულ ეტაპს, სადაც მთავარი რესურსია არა მატერია ან კაპიტალი, არამედ ინფორმაცია და ცოდნა. მისი აზრით, ამ საზოგადოებაში კულტურა, პოლიტიკა და სოციალური სტრუქტურა დამოუკიდებელი სფეროებია და ინფორმაციული ტრანსფორმაცია გავლენას ახდენს სწორედ სოციალურ სტრუქტურებზე.³

მანუელ კასტელსი ყურადღებას ამახვილებს „ქსელური საზოგადოების“ იდეაზე. მასში ინფორმაცია მოძრაობს არა სივრცობრივად, არამედ ქსელურად – ანუ არ არის მიბმული კონკრეტულ ადგილს. სერიალი, როგორც ციფრული პროდუქტი, სწორედ ასეთი ქსელური ურთიერთობების გამოხატულებაა, რომელიც აუდიტორიას აერთიანებს გეოგრაფიული და კულტურული საზღვრების მიღმა.⁴

მარშალ მაკლუენი მიიჩნევს, რომ „საშუალება თავად არის შეტყობინება“ – რაც ნიშნავს, რომ თვითონ ტელევიზიური ფორმატი, და მისი ვიზუალური გამოცდილება, განსაზღვრავს მიღებული ინფორმაციის ინტერპრეტაციას. მაყურებელი ტელევიზორს როგორც ახალ „კულტურულ რიტუალს“ ისე იღებს.⁵

ტელესერიალების გავლენა თანამედროვე კულტურასა და ეკონომიკაზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა მოდისა და ბრენდების სფეროში. ბრენდული ცნობადობა, მომხმარებლის ქცევა და ტენდენციების შექმნა არაერთხელ დაკავშირებულა სერიალების ვიზუალურ იდენტობასა და პერსონაჟების სტილთან. სამი კონკრეტული შემთხვევა – *Miami Vice*, *Squid Game* და *Gossip Girl* – მკაფიოდ წარმოაჩენს ამ გავლენას.

1980-იანი წლების ამერიკულ სერიალს **Miami Vice** მნიშვნელოვანი როლი ჰქონდა კაცების მოდის ტრანსფორმაციაში. სერიალის პერსონაჟის – სონი კროკეტის მიერ Armani-ის პასტელის ფერის ჟაკეტებისა და თეთრი ლინენის შარვლების ტარებამ გააღრმავა ინტერესი იტალიური მოდისადმი აშშ-ში. ამასთანავე, Ray-Ban-ის Wayfarer სათვალის გაყიდვები მნიშვნელოვნად გაიზარდა მას შემდეგ, რაც პერსონაჟმა დაიწყო მათი გამოყენება ეკრანზე.⁶

³ ბელი, ინფორმაციული.

⁴ Castells, *The Rise*, 1996.

⁵ McLuhan, *The Global*, 1989.

⁶ Baudrillard, *Simulacra*, 1994.

2021 წელს Netflix-ის სერიალმა **Squid Game** ახალი სიცოცხლე მიანიჭა სპორტულ სტილს. მწვანე სპორტული კოსტიუმები და თეთრი Vans slip-on სტილის სპორტული ფეხსაცმელი მომხმარებლების საძიებო სისტემებსა და ონლაინ პლატფორმებზე ათასობით პროცენტით გაიზარდა. Depop-ზე კონკრეტული მოდელების ძიება 7,800%-ით გაიზარდა სერიალის გამოსვლიდან მალევე, ხოლო Jung Ho-yeon, ერთ-ერთი მთავარი მსახიობი, Louis Vuitton-ის გლობალურ ელჩად დასახელდა.⁷

სერიალი – Gossip Girl კი მოდის ინდუსტრიის განუყოფელ ნაწილად იქცა 2007-2012 წლებში. ის აღიარეს, როგორც მოდის მარკეტინგის ძლიერი ხაზი – ბრენდები, როგორებიცაა Verizon Wireless, VitaminWater და HP, მონაწილეობდნენ პროდუქტის პირდაპირი პლასირებით. სერიალის პერსონაჟების ჩაცმულობა ხშირად განსაზღვრავდა ახალ სეზონურ ტენდენციებს, ხოლო სერიალი თავად იქცა მოდის ერთგვარ ვიტრინად.⁸

ინფორმაციულ საზოგადოებაში, რომელშიც ინფორმაციის გავრცელება, მიღება და ინტერპრეტაცია განსაზღვრავს სოციალურ და კულტურულ პრაქტიკებს, ტელესერიალი ფუნქციურად ტრანსფორმირებული მედიუმია. ის აღარ არის მხოლოდ გასართობი პროდუქტი; პირიქით – ტელესერიალი თანადროულად ასრულებს ინფორმაციულ, კულტურულ, იდენტობრივ, საგანმანათლებლო და ფსიქოლოგიურ ფუნქციებს. მისი გავლენა ინდივიდისა და საზოგადოების კომუნიკაციურ ქცევებზე, ღირებულებათა სისტემასა და იდენტობის კონსტრუირებაზე მრავალმხრივია.

ტელესერიალის ფუნქციური თავისებურებების შესწავლა ინფორმაციულ საზოგადოებაში არა მხოლოდ მედიის კვლევისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ აუცილებელია სოციოკულტურული ანალიზისთვისაც. ამ კონტექსტში ტელესერიალი გვევლინება როგორც ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ფორმა, რომელიც ასახავს თანამედროვე ადამიანის ცნობიერებისა და ყოფის სპეციფიკას.

⁷ Yildirim, Aydin, The Role, 13(1), 2022, pp. 45–54.

⁸ New York Times, Gossip Girl, 2008.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Baudrillard J., Simulacra and Simulation, Michigan Press, 1994.
- Castells M., The Rise of the Network Society. Volume I of The Information Age: Economy, Society and Culture. Oxford, 1996.
- Clifford S., „Gossip Girl“ Makes Product Placement Chic, New York Times, July 14, 2008.
- McLuhan M., Powers B. R., The Global Village: Transformations in World Life and Media in the 21st Century, Oxford, 1989.
- Tomoiagă L., Television Series as Mirrors of Contemporary Life, Cambridge, 2019.
- Yildirim Y., Aydin K. The Role of Popular TV Series and TV Series Characters in Creating Brand Awareness, Brooklyn, New York, 13(1), 2022.
- Yildirima Y., The Role of Popular TV Series and TV Series Characters in Creating Brand Awareness, 2012.
- ბელი დ., ინფორმაციული საზოგადოება, როგორც პოსტინდუსტრიალიზმი. http://www.socium.ge/downloads/samagistro/shevdivart_ra_info_erashi.pdf 16/06/2025.
- Даниленко Т.А. Сериал Как Феномен Массовой Культуры. <http://repository.buk.by/jspui/bitstream/123456789/1692/1/SERIAL%20KAK%20FENOMEN%20MASSOVOY%20KUL%27TURYI.pdf> 16/06/2025.
- Кушнарёва И., Как Нас Приучили к Сериалам, Москва, 2013.

ხელოვნების მკვლევართა XVII
საერთაშორისო კონფერენციის
თავისუფელი სეჰციების მასალები

თეატროლოგია

დალი მესაბლიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
თეატრალური ხელოვნების დოქტორი

რეზიუმე

ნაშრომის არსს წარმოადგენს მეთოდი, რომელიც ეფუძნება და აერთიანებს სათეატრო ხელოვნების, ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის ზოგიერთ ასპექტს. ამასთანავე, მათ კვეთაზე განიხილავს მოტივაციის თვისებრიობას. აღნიშნული კვლევა საინტერესო მაგალითების სახით წარმოგვიდგენს, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ თეატრალური ეტიუდის სპეციფიკა, რათა შევირდს როლური თამაშის გავლენით გავაზრებინოთ მოტივაციის სოციალური მნიშვნელობა, ამ გზით კი ხელი შევუწყოთ მასში ნებისყოფის უნარის გაძლიერებას, პასუხისმგებლობის გრძნობის აღზრდას, დისციპლინის გამომუშავებას. ნაშრომი ასევე ასახავს ამ მეთოდის კვალდაკვალ შემუშავებულ იმ მიდგომათა სისტემას, რაც შემოქმედებით პროცესში შესაძლებელს ხდის, როლური თამაში მოზარდისათვის ვაქციოთ თვალსაჩინო მაგალითად იმისა, თუ როგორ შეიძლება მოტივაციამ, როგორც ინტერესთა გენერატორმა, პიროვნება გაიყვანოს სოციალურ შედეგებზე.

წინამდებარე კვლევის მაჩვენებლებით მტკიცდება, რომ პერსონაჟის ქცევის მამოტივირებელი საზრისის დადგენა, მოზარდის სოციალური პრაქტიკისა და მასში გამოცდილების დაგროვების კუთხით, სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს. შესაბამისად, აქ წარმოდგენილი მასალა ეფუძნება სამყაროს პოზიტიურად აღქმის, სრულყოფილებისაკენ უწყვეტად სწრაფვისა და საზოგადოებისათვის კეთილდღეობის შექმნის იმ პრინციპებს, რაც შესაძლებელს ხდის სააღმზრდელო პროცესში მოზარდის მსოფლმხედველობა ღირებულებებისადმი სწრაფვისა და პატივისცემის ჩვევით გავაჯეროთ, რათა მისი მოტივაცია მუდმივად ჰუმანისტური იყოს.

სათემატრო ხელოვნება VS მოტივაცია

საკვანძო სიტყვები: როლური თამაში, მოტივაცია, დისციპლინა, სოციალური გამოცდილება, ღირებულებათა სისტემა

მოზარდებთან, თეატრალურ ეტიუდებზე მუშაობისას, შემოქმედებითი პროცესის კიდევ უფრო მეტად დახვეწის მიზნით, საჭიროა ჩამოვაცალიბოთ მიდგომათა იმგვარი სისტემა, რომელიც შექმნის შესაძლებლობას, როლური თამაშის გავლენით მოზარდს ხელი შეეუწყოთ მოვახდინოთ მოტივაციის როლისა და მნიშვნელობის საფუძვლიანად გააზრებაში. ამ გზით ხდება ნებისყოფის უნარის გაძლიერება, დისციპლინის გამომუშავება – მოტივაციაა იმ ინტერესთა გენერატორი, რამაც უნდა გაგვიყვანოს სოციალურ შედეგებზე. ასევე, როლური თამაშის ფენომენი, მისი პრინციპები და თვისებრიობა უნდა გამოვიყენოთ შესაძლებლობად, რომლის მეშვეობითაც სააღმზრდელო პროცესში მოზარდის მსოფლმხედველობა ღირებულებებისადმი სწრაფვისა და პატივისცემის ჩვევით უნდა გავაჯეროთ, რათა მისი მოტივაცია მუდმივად ჰუმანისტური იყოს. გამომდინარე აქედან, მისი სოციალური განვითარება მნიშვნელოვანია წარმართოთ შემეცნებით, ესთეტიკურ, მორალურ ღირებულებათა კვეთაზე. ამგვარად, შესაძლებელს გავხდით მოზარდში აღმოვაყენოთ სრულყოფილებისაკენ უწყვეტად სწრაფვის სურვილიც და მოტივაციაც. ეს კი, შედეგად, მასში სამყაროს პოზიტიურ ჭრილში აღქმისა და საზოგადოებისათვის კეთილდღეობის შექმნის მოტივატორად და წინაპირობად ტრანსფორმირდება, რაც თანამედროვე ეპოქაში კიდევ უფრო აქტუალური და საყურადღებო ხდება და რაც სააღმზრდელო პროცესის უმთავრეს დანიშნულებას უნდა წარმოადგენდეს.

ამ საკითხთან მიმართებით, საგანგებო მნიშვნელობას იძენს დიმიტრი უზნაძის თეორიის პედაგოგიკური ასპექტები, რომლებიც აღზრდის პროცესს წარმოაჩენს როგორც სწრაფვას იდეალურისკენ და ხაზს უსვამს, რომ სწორედ გამუდმებით სრულყოფისაკენ მსწრაფი ადამიანი ცდილობს სამყაროზე ზრუნვას, მის პოზიტიურ გარდასახვასა და საზოგადოებისათვის მაქსიმალური კეთილდღეობის შექმნას. იგივე აქცენტებს სვამს ამერიკელი ფსიქოლოგი კარლ როჯერსი თავისივე შემუშავებულ ჰუმანისტურ თეორიაში, რომლის თანახმადაც ადამიანი როდესაც საკუთარ თავს დადები-

თად აღიქვამს, მის მიერ სამყაროს აღქმაც პოზიტიურია და საქციელსაც დადებითს ავლენს, უარყოფითი წარმოდგენის შემთხვევაში კი უკმაყოფილების განცდით არის მოცული და თავსაც უბედურად გრძნობს.

თუ თვისებრივად გავანალიზებთ მოტივაციას და ვაღიარებთ აქ წარმოდგენილ თეორიებში მისი როლისა და მნიშვნელობის, როგორც საზოგადოდ ღირებულ ფაქტორს, ყველასათვის ცხადი გახდება, რომ სრულყოფილებისაკენ გამუდმებით სწრაფვის უნარი მოტივაციის მართვის უდიდეს პოტენციალსა და ფსიქოემოციურ მდგრადობაზე მეტყველებს, ხოლო დაბალი თვითშეფასებისა და სუსტი ნებისყოფის ადამიანი საკუთარ თავში მოტივაციის მართვისა და დაგენერირების დეფიციტს განიცდის.

იმისათვის, რომ შევირდმა შეიმეცნოს მოტივაციის საკითხი მაქსიმალურად სწორად, ეფექტურად აღიქვას, ობიექტურად/კრიტიკულად გაიაზროს, შეაფასოს, მისდამი ჯანსაღი დამოკიდებულები ჩამოაყალიბოს თეატრალური თამაშისას განცდილი მასში უნდა ტრანსფორმირდეს სოციალურ გამოცდილებად. შესაბამისად, როლური თამაში უნდა ექცეს თვალსაჩინო მაგალითად იმისა, თუ როგორ შეიძლება მოტივაცია ადამიანმა თავისი ძლიერი ნებისყოფითა და დისციპლინირებულობით, სრულყოფილებისაკენ მუდმივად სწრაფვისა და წარმატების ალგორითმად აქციოს. ამისათვის მნიშვნელოვანია პედაგოგ-რეჟისორმა ეტიუდის ფაბულის აგებისას და მისი მხატვრული დამუშავებისას, მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირთა, ორიგინალურად ფორმირებითა და მიზნობრივი ანალიზით, შევირდისათვის ნათლად წარმოაჩინოს და გასაგები გახადოს მოტივაციის სოციალური როლი და მნიშვნელობა. ყურადღება უნდა გაამახვილოს ღირებულებათა სისტემაზე და ეტიუდში ჩართოს იმ სახის მოცემული ვითარებები, რაც ხელს შეუწყობს სოციალურად მაღალი მოთხოვნილებების, მაღალი ინტერესების აღმოცენებას, მორალური ქცევის ჩამოყალიბებას, რადგან „რაც მეტ როლს თამაშობენ ისინი პიროვნებაში, მით უფრო მტკიცე საფუძველი აქვს პიროვნების ნებისყოფას, მით უფრო ძლიერია მისი ქცევის მოტივები და მით უფრო მტკიცეა გადაწყვეტილება, რომელსაც ამ მოტივების საფუძველზე გამოიტანს ადამიანი“.¹

¹ ნათაძე, ფსიქოლოგიის, 1962, გვ. 273.

მეტად საყურადღებო სენტენციებს გვთავაზობს თანამედროვე ფილოსოფია, რომელიც ცნება მოტივს ფრიად მნიშვნელოვანი ასპექტებით წარმოაჩენს, რაც ეტიუდზე მუშაობისას, აღმზრდელობით-შემეცნებითი კუთხით ღირებულ დატვირთვას იძენს: „ერთი და იგივე ქცევა სულ სხვადასხვა მოტივით შეიძლება იყოს აღძრული ... სწორედ მოტივის ცოდნის შემდეგ ხდება გასაგები – ზნეობრივია თუ უზნეოა ჩადენილი საქციელი“.²

„ქცევები არსებობენ არა მარტო ზნეობრივი ან უზნეონი, არამედ ზნეობრივად ნეიტრალურიც“.³

ამრიგად, შემოქმედებით პროცესში პედაგოგ-რეჟისორმა მნიშვნელოვანია შექმნას დისკურსი, რომელშიც უნდა ასახოს:

- ✓ აქ წარმოდგენილი სენტენციების ანალიზი, რაც შევირდს დაეხმარება ცნება მოტივის ირგვლივ ობიექტური და სოციალიზაციისათვის მნიშვნელოვანი ცოდნის კონსტრუირებაში, ასევე, მის ფილოსოფიურ გააზრებაში;
- ✓ ეტიუდში მოქმედი მხატვრული სახეებისა და სოციალური როლების იდენტიფიკაცია; მათ შორის შედარებითი ანალიზი. პროცესი ჯგუფური რეფლექსიის ფორმით უნდა წარიმართოს;
- ✓ ასევე, ჯგუფური რეფლექსიის ფორმით უნდა გაიმართოს მსჯელობა ისეთი სოციალური ცნებების შესახებ, როგორებიცაა ნებისყოფა, პასუხისმგებლობის/მოვალეობის გრძნობა, დისციპლინა, რაც მოწაფეებმა მოტივაციასა და წარმატებასთან ურთიერთიმართებაში უნდა განიხილონ და ერთმანეთთან კორელაციაში შეიყვანონ;
- ✓ უნდა დაადგინონ ეტიუდში მოქმედი პირების მოტივაციები; უნდა შეაფასონ, რამდენად ღირებული და ზნეობრივია ყოველი მიზანი; მოტივების მიხედვით უნდა შეაფასონ მათი ჩადენილი საქციელი და მოქმედი პირები დაახასიათონ მათი ქცევების შესაბამისად;
- ✓ უნდა შექმნან მოცემული ვითარება, ერთ რომელიმე პერსონაჟს (ან პერსონაჟებს), უნდა დაუსახონ მიზანი და აანთონ მოტივაციით; გააანალიზონ და გაითამაშონ, შექმნილ ვითარებაში თუ როგორ განახორციელებს სცენურ ამოცანებს აღნიშნული პერსონაჟი (ან პერსონაჟები), თუ: ა) თვისებრივ დილემად ნე-

² ბალანჩივაძე, ასათიანი, პედაგოგიკის, 1997, გვ. 260.

³ იქვე, გვ. 262.

ბისყოფისა და დისციპლინის დეფიციტს შეუქმნიან; ბ) ძლიერ მხარეებად ნებისყოფას, პასუხისმგებლობასა და დისციპლინას განუსაზღვრავენ.

ჯგუფმა უნდა განიხილოს პერსონაჟის მიღწევები და შედეგები; მათი განმაპირობებელი მიზეზები; მოახდინოს ყოველივეს ანალიტიკური/კრიტიკული გააზრება; გამომდინარე აქედან, ჩამოაყალიბოს ადამიანური კაპიტალის განვითარების საკუთარი ხედვა/სტრატეგია;

- ✓ სწორედ მოქმედი პირების მოტივაციათა დაპირისპირების საფუძველზე უნდა შეიქმნას საინტერესო მოვლენებით, კონფლიქტებით, მორალური დილემებით გაჯერებული მოცემული ვითარებები. ამიტომ, ყოველი პერსონაჟისათვის პერსონალური მოტივებიდან გამომდინარე უნდა განისაზღვროს ქმედითი ამოცანები და ინდივიდუალურად აიგოს გამჭოლი მოქმედების ხაზი. შედეგად მივიღებთ ერთმანეთისაგან განსხვავებულ, ურთიერთგამომრიცხავი მოტივების საფუძველზე შექმნილ მწვავე კონფლიქტებით გაჯერებულ ბრძოლის ველს.

ამ საჭადრაკო დაფაზე, როგორც მას მიხეილ თუმანიშვილი უწოდებდა, მოვლენები ისე უნდა ვცვალოთ, რომ მოზარდისათვის სულ უფრო თვალსაჩინო, მისაღები და სამაგალითო ხდებოდეს, ძლიერ ნებისყოფას, დისციპლინიზებულობასა და პასუხისმგებლობის გრძნობას, პიროვნება როგორ მიჰყავს დასახული მიზნის განხორციელებამდე.

როლური თამაშისას, პერსონაჟში აღმოჩენილი დადებითი თუ უარყოფითი თვისებები/მხარეები, მოზარდს საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულად განაწყობს და უჩენს სრულყოფილებისაკენ უწყვეტად სწრაფვის სურვილსა და მოტივაციას, რაც მასში ფსიქოემოციური მდგრადობისა და თვითშეფასების ამაღლებისათვის საჭირო უნარების გამომუშავების საფუძველად ტრანსფორმირდება.

საყურადღებოა, რომ „მკვლევრებმა დადებითი და ძლიერი კორელაცია დაადგინეს მოტივაციასა და მიღწევას შორის“.⁴

შემოქმედებითი პროცესის სტრატეგიულობისას, პედაგოგ-რეჟისორმა ასევე მნიშვნელოვანია ყურადღება გაამახვილოს, ერთი მხრივ, სათეატრო ხელოვნებაში, ხოლო, მეორე მხრივ, ფსი-

⁴ წერეთელი, განათლების, გვ. 18.

ქოლოგიურ მეცნიერებაში დადგენილი ნებისმიერი მოქმედების პრინციპებზე, რადგან ეტიუდში მოქმედებათა რიგის აგებისას, მათი კორელატი შესაძლებლობას იძლევა შეგირდისათვის მოტივაციის არსობრივი მნიშვნელობა უფრო არგუმენტირებული და ნათლად აღსაქმელი გახადოს. კერძოდ, ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში დადგენილ კანონზომიერებათა მიხედვით, „[...] ნებისმიერი მოქმედება სამ პერიოდს შეიცავს. პირველ პერიოდს შესაძლო მოქმედებათა გაცნობიერება და მათი შეფასება შეადგენს... მეორე პერიოდს გადაწყვეტილების გამოტანა... მესამე პერიოდი გადაწყვეტილების განხორციელებაში მუდგანდება“.⁵

ამასთანავე, საყურადღებოა, რომ ნებისმიერი მოქმედების ფსიქოლოგიურ საფუძველს მოტივი/მოტივაცია წარმოადგენს, რომლის პარალელურად მკაფიოდ იკვეთება და პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება ძლიერ ნებისყოფას, დისციპლინასა და განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობას. შესაბამისად, მათი ფაქტორი დასახული მიზნის მიღწევაში, მოტივაციის როლთან შეფარდებით, უმთავრესად განიხილება.

აღსანიშნავია, რომ სათეატრო ხელოვნებაში ნებისყოფა, დისციპლინა, პასუხისმგებლობის გრძნობა ის უნარებია, რაც კომპლექსურად პროფესიული ეთიკის პრინციპულ ნორმადაა აღიარებული; ხოლო ნებისმიერი მოქმედება, როგორც ცნობილია, აქაც სამ ეტაპად იყოფა: სურვილი – რა მინდა? მოქმედება – რას ვაკეთებ? ხერხი – როგორ ვაკეთებ?

ეტიუდზე მუშაობისას, ზემოთ აღნიშნულ კორელაციაში, ნებისმიერი მოქმედება შემდეგნაირად სისტემატიზდება:

მეგობარმა მითხრა, რომ X მაღაზიაში შემეძლო შემეძინა რობო-ჯაგრისი, რომელიც ქვაბებს ავტომატურ რეჟიმში თვითონ და-მიხეხავდა.

1. ერთობ მოვიხიბლე იმ ფაქტით, რომ ჯაგრისი ქვაბებს თვითონ დამიხეხავდა. გამომდინარე აქედან, ჩემთვის გამოიკვეთა მიზანი – მივხვდი, რა მსურს, რა მინდა! შესაბამისად, გამიჩნდა რობო-ჯაგრისის შეძენის მოტივაცია;
2. დავიწყე აქტიურად ფიქრი, ქმედება, თუ რა უნდა გამეკეთებინა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. შევუდექი გეგმის შემუშავებას.

⁵ ნათაძე, ფსიქოლოგიის, 1962, გვ. 268-269.

მივიღე გადაწყვეტილება - გამომევიღინა ძლიერი ნებისყოფა, მემოქმედა დისციპლინირებულად; პასუხისმგებლობით მოვკიდებოდი მიღებულ გადაწყვეტილებას, გადამელახა ყველა ბარიერი და დამეძლია ყოველგვარი სირთულე, რაც შესაძლო იყო დასახული მიზნის მიღწევისათვის ბრძოლისას/მოქმედებისას შემეძნოდა;

3. მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ჩემში წარმოიქმნა X მაღაზიაში წასვლისა და რობო-ჯაგრისის შეძენის განწყობა;
4. მე ვიცოდი რისთვის ვდგამდი ამ ნაბიჯს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რისთვის უნდა განმეხორციელებინა მიზანდასახული მოქმედება, რადგან მოტივს, რომელიც მამოძრავებდა, თავისი გარკვეული მიზეზები ედო საფუძვლად.

მნიშვნელოვანი შენიშვნა: შეგირდებმა, ეტიუდში ერთი და იმავე მიზნით გამოწვეული ქცევა, სხვადასხვა მოტივით უნდა განახორციელონ. ამისათვის, მნიშვნელოვანია, ძირითადი ქარგის მიხედვით შექმნან ეტიუდის რამდენიმე ვარიანტი. ყოველი ვარიანტი ერთმანეთისაგან განსხვავებული ღირებულებითი ორიენტაციების ამსახველი უნდა იყოს;

5. ხერხი: როგორ, რა ხერხებით, რა სტრატეგიითა და ტაქტიკით ვმოქმედებ; როგორ ვმანევრირებ; რამდენად ოსტატურად ვლახავ დაბრკოლებებს; რა უნარებს ვავლენ; ვის ვუპირისპირდები ან ვინ მიპირისპირდება და რატომ? და ასე შემდეგ.


პერსონაჟის ქცევის მამოტივირებელი საზრისის დადგენა შესაძლებელს ხდის მხატვრული სახე უფრო ნათლად, მკაფიოდ და ზუსტად განვსაზღვროთ, რადგან „მხოლოდ მოტივის გათვალისწინების შემდეგ შევძლებთ სწორად შევაფასოთ ამა თუ იმ ადამიანის ქცევა და არა იმ შედეგით, რომელიც ახლავს ამ ქცევას“.⁶

შესაბამისად, მოტივების დადგენით შევძლებთ ბევრად უფრო მეტი მიგნებითა და საინტერესო შტრიხით გავამდიდროთ მხატვრული სახე, რაც მოზარდის სოციალური პრაქტიკისა და გამოცდილების დაგროვებისათვის მეტად საყურადღებოა.

მნიშვნელოვანი შენიშვნა: ვინაიდან, ადამიანის მიერ განზრახული ნებისმიერი მოქმედების შესასრულებლად ნიადაგს ქმნის მოტივი, როგორც ფსიქოლოგიური საფუძველი, შესაბამისად, მოტივაცია - როგორც პერსონაჟის ქცევის მამოტივირებელი საზრისი, გვევლინება გამჭოლი მოქმედების მამოძრავებელ ძალად, ფსი-

⁶ ბალანჩივაძე, ასათიანი, პედაგოგიკის, 1997, გვ. 262.

ქოლოგიურ საფუძვლად. „მოტივაცია არის ძალა, რომელიც აძლიერებს, ამყარებს და მართავს ქცევას მიზნისკენ“.⁷



მნიშვნელოვანი შენიშვნა: „მოტივაციაში ჩართულია ბიოლოგიური, ემოციური, სოციალური და კოგნიტური ძალები, რომლებიც ააქტიურებენ ქცევას“.⁸ ინაიდან მოტივაციის რესურსად განიხილება როგორც ბიოლოგიური, ასევე ემოციური, სოციალური და კოგნიტურ ძალთა კორელაცია, რისი საშუალებითაც მოტივაცია ქმედითია და ამა თუ იმ სახის ქცევად გვევლინება. შესაბამისად, სათეატრო ხელოვნება, რომელიც იქმნება ადამიანის ფსიქოფიზიკური რესურსით – ბიოლოგიურ, ასევე ემოციურ, სოციალურ და კოგნიტურ ძალთა ერთობლიობით. ეს კონგლომერატი ქმნის და ბადებს ამა თუ იმ ფორმით/ქცევით გამოხატულ მოქმედებას, რასაც სათეატრო ხელოვნების გვირგვინი ეწოდება. ეფექტურად გამოიყენება სამოტივაციო რესურსების ორგანიზების საშუალებად, რაშიც ნებისყოფის, დისციპლინისა და პასუხისმგებლობის განვითარებული გრძნობა გადამწყვეტ როლს თამაშობს.

⁷ წერეთელი, განათლების, გვ. 18.

⁸ ჩხაიძე, რა არის, 2020.

საკონტროლო აქტივობა

მოცემულობა: როგორც ენას არა აქვს ძვალი, ისე ფიქრს არ გააჩნია ზნეობა. ამიტომ, მუდმივ გუშაგად მორალურად გამოწრთობილი გონება უნდა დავუყენოთ.

- ✓ შევირდებმა უნდა მოახდინონ მოცემული სენტენციის რეფლექსია;
- ✓ უნდა შექმნან მოტივთა განსხვავებული ვერსიები;
- ✓ ყოველ ვერსიაზე შეთხზან ამბავი;
- ✓ ცალკეული მათგანი გაითამაშონ ეტიუდებად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ნათაძე რ., ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1962.
- ბალანჩივაძე რ., ასათიანი ვ., პედაგოგიკის ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ., 1997.
- წერეთელი მ., განათლების ფსიქოლოგია, ნაწილი II, 2016. <https://tinyurl.com/ykaxu8ue> 15/05/2025.
- ჩხაიძე ნ., რა არის მოტივაცია, 2020. <https://tinyurl.com/4rz5pe84> 15/05/2025.

თინათინ ქათამაშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
უნივერსიტეტის საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების
(შემოქმედებითი პედაგოგიკა) მიმართულების, დრამის
რეჟისურის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: თამარ ქუთათელაძე

რეზიუმე

XXI საუკუნის უმთავრესმა „საჩუქარმა“ – ციფრულმა ეპოქამ – არაერთი საიდუმლოს, მათ შორის, ათეული წლების მანძილზე დაფარულის, გამჟღავნება და ტირაჟირება განაპირობა, რაც მხოლოდ პროფესიონალთა კულუარებში იყო ცნობილი. უკვე 100 წელი გავიდა თეატრალური ხელოვნების რეფორმატორის, კონსტანტინე სტანისლავსკის სახელოვანი „სისტემის“ პირველი გამოქვეყნებიდან. მსახიობის აღზრდის ფუნდამენტად დღემდე ამ შეუცვლელი, დიდი სამეცნიერო ნაშრომის შესაქმნელად, ცნობილი რეჟისორი და თეატრის მეცნიერი, თითქმის 10 წელზე მეტი სწავლობდა უძველეს იოგასა და ინდურ ფილოსოფიას. ცალკეულ პოზებსა და სავარჯიშოებს იგი მსახიობის არა მხოლოდ აღზრდის, არამედ მუდმივი პროფესიული სრულყოფის თვალსაზრისით ძალზე ღირებულად მიიჩნევდა. ამიტომაც ისინი გადამუშავებული ფორმით ჩართო საკუთარ შემუშავებულ „სისტემაში“. თუმცა, სოცრეალიზმის იდეოლოგთა ძალისხმევით, მსახიობის აღზრდის

უმნიშვნელოვანესი და ძირეული წყაროები, მისი ბაზისური ტერმინები, ნაშრომებიდან ღრმა შუასაუკუნეობრივი გულგრილობით განიდეგნა. ამჯერად, არაერთი საარქივო მასალისა თუ მოგონების გასაჯაროებამ შესაძლებელი გახადა, ვირწმუნოთ მათი მნიშვნელობა. გაგაანალიზოთ მათ საფუძველზე აღზრდილთა (გსველოდ მეიერხოლდი, ევგენი ვახტანგოვი, მიხაილ ჩეხოვი, ეჟი გროტოვსკი, ლი სტრასბერგი და სხვები) ნააზრევი და მიღწევები, „სისტემის“ ფუძემდებლური პრინციპები, შევისწავლოთ განახლებული ფორმის და „სისტემის“, ავტორის ანდერძის შესაბამისად, გარკვეული მოდიფიკაციით დაბრუნება სასწავლო პროცესში.

ნაშრომში მიმოვიხილავ როგორც კონსტანტინე სტანისლავსკის მოწაფეთა, მიმდევართა და მისი დროის მკვლევართა, ისე ჩვენი თანამედროვე თეატრის მოღვაწეთა კვლევებსა თუ მოსაზრებებს მსოფლიოში – ამ სახელგანთქმული „სისტემის“ ბაზისურ ელემენტებზე, განსაკუთრებით კი იმ

ტერმინებს, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე სათეატრო ხელოვნების მიმოქცევაში დასამკვიდრებლად. წარმოვადგენ რამდენიმე ჩემს გადამუშავებულ, უკვე აპრობირებულ

სავარჯიშოს, აუცილებელს ჩვენი ეპოქის კონკურენტუნარიანი მსახიობის აღზრდის, მათი პროფესიული სრულყოფის სწორი ორიენტირისთვის.

სტანისლავსკის სისტემა 100 წლის შემდეგ

საკვანძო სიტყვები: *სტანისლავსკი, სისტემა, ვახტანგოვი, მეიერხოლდი, ჩეხოვი*

XXI საუკუნის უმთავრესმა „საჩუქარმა“ – ციფრულმა ეპოქამ, ათეული წლების მანძილზე დაფარული იმ ინფორმაციითა გამჟღავნება და ტირაჟირება განაპირობა, რაც მხოლოდ პროფესიონალთა კულუარებში იყო ცნობილი. უკვე 100 წელი გვაშორებს თეატრალური ხელოვნების რეფორმატორის, კონსტანტინე სტანისლავსკის სახელოვანი „სისტემის“ პირველ გამოქვეყნებას. მსახიობის აღზრდის ფუნდამენტად დღემდე ამ შეუცვლელი, დიდი სამეცნიერო ნაშრომის შესაქმნელად, ცნობილი რეჟისორი და თეატრის მეცნიერი თითქმის 10 წელზე მეტი სწავლობდა უძველეს იოგასა და ინდურ ფილოსოფიას, რომელსაც მსახიობის აღზრდის, პროფესიული სრულყოფის თვალსაზრისით ძალზე ღირებულად მიიჩნევდა. ამიტომაც ისინი გადამუშავებული ფორმით ჩართო მის შემუშავებულ „სისტემაში“. თუმცა, სოცრეალიზმის იდეოლოგთა ძალისხმევით, მსახიობის აღზრდის ეს უმნიშვნელოვანესი და ძირეული წყაროები, მისი ბაზისური ტერმინები, ნაშრომებიდან ღრმა შუასაუკუნეობრივი გულგრილობით იქნა განდევნილი. ამჯერად, არაერთი საარქივო მასალის, მოგონების, უახლესი ნაშრომის გასაჯაროებამ, შესაძლებელი გახადა ვირწმუნოთ მათი მნიშვნელობა. გავაანალიზოთ „სისტემის“ პირველსაწყისზე აღზრდილთა მიღწევები, ვირწმუნოთ მისი ფუძემდებლური პრინციპები და ავტორის ანდერძის შესაბამისად – გარკვეული მოდიფიკაციით დავბრუნოთ სასწავლო პროცესში.

სისტემის ადრეულ, ანალიტიკური განვითარების პერიოდში, სტანისლავსკიმ მსახიობის შინაგანი ტექნიკის ასათვისებლად შეისწავლა თითოეული ელემენტი: ყურადღება, წარმოსახვა, აფექ-

ტური მესხიერება, რასაც მოჰყვა მისი გატაცება იოგი რამაჩარაკას წიგნით „ჰათხა-იოგა“. იოგას იდეებს გაეცნო უილიამ უოკერ ატკინსონის (ამერიკელი კომერსანტი, მწერალი, მთარგმნელი, გამომცემელი, 1862-1932) ინტერპრეტაციით. მასში იოგას ძირითადი პრინციპები იყო თავმოყრილი - საკუთარი თავის მართვის სრულყოფაზე, რასაც ესწრაფოდა სტუდენტებთან სტანისლავსკი. მან შეძლო იოგას იდეის ადაპტირება პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად, სადაც მთავარი იყო მსახიობთან „გატაცებითი შთაბეჭდილების“ მიღწევა. 1919 წლის ნოემბერში „მხატის“ მსახიობებთან ლექციაზე, კონსტანტინ სტანისლავსკიმ აღნიშნა: „ათასი წლის წინ იოგები ეძებდნენ იმავს, რასაც ჩვენ ვეძებთ დღეს, მაგრამ ჩვენ მივდივართ ხელოვნებაში, ისინი კი თავიანთ ნირვანაში“¹ რამაჩარაკა თავის წიგნში, სავარჯიშოებით წვრთნის შესახებ ბევრს საუბრობდა. სტანისლავსკი კი ქმნიდა სისტემას, სადაც დანართის სახით რთავდა „ტრენინგს და წვრთნას“. მასეტროს მიერ შემუშავებული „სისტემა“ საზოგადოების წინაშე მხოლოდ მრავალმხრივი ჩასწორებების შედეგად წარდგა.

1925 წელს დაარსებულმა რუსეთის პროლეტარ მწერალთა ასოციაცია „რაპპმა“, ბრძოლა გამოუცხადა ხელოვნებაში ეგრეთ წოდებულ ბურჟუაზიულ-დეკადენტურ გავლენებს. „რაპპის“ ლიდერები გეგმავდნენ, თეატრშიც დაემყარებინათ წესრიგი. მათ ვრცელ დეკლარაციაში, „რაპპის ამოცანები თეატრალურ ფრონტზე“, რომელიც 1931 წელს გამოქვეყნდა, „მხატის“ ხელოვნება - გამოცხადდა როგორც „კონსერვატიული“, „იდეალისტური“ „მეტაფიზიკური“ - სტანისლავსკის „სისტემა“ უარყვეს. სტანისლავსკი ლიტერატურის კრიტიკოს ლუბოვ გურევიჩის ერთ-ერთ წერილში თავისი წიგნის, „მსახიობის მუშაობა თავის თავზე“ შესახებ წერდა: „ჩემი აზრით, წიგნის მთავარი საფრთხე „ადამიანის სულიერი ცხოვრების შექმნა“ (არ შეიძლება სულზე საუბარი). შემდეგი საფრთხეა: ქვეცნობიერი, გამოსხივება, სხივის მიღება, სიტყვა „სული“. შეუძლიათ ამისთვის წიგნი აკრძალონ?“² დიდი რეფორმატორი დათმობაზე მიდის და თავის ხელნაწერთა ტექსტებს, „პროლეტარ მწერალთა ასოციაციის“ მოთხოვნების შესაბამისად, ცვლის: „სცენაზე ადამიანის სულიერი ცხოვრების შექმნის“ ნაცვლად, შე-

¹ Радищева, Станиславский, 1999, ст. 61.

² Станиславский, Собрание, 1961, ст. 277-278.

მოაქვს ფორმულირება: „სცენაზე პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს შექმნა და ამ სამყაროს მხატვრული ფორმით გადმოცემა“. საფრთხეს შეიცავს ტერმინიც „აფექტური მახსოვრობა“, რაც იცვლება „ემოციური მეხსიერებით“... ამასთან ერთად, „ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის“ წარმომადგენლები მიუთითებენ, რომ სიტყვები: „ინტუიცია“, „მხატვრული ალღო“, „ქვეცნობიერი“ „სული“ პროლეტარული მასებისთვის გაუგებარია. სტანისლავსკის „მეგობრულად აუხსენს“, რომ საბჭოთა ხელოვანის ამოცანა მასებისთვის გასაგებ ენაზე მუშაობაა. ამიერიდან მისი ნაშრომებიდან ქრება ხსენება ინდური ფილოსოფიისა და იოგასი. სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებლებმა აკრძალეს სახელოვნებო პროცესებში მისტიკური ხერხებით შეღწევის მცდელობა. ასე დაიწყო სტანისლავსკის სისტემაში არსებული მისტიკური ტერმინების არსის შეცვლა, რამაც სისტემა გადაარჩინა. 1955 წლის გამოცემაში ვკითხულობთ: „პრანა – სტანისლავსკის მიერ ინდუსი იოგების ფილოსოფიიდან ნასესხები ტერმინი. „სისტემის“ განვითარების ადრეულ ეტაპზე, სტანისლავსკიმ გამოიყენა სიტყვა „პრანა“ როგორც სამუშაო ტერმინი, რაც გულისხმობს კუნთურ ენერგიას“. ³ 1990 წელს გამოცემულ სტანისლავსკის ნაშრომში შეტანილი განმარტებით, „პრანა (სანსკრიტი) – ქარი, სუნთქვა, სიცოცხლე. ინდურ ფილოსოფიაში ამ ტერმინით მოიხსენიებენ ადამიანის სხეულში სიცოცხლის საწყისს, ანუ სულს. სტანისლავსკიმ „პრანას“ მცნება გამოიყენა მსახიობის შემოქმედებითი ენერგიის განსაზღვრისათვის. ⁴

მსახიობი, რეჟისორი და პედაგოგი მარია კნებელი ასახელებს იმ საექვო ტერმინებს, რომლებსაც იყენებდა სტანისლავსკი თავის სისტემასა და პედაგოგიკაში და რაც იმ წლებში, საშიშროებას უქმნიდა როგორც ავტორს, ისე მისი სწავლების მეთოდოლოგიას, „თანამედროვე თეატრალურ პრაქტიკაში მიუღებელია ისეთი ტერმინების გამოყენება, როგორიცაა „გამოსხივება“... სტანისლავსკი ხშირად საუბრობდა ენერგიაზე, რომელიც აქტიორმა უნდა გამოასხივოს... მიხაილ ჩეხოვს არ ტოვებდა ფიქრი „გამოსხივების“, „გასხივების“ მიმართ. ის შემოქმედებით ძალებს ამ სფეროდან მოიპოვებდა. მომავალმა გენიალურმა აქტიორმა ბრწყინვალედ იცო-

³ Станиславский, Работа, 1955, ст. 492.

⁴ იქვე, გვ. 503.

და, რა ენერგიაზე ლაპარაკობდა სტანისლავსკი... „ნებელობითი ენერგია“, „შინაგანი ენერგია“ – ის ძალებია, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ხელოვნება, აქტიორის შრომა კი ამორფული ხდება და კარგავს ზემოქმედებას... ამ ენერგიათა განვითარება სასცენო ხელოვნებაში აუცილებელია, ხარისხი გამომუშავებადია და ექვემდებარება ევოლუციას – ჩეხოვი ამას დაჟინებით მოითხოვდა... თავის წიგნში ჩეხოვი აკონკრეტებს სტანისლავსკის ამრებს „გასხივების“ და „სხივთა აღქმის“ შესახებ. იგი აქტიორს სთავაზობს გაგზავნოს სხივი სხვადასხვა დისტანციაზე – „შორს ან ახლო მანძილზე, შეუჩერებლივ ან პაუზებით და ასე იივარჯიშონ დაუღალავად“⁵ სტანისლავსკი „პრანას“ რაობის მნიშვნელობას იყენებდა, როგორც მსახიობის ქმედების სასიცოცხლო ენერგიას. მას სურდა შეექმნა სავარჯიშოების კრებული, „ტრენინგი და წვრთნა“. მისივე თქმით, ეს უნდა ყოფილიყო მსახიობის ოსტატობის გრამატიკა, რომელიც იოგურ ფილოსოფიაზე იქნებოდა დამყარებული. მიხაილ ჩეხოვი, შთაგონებული თავისი პედაგოგის გაკვეთილებით, აგრძელებდა დიდი რეფორმატორის სწავლებას. თავის პედაგოგიურ მეთოდში მას შეაქვს ის ცოდნა, რომელიც სისტემიდან კომუნისტურმა ცენზურამ განდევნა. დიდი რეფორმატორის მოსწავლეთა ნაშრომების კვლევას, სამსახიობო ოსტატობის განვითარების მათეულ ტრენინგებს, სტანისლავსკის სისტემის საფუძვლების ევოლუციური პროცესებისკენ მივყავართ.

უაღრესად მობილური, დემოკრატი, პროგრესულად მოაზროვნე, კრიტიკის მიმართ შემოქმედებითად განწყობილი სტანისლავსკი, მუდმივად ხვეწდა თავის პირმშოს – „სისტემას“. იური სმირნოვ–ნესვიცკი მონოგრაფიაში „ევგენი ვახტანგოვი“ (1883–1922) წერს: „1911 წელს ყალიბდება კონსტანტინ სტანისლავსკისეული სისტემის კონტურები, რომელშიც გაერთიანდა რუსული სამსახიობო ხელოვნების გამოცდილება. სისტემა მუშაობს მსახიობის ახალ ტექნოლოგიაზე. მხატვის მსახიობები ეწინააღმდეგებოდნენ ახალ ხერხებსა და გარდაქმნებს. ასეთ რთულ დროს, სტანისლავსკის გვერდით დადგა ევგენი ვახტანგოვი, რომელიც დიდი ინტერესით ეცნობოდა „სისტემას“... 1911 წლის 10 მარტს გაიმართა პირველი მეცადინეობა „სისტემის“ მიხედვით. აქ ბრძოლას უცხადებდნენ ყოველგვარ პირობითობას თეატრში, სამსახიობო თამაშში, დად-

⁵ Чехов, Литературное, 1986, ст. 24–25.

გმაში, დეკორაციებში, კოსტიუმში, პიესის გააზრებაში და ასე შემდეგ „სისტემის“ შესაბამისად, იდეალი უნდა ყოფილიყო თეატრი, რომელიც ფარდის ახდისთანავე „ნაცნობ ოთახებში, ნაცნობ ადამიანებში, ნაცნობი ამბის თანამონაწილეს გახდიდა მაყურებელს. მიზანი იყო თეატრიდან განედევნათ თეატრი, პიესიდან – მსახიობი, გრიმი, კოსტიუმი, დეკორაცია. სცენაზე უნდა ყოფილიყვნენ ცოცხალი ადამიანები“.⁶ 15 აპრილს ვახტანგოვი თავის დღიურში წერდა – „მსურს ჩამოვაყალიბო სტუდია, სადაც ჩვენ განვახორციელებთ სისტემის შემოწმებას საკუთარ თავზე, სადაც გავიაზრებთ, მივიღოთ თუ უარვყოთ, შევასწოროთ, დავამატოთ თუ მოვაშოროთ მას ზედმეტი...“.⁷ ახალი დასი „მხატის“ წინაშე წარსდგა ეტიუდებით „კუნთების თავისუფლება ორგანულ მოქმედებაში“, რომელსაც ასრულებდნენ ბირმაკი და დეიკუნი. მხატის „ლომები“ ნდობით განეწყვნენ ვახტანგოვისა და სულერჟიკის მოღვაწეობისადმი. მოულოდნელად სტანისლავსკისა და ვახტანგოვს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ე. ვახტანგოვი სტანისლავსკის უცხადებს, რომ „კოტე მარჯანიშვილიც კრიტიკულია „სისტემისადმი“, რაც გემოქმედებს ახალგაზრდებზე“.⁸

1918 წელს მიხაილ ჩეხოვიც ქმნის კერძო სამსახიობო სტუდიას საკუთარ ბინაში. მარია კნებელი შენიშნავს, რომ ჩეხოვი სისტემის „პირველი ნაწილის“ საფუძველზე აყალიბებდა თავად ჩეხოვისვე თქმით, „რეპეტიციების ახალ მეთოდს“. 1919 წელს მოსკოვის პროლეტკულტის მიერ გამოცემულ ჟურნალ „Горн“-ში მიხაილ ჩეხოვმა ორი სტატია გამოაქვეყნა: „სტანისლავსკის სისტემაზე“ და „მსახიობის მუშაობა საკუთარ თავზე“. წერილებში შეინიშნებოდა საკუთარ შემოქმედებით ბუნებასა და „სისტემას“ შორის განსხვავება. ჩეხოვი მიაწინებდა, რომ შინაგანი ტექნიკის განვითარებაზე ზრუნვისას, საჭიროა ყურადღება ენერგიაზე, ძალასა და მოძრაობაზე, რასაც, მისი აზრით, სტანისლავსკი მცირე დროს უთმობდა.

ჩეხოვზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ავსტრიელი ფილოსოფოსის, რუდოლფ შტაინერის ანთროპოსოფიის (სულის მეცნიერება) გაცნობამ. XX საუკუნის დასაწყისში ინიცირებული „ევრითმიის“

⁶ Смирнов-Несвицкий Ю. А., Вахтангов. Л., Искусство, 1987, с. 51.

⁷ იქვე.

⁸ იქვე.

ავტორის, რუდოლფ შტაინერის (1861-1925) მტკიცებით, მეტყველების ყოველ ასპექტს (ბგერა, რიტმი) შეესაბამება განსაზღვრული არქეტიპული მოძრაობა ან ჟესტი. გრამატიკულ ფუნქციებს – შესაბამისი სულიერი ხარისხი (სიხარული, უიმედობა, სინაზე და სხვა), ხოლო მუსიკის ყოველ ასპექტს – ტონი, ინტერვალები, რითმები და ჰარმონია. შტაინერის კონცეფცია მოითხოვდა აგრეთვე მოძრაობის, სინათლის, ფერისა და მუსიკის ერთიანობას, რაციონალურსა და ირაციონალურ მახასიათებლებს, ვიზუალურ ან პლასტიკურ მოძრაობებში სილამაზის ექსპრესიულ გამომსახველობას. თავისი წიგნის, „მსახიობის ტექნიკის შესახებ“ (1946) პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ჩეხოვი წერდა: „რუდოლფ შტაინერთან ჩემმა მრავალწლიანმა ურთიერთობამ მომცა იდეა, რომელიც ახალი იმპულსით ამდიდრებდა მთელ ჩემს შემოქმედებით შრომას“.⁹ ამიერიდან მან მსახიობის აღზრდის სისტემაში ჩართო შტაინერის „ევრითმია“¹⁰ (მხატვრული მოძრაობის ხელოვნება. სწავლება რიტმის შესახებ). მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩეხოვის სწავლება სტანისლავსკის სისტემის საწყისებიდან მომდინარეობდა. მასაც ისევე, როგორც სტანისლავსკის, სწამდა, რომ ადამიანი კოსმოსურია, მისი ინდივიდუალური რიტმი სამყაროსმიერი, ამ რიტმის შეგრძნება და დაჭერა კი – ხელოვნება.

1932 წელს, ლიტვის (ახლანდელი ლიეტუვა) სახელმწიფო თეატრში რეჟისორად მიწვეული ჩეხოვი ახალგაზრდა მსახიობებს სტანისლავსკის სისტემას ასწავლიდა. 1932 წლის აგვისტო-ნოემბერში, ჩეხოვის მსახიობებს (იუკნიავიჩიუსი, გრიბაუსკასი, კაჩინსკასი, პეტრაიტისი) ჩაწერილი აქვთ მისი 16 გაკვეთილი, რომელიც რუსულ ენაზე პირველად გამოსცა 1989 წელს, მოსკოვის თეატრალუ-

⁹ Иванова, Михаил Чехов.

¹⁰ 1910-იანი წლების ბოლოსა და 1920-იანი წლების დასაწყისში გაფორმდა კიდევ ერთი ახალი მიმართულება, „ევრითმია“ დრამატულ ხელოვნებაში, ფერწერაში, არქიტექტურასა და მოძრაობაში. ძვლებერძული ესთეტიკის კატეგორიათა აღმნიშვნელი ტერმინი „ევრითმია“ (ბერძ. εὐρυσμία – გაწონასწორება (ელემენტების), პროპორციულობა, ჰარმონიულობა), შემოღებული არისტოტელეს მიერ (ძვ. წ. 384-322), ნიშნავდა ხარისხს. იგი მოგვიანებით შეიცვალა ტერმინით „ჰარმონია“ (თანახმიერება, თანაზომიერება, მთლიანობის სრულყოფა). ევრითმია „სასიამოვნო ვიზუალი“, „სილამაზის ფორმების“ კონცეფცია, კომპონენტთა ჰარმონიული ურთიერთქმედებაა.

რი ინსტიტუტის გამომცემლობამ (ГИТИС).¹¹ ჩანაწერები ასახავს სამსახიობო ოსტატობის დაუფლების ინოვაციურ ხერხებს, მსახიობის მიერ საკუთარ ფსიქოტექნიკაზე „ზემოქმედების“ სავარჯიშოებს, რომლებიც სისტემატურად უნდა იმეორონ სტუდენტებმა, რათა გადავიდნენ მეორე სტადიაზე, რასაც ჩეხოვი „შთაგონების მომენტს“ უწოდებს. დიდი მსახიობ-პედაგოგი აღიარებდა, რომ მარად ცვალებად, განვითარების უსასრულო პროცესში მყოფ თეატრს, მობზროვნე, აქტიური, სამსახიობო ტექნიკით აღჭურვილი მსახიობი სჭირდება, რომელიც თავისუფლად და ლაღად ფლობს დიდ პედაგოგ რეჟისორთა გამოცდილებას. ამ რწმენით გამსჭვალული მიხაილ ჩეხოვი წერდა: „არ უნდა თქვა: „მე მივიღებ სტანისლავსკის, მე არ მივიღებ მეიერხოლდს“. ეს უდიდესი, დასანანი გაუგებრობაა... ეს „ან – ან“ – უბრალოდ ავადმყოფობაა! არ არსებობს „ან – ან“! ყველაფერი შესაძლებელია!.. ყველაფერი თავსებადია და შეხამებადი! გამბედაობა! თავისუფლება! ჩვენ ასე გვზრდინენ სტანისლავსკი, მეიერხოლდი, თაიროვი და სხვები!“¹² მიხაილ ჩეხოვი თავის წიგნში, „მსახიობის გზა“, დაწვრილებით აღწერდა, რომ საფუძვლიანად განსწავლულ მსახიობში ორი „მე“ ცხოვრობს, „შემოქმედი“ და „ყოფითი“. მისი აზრით, მათ შორის მუდმივი ჭიდილია ერთმანეთზე გავლენის მოსაპოვებლად. მსახიობმა შინაგანი ხედვით (ჩეხოვისეული „შემოქმედებითი მე“, შინაგანი აქტიორი) უნდა დაინახოს, იგრძნოს პერსონაჟის სახე, განსაზღვროს და მართოს („ყოფითი მე“, გარეგანი აქტიორი) მისი ქმედებები. მსახიობში ორი და სამი „მეს“ არსებობასა და მათ ბრძოლებზე ბევრს საუბრობენ თეატრის სხვა სახელოვანი მოღვაწენიც, მათ შორის მეიერხოლდი, ეჟი გროტოვსკი, გიორგი გურჯიევი და სხვები.

1920-1930-იანი წლების თეატრალურ ავანგარდს მოეწვლინა ნე-მიროვიჩ-დანჩენკოს მოწაფე, გაბედული მემამოხე ვსევოლოდ მეიერხოლდი. მან რევოლუცია მოახდინა რეალიზმით „გადაღლილ“ თეატრალურ სამყაროში. დიდი ვერა კომისარჟევსკაიას პროტეჟე და მამაცი ნოვატორი, რომელსაც კარგად ესმოდა, რომ თეატრი მუდმივად განიცდის განახლების უწყვეტ პროცესს, აჯანყდა იმუამად თეატრალური ხელოვნების ღმერთად აღიარებული კონსტან-

¹¹ Уроки Михаила Чехова в Государственном театре Литвы 1932, 1989, ст. 15.

¹² Чехов, Об искусстве, 1986, ст. 402.

ტინ სტანისლავსკის წინააღმდეგ და გახდა ფუძემდებელი მსახიობის აღზრდის მორიგი, ავანგარდული მეთოდისა.

მეიერხოლდის ბიომექანიკა დაეფუძნა სამეცნიერო ნაშრომებს: უილიამ ჯეიმსის¹³ „პირველადი ფიზიკური რეაქციის ემოციურ რეაქციასთან მიმართება“, ვლადიმერ ბეხტერევის¹⁴ „პირობითი რეფლექსები“ და ფედერიკ ტეილორის¹⁵ „შრომის ოპტიმიზაცია“. ბიომექანიკის ძირითად კონცეფციად იქცა XX საუკუნის დასაწყისიდან გააქტიურებული ექსპერიმენტების საფუძველზე მიღებული დასკვნები იმის თაობაზე, რომ ფუჭი მოძრაობის გაძევების ხარჯზე, სხეულზე სწორად მოძებნილი სიმძიმის ცენტრის საშუალებით, მიმდინარეობს ფიზიკური ძალების დაზოგვა და მოღვაწეობის ეფექტური შედეგი. უცხოეთსა თუ რუსეთში მიმდინარე რიტმოპლასტიკურ მიღწევებში გათვითცნობიერებული მეიერხოლდი მსახიობისგან მოითხოვდა: „გამომსახველობითი საშუალებების ეკონომიას და მოძრაობის სიზუსტეს, პასუხისმგებელს ნებისმიერი ამოცანის ზედმიწევნით შესრულებაზე“.¹⁶ მეიერხოლდი აცხადებდა რომ, „მსახიობი იდეალური ინსტრუმენტია „საკუთარ ხელში“, მან თანდათან უნდა სრულყოს გამომსახველობითი კულტურა სივრცეში, საკუთარი სხეულის განვითარების შეგრძნებით... ზუსტად მოძებნილი, დამუშავებული და მყარი გარეგნული ფორმა „კარნახობს“ საჭირო გრძნობებს, აღაგზნებს განცდებს. გზის პოვნა სულში შესაძლებელია მხოლოდ ფიზიკური პოზიციით და მდგომარეობით“.¹⁷ მეიერხოლდი მსახიობს განიხილავდა როგორც სუბიექტს შემოქმედებითი პროცესისა, რომელიც საშემსრულებლო ტექნიკას არა მხოლოდ ხვეწდა, არამედ განვითარებული მოტივაციით სცენაზე ინოვაციების გენერირებას ახდენდა. მისი აზრით, „ნორმიდან გადახვევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა მას კარგად აითვისებ... ყველაზე დიდი ნოვატორია ის, ვინც ყველაზე მეტადაა ნორმის ფარგლებში“.¹⁸ რეჟისორ-პედაგოგი მუდმივ კავშირს ინარჩუნებდა იმ მემკვიდრეობასთან, რომელსაც სტანის-

¹³ უილიამ ჯეიმსი - ამერიკელი ფილოსოფოსი, ფსიქოლოგი (1842-1910).

¹⁴ ვლადიმერ ბეხტერევი - რუსი ფსიქიატრი და ნევროლოგი (1851-1927).

¹⁵ ფედერიკ ტეილორი - ამერიკელი ინჟინერი, შრომის სამეცნიერო ორგანიზაციის დამფუძნებელი (1856-1915).

¹⁶ Мейерхольд, Статьи, 1968, ст. 644.

¹⁷ Бутенко, Сценическое, 2004, ст. 105-106.

¹⁸ Лекции, Мейерхольда.

ლავსკი თეატრში „მარადიულს“ უწოდებდა. თავად სტანისლავსკიც აღიარებდა მისი ყოფილი ოპონენტის მიგნებებს და მას თავის მემკვიდრედ აცხადებდა. ამის შესახებ წერდა თეატრმცოდნე კონსტანტინ რუდნიკი მონოგრაფიაში „რეჟისორი ვსევოლოდ მეიერხოლდი“, ხოლო კრიტიკოსი და პედაგოგი იური ბახრუშინი იხსენებდა სტანისლავსკის შეფასებას მეიერხოლდზე: „მე იმედს ვამყარებ მეიერხოლდზე. ამ საქმეში იგი ოსტატია. როგორც განცდები ახდენენ გავლენას ადამიანის ფიზიკურ მოქმედებებზე, იმავე დობით უნდა ახდენდეს ფიზიკური მოქმედებები გავლენას განცდებზე... მეიერხოლდისგან შეიძლება მრავალი რამ ისწავლოთ...“.¹⁹

მეიერხოლდი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მსახიობთა „ნერვულ აპარატს“, რეფლექტორული იმპულსების დამუშავებას, სამსახიობო ტექნიკის ხარისხს, სცენაზე საგნებთან ურთიერთობას, განსაკუთრებით წარმოსახვით საგნებთან. მისი თქმით, „მსახიობის ხელოვნება მდგომარეობს საკუთარი სხეულის გამომსახველობითი საშუალებების სწორად გამოყენებაში. „ბიომექანიკით“ განსწავლული მსახიობი საკუთარ თავში „სარკისებურად ირეკლება“ – აკონტროლებს საკუთარ მოქმედებას და ტექსტს. „მსახიობში ერთობლივად არსებობს ორგანიზატორიც და საორგანიზაციოც. (შემოქმედიც და მასალაც)... მსახიობმა ისე უნდა ავარჯიშოს თავისი მასალა – სხეული, რომ მყისიერად შეძლოს მიღებული დავალების შესრულება“²⁰ სტატიაში, „მომავლის მსახიობი და ბიომექანიკა“, (ჟურნალი „ერმიტაჟი“, #6, 1922) მეიერხოლდი საუბრობდა სწორად მომუშავე სხეულის სილამაზესა და მნიშვნელობაზე. ზედმეტ, უნებლიე მოძრაობების უარყოფაზე, რიტმულობაზე, საკუთარი სხეულის სიმძიმის ცენტრის სწორად განსაზღვრაზე. იგი მსახიობის გარეგანი ტექნიკის დაუფლება – დაოსტატებას ანიჭებდა ძირითად მნიშვნელობას და აცხადებდა: „ტრენაჟი! ტრენაჟი! ტრენაჟი! მაგრამ მხოლოდ ისეთი ტრენაჟი, რომელიც ავარჯიშებს მარტო სხეულს და არა გონებას, მაშინ – გმადლობთ უმორჩილესად! მე არ მჭირდება ამროვნებას მოკლებული, მხოლოდ მოძრაობის მცოდნე მსახიობები“.²¹

XXI საუკუნის მსოფლიოს არაერთი სახელოვანი უმაღლესი თეატრალური სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს მეიერხოლდის

¹⁹ Бахрушин, Встречи, 1967, ст. 586.

²⁰ Мейерхольд, Статьи, 1968, ст. 486.

²¹ Мейерхольд, Статьи, 1968, гл. 286.

ბიომექანიკას. გერმანელი რეჟისორი და პედაგოგი თომას ოსტ-მაიერი, თავის მოსწავლეებთან წარმატებით იყენებს ბიომექანიკურ ტრენინგებს. ბიომექანიკა შეისწავლება იტალიაში, სილვიო დ'ამიკოს აკადემიაში, ბერგამოს ტაქსტაბილეს თეატრში, პერუჯისა და მილანის უნივერსიტეტების თეატრალურ ცენტრებში. რომისა და სიენის უნივერსიტეტებში. ამერიკისა და ევროპის თეატრალურ სტუდიებში. მსახიობთა აღზრდის მრავალი მეთოდი არსებობს. ამიტომაც მათი ახლებურად გაანალიზება და პედაგოგიკაში ოპტიმალურად გამოყენება, აუცილებელია უნივერსალური მსახიობის აღსაზრდელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Бутенко, Сценическое, М., 2004.
- Валентейн М. А., Марков П. А., Ростоцкий Б. И., Февральский А. В., Чушкин Н. Н., Встречи с Мейерхольдом: Сборник воспоминаний, М., 1967.
- Лекции Мейерхольда, М., 2001.
- Мейерхольд В. Э., Статьи, письма, речи, беседы. Часть первая: 1891–1917, М., 1968.
- Радищева О. А., Станиславский и Немирович-Данченко: История театральных отношений: 1917 – 1938. М., 1999.
- Станиславский К.С., Собрание сочинений, Том 8, М., 1961.
- Станиславский К.С., Собрание сочинений в восьми томах, Том 3, М., 1955.
- Смирнов-Несвицкий Ю. А., Вахтангов, Л., Искусство, 1987.
- Уроки Михаила Чехова в Государственном театре Литвы 1932, 1989.
<https://cyberleninka.ru/article/n/igrovaya-priroda-uprazhneniy-mihaila-chehova/viewer> 19/05/2025
- Чехов М. А., Литературное наследие: В 2 т. / Редакц. коллегия Н. Б. Волкова, М. О. Кнебель, Н. А. Крымова, Т. И. Ойзерман, Г. А. Товстоногов, М. А. Ульянов, Общ. науч. редакция М. О. Кнебель, Ред. Н. А. Крымова, Сост. И. И. Аброскина, М. С. Иванова, Н. А. Крымова, Комм. И. И. Аброскиной и М. С. Ивановой. 2-е изд. испр. и доп. М., 1995.

კინოშეფასება

ეკატერინე კონტრიძე,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

რეზიუმე

ურჩი ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი სამაგალითო დასჯა საბჭოთა ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. განსაკუთრებული უსამართლობით გამოირჩეოდა გასული საუკუნის 30-იანი წლები. ტერორი შეეხო ყველას: მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, თეატრის მოღვაწეებს... ისტორიკოსები ამბობდნენ, რომ ქართული კინო რეპრესიებისგან ნაკლებად დაზარალდაო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ქართული კინო დარჩენიათ „სამაგალითო დასჯის“ გარეშე. 1937 წლის იანვარ-აგვისტოს თვეებში, „სახკინმრეწვში“ („სახელმწიფო კინომრეწველობა“, იგივე კინოსტუდია) უშიშროების სამსახურის მითითებით განხორციელდა პარტიული რევიზია-კონტროლი. „შეისწავლეს“ როგორც საბუღალტრო – საფინანსო ხარჯები, ასევე დამოუკიდებელი საწარმოების: კინოქრონიკის, მულტისტუდიისა და სასცენარო განყოფილების მუშაობა. შეაჩერეს ცალკეული ფილმების წარმოება, დაიკითხა სტუდიის რეჟისორები, განხორციელდა „იდეურად არასაიმედო ხალხის გამოაშკარავება და დასჯა“.

რევიზიის დასრულების შემდეგ, ყველაზე დიდი „მავნებლები და ხალხის მტრები“ – „სახკინმრეწვის“ დირექტორი, ამბროსი თითბერიძე და დირექტორის მოადგილე, ივანე კიკნაძე რევიზიის დაწყებისთანავე დააპატიმრეს...

„სახკინმრეწვის“ რევიზიის მასალები ეროვნული არქივის საცავებში, 12 საქალაქო იყო ქაოსურად გაფანტული. აქ იყო როგორც რევიზორთა დასკვნები, საბუღალტრო ანგარიშები, კრების ოქმები, ასევე ცალკეულ თანამშრომელთა წერილები, დაკითხვის სტენოგრაფიული ჩანაწერები და ასე შემდეგ. მოვლენებიდან ათეული წლები ისე გავიდა, რომ ქართულ კინოში ჩატარებული „იდეური წმენდის“ შესახებ ზუსტი ინფორმაცია და რეალური ფაქტები ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა. ისტორიას არასდროს, არსად და არავინ იხსენებდა, მაგრამ არქივში შემორჩენილმა ფურცლებმა კვალი ბოლომდე მაინც ვერ გააქრეს...

რეპრესირებული ქართული კინო

საკვანძო სიტყვები: ქართული კინო, რეპრესიები, კონტროლი, მსხვერპლი

ქართული ინტელიგენციის წინააღმდეგ ბრძოლა და მისი განადგურება საბჭოთა ხელისუფლების უმთავრესი ამოცანა იყო. ტერორი შეეხო ყველას: მეცნიერებს, მწერლებს, მსახიობებს, უბრალო ადამიანებს. ისტორიკოსები ამბობდნენ, რომ კინო რეპრესიებისგან ნაკლებად დაზარალდაო. ალბათ, იმიტომ, რომ მთავარი ფიგურები – კინორეჟისორები არ დაუტერიათ, თუმცა, ეროვნულ არქივში ნანახი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ არც ქართული კინო დაუტოვებიათ დაუსჯელი.

საქართველოს ეროვნულ არქივში ინახება 1937 წელს „სახკინმრეწვში“ (კინოსტუდიაში) ჩატარებული „რევიზიის“ საბუთები. მასალები აკინძულია 12 საქალაქო და არათანმიმდევრობით, ქრონოლოგიისა და თემატიკის გარეშე, ერთმანეთში არეულია როგორც რევიზორთა დასკვნები, ისე ცალკეულ თანამშრომელთა წერილები, დაკითხვის სტენოგრაფიული ჩანაწერები, საბუღალტრო ანგარიშები, კრების ოქმები და ასე შემდეგ. ამ მასალის ხანგრძლივი დამუშავების შემდეგ შესაძლებელი გახდა დიდი ხნით მივიწყებული ამბის აღდგენა.

1937 წლის იანვარ-აგვისტოს თვეებში „სახკინმრეწვში“ უშიშროების სამსახურის ბრძანებით განხორციელდა პარტიული რევიზია-კონტროლი. მისი მიზანი იყო „საქართველოს „სახკინმრეწვის“ სისტემაში მავნებლების მხილება და შემდგომში მათი „სამაგალითო დასჯა“. ჩატარდა როგორც საბუღალტრო-საფინანსო ხარჯების კონტროლი, ასევე „სახკინმრეწვში“ შემავალი დამოუკიდებელი საწარმოების: კინოქრონიკის, მულტისტუდიისა და სასცენარო განყოფილების რევიზია-კონტროლი. შეაჩერეს ცალკეული ფილმების წარმოება, დაიკითხა სტუდიის რეჟისორები, განხორციელდა „იდეურად არასაიმედო ხალხის გამოაშკარავება“ და პასუხისგებაში მიცემა.

მავნებლობის აღმოფხვრის მიზნით ჩატარებულ რევიზიას ათობით დამკვირვებელი ჰყავდა. ისინი პარალელურად „სწავლობდნენ სიტუაციას“ და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წერდნენ ანგარიშს.

არსებობდა პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა დაედგინათ „სახკინმრეწვის“ სისტემის მთელი მავნებლური სქემა. შეცდომებსა და დამნაშავეებს ეძებდნენ ყველგან და ყველაფერში. განსაკუთრებით აინტერესებდათ, „რა სახის მავნებლური საქმიანობა ჩაატარა დირექციამ, პროფ-ორგანიზაციებმა, პარტკომმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა; როგორი მუშაობა მიმდინარეობდა სტახანოვური მოძრაობის გაფართოების მიზნით; აწყობდნენ თუ არა სოცშეჯიბრებებს და როგორ ასრულებდნენ დამკვრელურ გეგმას; [...] და მოხდა თუ არა კონკრეტული დამნაშავეების გამოვლენა, დასჯა და ლიკვიდაცია?“¹

კინოსტუდიის მუშაობის სისტემა ასეთი იყო: მოსკოვიდან მოდიოდა თემატური გეგმა, რის მიხედვითაც იწერებოდა სცენარი. იდეურად „გამართულ“ სცენარებს, ისევე როგორც ფილმებს, სამხატვრო კოლეგიის წევრებთან ერთად, ამოწმებდნენ უშიშროების მაღალჩინოსნებიც. „სახკინმრეწვის“ მთავარი ცენზორი, უმეტეს შემთხვევაში, იყო ვსევოლოდ მერკულოვი, სახელმწიფო უშიშროების კომისარი, რომელიც თავადაც აბარებდა უმაღლეს ინსტანციებში ანგარიშებს კინოსტუდიის მუშაობის შესახებ. სცენარებიცა და ფილმებიც მუშაობის ყველა ეტაპზე იგზავნებოდა მოსკოვში. ფილმის რეჟისორისა და შემოქმედებითი ჯგუფის მოსაზრება სრულიად უგულებელყოფილი იყო...

რევიზია შეეხო წარმოებაში მყოფ ახალდასრულებულ ფილმებს: „ნარინჯის ველი“ (რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია), „პირველი დღე“ (რეჟისორი ალექსანდრე თაყაიშვილი) „ქაჯეთი“ (რეჟისორი კოტე მიქაბერიძე), „არსენა“ (რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი), „დაკარგული სამოთხე“ (რეჟისორი დავით რონდელი), „მფრინავი მღებავი“ (რეჟისორი ლეო ესაკია), „დარიკო“ (რეჟისორი სიკო დოლიძე). ბუღალტერიიდან ამოიღეს ამ ფილმების ხარჯთაღრიცხვები და ეგრეთ წოდებული „გადაღების დღიურები“. ყველა ამ ფილმზე სათითაოდ დაიწერა რევიზორების უარყოფითი დასკვნები.

დახურეს და სრულად გაანადგურეს ფილმები: „ქალი სიმწვანეში“ (რეჟისორი გიორგი მაკაროვი, მთავარ როლში - სანდრო ჟორჟოლიანი), „ეკაკო ყაჩაღი“ (რეჟისორები - კოტე მიქაბერიძე

¹ საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიკსა), ფონდი 297, ანაწერი 1, საქმე 223.

და სიკო დოლიძე), „მეორე შესაკრები“ (რეჟისორი დავით რონდელი), „პერნის აჯანყება“ (რეჟისორი სიკო დოლიძე), „ნე-პასარან“ (რეჟისორი დავით რონდელი). ამ ფილმების კვალი საქართველოში აღარ არის...

მხოლოდ წლების შემდეგ გახდა შესაძლებელი ისეთი ფილმების დასრულება, როგორებიცაა: „აბესალომ და ეთერი“ (რეჟისორი ლეო ესაკია, ეკრანებზე გავიდა 1966 წელს), „სამშობლო“ (რეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია, ეკრანებზე გავიდა 1939 წელს), „გლახის ნაამბობი“ (რეჟისორი ლეო ესაკია, ეკრანებზე გავიდა 1961 წელს), „მამლუქი“ (რეჟისორი დავით რონდელი, ეკრანებზე გავიდა 1959 წელს).

უშიშროების რევიზორებმა განსაკუთრებით „ყურადღებით“ შეისწავლეს კინოქრონიკისა და მულტისტუდიის განყოფილებები. კინოქრონიკის განყოფილება წარმოადგენდა „სახკინმრეწვის“ დამოუკიდებელ საწარმოს, რომლის დირექტორი იყო მარკ რიჟი. მოსკოვიდან, „საბჭოთა კინოქრონიკის“ დაკვეთით, აქ იღებდნენ წინასწარ მკაცრად განსაზღვრულ სიუჟეტებსა და ყოველწლიური კინოჟურნალებს. ფინანსური ხარჯებიც ასევე კვარტალურად აღირიცხებოდა და მოსკოვში იგზავნებოდა. მიუხედავად ამისა, რევიზიის დასკვნაში წერია: „ძველი ხელმძღვანელობის – ხალხის მტრების დროს კინოქრონიკა იყო გადაქცეული პრაზადნოი დვორად. არ ჰქონდათ თემატური გეგმა, არ ჰქონდათ ცალკეულ სიუჟეტებზე შედგენილი ხარჯთაღრიცხვა, კადრების გამოყენება იყო ყოვლად დამახინჯებული, პროდუქცია გამოდიოდა ძალზე დაგვიანებით, ხარისხი იყო ძალზე დაბალი“.²

საქართველოს „სახკინმრეწვის“ კინოქრონიკის განყოფილების დირექტორი სამსახურიდან გაათავისუფლეს, ხოლო მისი საქმე პროკურატურას გადასცეს.³ მულტისტუდია ყველაზე ახალშექმნილი და მცირეუბიუჯეტოანი განყოფილება იყო. წლების განმავლობაში მას არ გააჩნდა არც ცალკე შენობა, არც სამუშაო ინვენტარი, არც აპარატურის სრული კომპლექტი. არ ჰყავდა არც მუდმივი სცენარისტები და მხატვრები. სტუდია საჭირო მასალებით იშვიათად მარაგდებოდა. მულტისტუდიას ხელმძღვანელობდა მი-

² სუიცსა, ფონდი 297, ანაწერი 1, საქმე 131.

³ ინფორმაციას მარკ რიჟის შესახებ ვერსად მივაკვლიე. შესაძლებელია, ეტაპით რუსეთში გადაიყვანეს და იქ დახვრიტეს.

ხეილ ბურსუკი. სტუდიის შესახებაც რევიზორებმა დაწერეს ვრცელი და უარყოფითი დასკვნა, სადაც ვკითხულობთ: „დაშვებული შეცდომის ერთადერთი ახსნაა ის, რომ „სახკინმრეწვი“ იბრძოდა მულტისტუდიის ხარჯზე სახელმწიფოსაგან მიეღო დამატებითი თანხები. ხელმძღვანელობა არ ცდილობს სახელმწიფოს გაუმხილოს მუშაობის ხარვეზები“.⁴ მიხეილ ბურსუკი სამსახურიდან გაათავისუფლეს და მისი საქმე პროკურატურას გადაეცა.⁵

„სახკინმრეწვის“ ტექნიკური განყოფილებების დარღვევების ჩამონათვალში ვკითხულობთ: „მუშაობის სტრუქტურა არ არის აგებული პარტიისა და მთავრობის მოთხოვნების საფუძველზე. ადგილი აქვს აპარატის მოწყვეტას წარმოებისაგან. კოპირ-ფაბრიკები სისტემატურად აკეთებენ წუნს. ამაზე ლაბორატორიის გამგემ კონტრრევოლუციურ-ფაშისტური პასუხი მოგვცა: „საწყალი მუშა ისედაც დაჩაგრულია მცირე ხელფასით და ჩვენ კიდევ როგორ უნდა დავსაჯოთ!“.⁶

„სტუდიაში უმნიშვნელოვანესი შრომის სოციალისტური ფორმები, როგორიცაა სოცშეჯიბრება და დამკვრელობა - სრულიად მივიწყებულია. ამ საკითხზე დირექციას და პარტ-კომკავშირის ორგანიზაციებს აშკარა ოპორტუნისტული დამოკიდებულება აქვთ. „სახკინმრეწვი“ სტახანოვური მუშაობის გაძლიერებისათვის და სტახანოველთა არმიის ზრდის მიმართულებით არავითარი მუშაობა არ წარმოებს. ამხანაგმა მაზიაშვილმა, რომელიც თვალთმაქცური გეგმის შედგენის ხელშემწყობია, სტახანოვური შეჯიბრებების შესახებ განგვიცხადა - „ჩვენ ვმუშაობთ მხატვრულ ფილმებზე, იქ ხელოვნების უნარზეა დამოკიდებული მუშაობა. ვინც ნიჭს გამოაჩენს, სურათიც კარგი იქნება. სტახანოვური მოძრაობის გატარება იქ არ შეიძლებაო“.⁷

„სახკინმრეწვის“ სისტემაში კონკრეტულ ორგანიზებულ მავნებლურ საქმიანობაში, თანხების გაფლანგვაში, ფინანსურ დარღვევასა და დატაცებაში გამოვლინდნენ: ამბროსი თითბერიძე,⁸

⁴ სუიცსა, ფონდი 297, ანაწერი 1, საქმე 1344.

⁵ ინფორმაციას მიხეილ ბურსუკის შესახებ ვერსად მივაკვლიე. შესაძლებელია, ეტაპით რუსეთში გადაიყვანეს და იქ დახვრიტეს.

⁶ სუიცსა, ფონდი 297, ანაწერი 1, საქმე 1344.

⁷ იქვე.

⁸ თითბერიძე ამბროსი სიმონის ძე, დაბადებული 1901 წელს. „სახკინმრეწვის“ დირექტორი, წარსულში - ახალგაზრდა სოციალ-ფედერალისტთა პარტიის

ივანე კიკნაძე⁹, ერასტი ხაჩიძე¹⁰ და მიხეილ კალატოზოვი.¹¹

„სახკინმრეწვის“ დირექტორი, ამბროსი თითბერიძე, იყო მემარჯვენე ორგანიზაციის წევრი, ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას, იბირებდა ახალ წევრებს ორგანიზაციაში, ფლანგავდა და ითვისებდა სახელმწიფო ქონებას“. შინსახკომის მე-4 განყოფილების სამეულის: გოგლიძე-ტალახაძე-მოროზოვის გადაწყვეტილებით, მას მიესაჯა 58-7, 58-11, 114, 122 მუხლი, რაც პირადი ქონების კონფისკაცია და სასჯელის უმაღლეს ზომა - დახვრეტაა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1937 წლის 12 დეკემბერს.¹²

დირექტორის მოადგილე ივანე კიკნაძე იყო მემარჯვენე ორგანიზაციის წევრი, შინსახკომის მე-5 განყოფილების სამხედრო კოლეგიისგან (მატულევიჩი, ზარიანოვი, ჟიგური, კოსტიუშკო) მას მიესაჯა 58-8, 58-11 მუხლი, რაც სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტაა. განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 1937 წლის 1-ელ ოქტომბერს.¹³

განაჩენის აღსრულების შემდეგ უშიშროების თანამშრომლებმა კინორეჟისორი ლეო ესაკიაც დაკითხეს. რეჟისორმა ასეთი ჩვენება მისცა: „ხალხის მტრების მოხსნისა და მათი იზოლაციის შემდეგ, რა თქმა უნდა, ვგრძნობთ ერთგვარ კმაყოფილებასა და ენთუზიამს, ხასიათი კარგი გვაქვს. ჩვენ თავს ვგრძნობთ ათასჯერ უკეთესად, ვიდრე აქამდე! ...ჩვენ არა მარტო უნდა აღმოვფხვრათ მომავალშიც მავნებლობა, ასევე უფრო ორგანიზებულად უნდა ვიმუშაოთ კადრებთან. უნდა მივიღოთ ყოვლად რადიკალური ზომები!“¹⁴

მას შემდეგ, რაც „სახკინმრეწვში“ „სამართლიანობა აღდგა“ და სტუდია „ხალხის მტრებისაგან“ საბოლოოდ განთავისუფლდა, 1937 წლის 22-23 ნოემბერს შედგა „სახკინმრეწვში“ მომუშავეთა და დასაქმებულთა საერთო კრება, რომელსაც ხელმძღვანელობ-

წევრი. სკკპ(ბ)-ს წევრი 1925 წლიდან. დახვრიტეს 12/12/1937 წელს.

⁹ კიკნაძე ივანე გიორგის ძე, დაბადების წელი - 1907. „სახკინმრეწვის“ დირექტორის მოადგილე. სკკპ(ბ)-ს წევრი 1928 წლიდან. დახვრიტეს 04/30/1938 წელს.

¹⁰ ერასტი ხაჩიძე - წლების განმავლობაში მუშაობდა „სახკინმრეწვის“ დირექტორის მოადგილის მოვალეობაზე. შემთხვევით გადაურჩა სასჯელს.

¹¹ მიხეილ კალატოზოვი (კალატოზიშვილი) 1936 წელს ასრულებდა „სახკინმრეწვის“ დირექტორის მოვალეობას. რევიზიის შემოსვლისთანავე საქართველო დატოვა და რუსეთში გაიქცა.

¹² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივი (შემდეგში - შსს აკადემიის არქივი), რეპრესიების მსხვერპლთა მონაცემთა ბაზა.

¹³ შსს აკადემიის არქივი, რეპრესიების მსხვერპლთა მონაცემთა ბაზა.

¹⁴ სცსა, ფონდი 297, ანაწერი 1, საქმე 1344.

და კინორეჟისორი სიკო დოლიძე. კრებაზე საჯაროდ განიხილეს „სახკინმრეწვის“ მდგომარეობა, დაგმეს „ხალხის მტრების საქციელი და გამომჟღავნეს მათი კუდები“.

„ამხ. ესაკია - „სახკინმრეწვი“ გაჭედილია ხალხის მტრებით და ჩვენ უნდა გავწმინდოთ აქაურობა! აქ ჯერ კიდევ ბევრია იმ ნაძირლების კუდები, რომლებიც წამლავენ პატიოსან ადამიანებს და შეცდომაში შეჭყავთ მმართველი ორგანოები!აქ ბრძოლა სიკვდილამდეა!!! ჯანმრთელებმა უნდა დავასამართოთ ავადმყოფები და უვარგისები!!!

...ხალხის მტრები უკვე თავის ადგილზე არიან, მაგრამ მათი კუდები ხელს შეგვიშლიან ჩვენ, ცილს გვწამებენ ჩვენ, პატიოსან ადამიანებს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ პატიოსანი ადამიანები ხელუხლებელი იქნებიან! ასე თქვა ლავრენტი პავლოვიჩმა! ჩვენ ძალიან მჭიდროდ უნდა გავერთიანდეთ მის გარშემო და კინოფაბრიკა მივიყვანოთ ახალ გამარჯვებამდე!!! გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის ბელადს, ამხანაგ სტალინს!“¹⁵

„სახკინმრეწვის“ რევიზიის საბუთებში მართლაც დევს თანამშრომელთა გრძელი სიები, რომლებზეც პროკურატურაში საქმეებია აღძრული. ძნელია გავიგოთ, ვინ მართლა იყო დაპატიმრებული და ვინ გადაურჩა უსამართლო ტერორს. ერთი კი ცხადია, უშიშროების რევიზიის დასრულების შემდეგ, „სახკინმრეწვში“ მხოლოდ დაბეჩავებული და მორჩილი ხალხი მუშაობდა...

რატომღაც მგონია, რომ „სახკინმრეწვის“ რეპრესიების სრული დოკუმენტები კიდევ სხვაგან, დღემდე „ტაბუდადებულ დოკუმენტებთან“ ერთად ინახება... მგონია, რომ ჩემი ნაპოვნი ეს საქალაქდებები, ოდესღაც, ვიღაცის არათანამიმდევრულად, სახელდახელოდ შეკრული და შეგნებულად მივიწყებული - რომელიც შემთხვევით გადარჩა.

„სახკინმრეწვის“ რევიზიის ამბავი, სინამდვილეში ხომ მთელი ეპოქის უბედურების მატარებელია. უცნაურია, ამ მოვლენებიდან ათეული წლები ისე გავიდა, ამის შესახებ ზუსტი ინფორმაცია და რეალური ფაქტები ბოლომდე გასაიდუმლოებული დარჩა.

ქართველმა კინემატოგრაფისტებმა ამ თემაზე ხმამაღლა ლაპარაკი ვერ შეძლეს (ან არ მოინდომეს). ისტორიას არასდროს,

¹⁵ სცსა, ფონდი 297, ანაწერი 1, საქმე 1344.

არსად და არავინ ახსენებდა, არავის უყვებოდნენ, მაგრამ შემთხვევით გადარჩენილმა ფურცლებმა სასტიკი დანაშაულის კვალი ბოლომდე მაინც ვერ გააქრო.

გამოყენებული ლიტერატურა:

- საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (შემდეგში სუიცსა), ფონდი 297, ანაწერი 1, საქმე 223.
- სუიცსა, ფონდი 297, ანაწერი 1, საქმე 131.
- სუიცსა, ფონდი 297, ანაწერი 1, საქმე 1344.
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივი (შემდეგში - შსს აკადემიის არქივი), რეპრესიების მსხვერპლთა მონაცემთა ბაზა.

ხელოვნებათმცოდნეობა

ნინო კვირიკაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის
ხელოვნებათმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: ნატო გენგიური

სტატია იკვლევს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშის – ვალეს ტაძრის (X საუკუნე), აღმოსავლეთ ფასადზე განთავსებული განედლებული ჯვრების იკონოგრაფიასა და სემანტიკას ქართული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული მოქანდაკეობის კონტექსტში. კვლევა ეფუძნება რელიეფების მხატვრულ, სტილისტურ და თეოლოგიურ ანალიზს, რაც შესაძლებელს ხდის განისაზღვროს მათი საზრისი სიციცხლის ხისა და ხსნის სიმბოლიკაში.

შუა საუკუნეების ქართული ტაძრების სკულპტურული პროგრამის განხილვისას, ჯვრის მოტივი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპოზიციური და თეოლოგიური ელემენტია. რამდენადაც საქართველოში ჯვრის გამოსახულება, ადრეული ქრისტიანული ნიმუებიდან მოყოლებული (ბოლნისის სიონი, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, ზღუდერი), უწყვეტად ჩნდება ეკლესიათა საფასადო დეკორში, მისი ფორმისა და საზრისის განვითარების ეტაპებზე დაკვირვება მნიშვნელოვანი ინფორმაციის მატარებელია და არსებითი საფუძველია შემოქმედებითი პროცესის ევოლუციის გასააზრებლად.

სწორედ ამ მიზნით სტატიაში თავმოყრილია ვალეს აღმოსავლეთ ფასადის განედლებული ჯვრების ფორმის მსგავსი ქართული პარალელები, რაც შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ, რა პერიოდიდან გვხვდება მსგავსი ტიპის ჯვრები, რა ფორმითა და კონტექსტით რთავენ მათ ეკლესიის დეკორში, როგორ ვითარდება და რა სტილისტურ ტრანსფორმაციას განიცდის დროთა განმავლობაში.

წარმოდგენილი ანალიზი გვაძლევს საშუალებას, ვალეს ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის განედლებული ჯვრები განვიხილოთ უფრო ფართო კულტურულ და მხატვრულ კონტექსტში – როგორც გარდამავალი საფეხურის ნიმუში ქართულ სკულპტურაში, მაკავშირებელი რგოლი ძველ ტრადიციებსა და ახალ მიდგომებს შორის.

რეზიუმე სარკმლის თავსართი აყვავებული ჯვრით - ვალეს ტაძრი (X საუკუნე)

საკვანძო სიტყვები: ვალეს ეკლესია, განედლებული ჯვრები, სიცოცხლის
ხე, შუა საუკუნეების ქართული პლასტიკა, რელიეფები

ქრისტიანული სკულპტურის კვლევისას ჯვრის სიმბოლური გამოსახულება ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ბოლნისის სიონიდან მოყოლებული, ჯვრის გამოსახულებები, რომლებიც სხვადასხვა მახასიათებლითა და საზრისითაა დატვირთული, მრავლად გვხვდება. ამ სტატიის მიზანია ქართული ხუროთმოძღვრების ცნობილი ნიმუშის - ვალეს ტაძრის (X საუკუნე) აღმოსავლეთ ფასადის ჯვრების გამოსახულების კვლევა ეპოქის კონტექსტში, მათი კლასიფიცირება, მხატვრული მახასიათებლების გამოყოფა, საზრისის განსაზღვრა და პარალელური მასალის ანალიზი.

უნდა აღინიშნოს, რომ ვალეს ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადზე გადაკეთების კვალი არ შეინიშნება, ამას ადასტურებს დიდი ზომის, კარგად გათლილი კვადრების წყობა, შესაბამისად, რელიეფები თავდაპირველ ადგილასაა განლაგებული.¹

აღმოსავლეთ ფასადის ჯვრები

ვალეს ეკლესიის აღმოსავლეთ ფასადის სამკვეთლოსა და სადიაკვნეს სარკმლის თავსართი შემკულია განედლებული ჯვრის რელიეფებით. ორივე ჯვარი (სურ. 1, 2) ხასიათდება მსგავსი ელემენტებით: შესრულებულია კარგად დამუშავებულ ფართო, ქვიშისფერ მარტკუთხა ფილაზე. ორივე ჯვარს ახლავს სწორკუთხა მოჩარჩოება, რომელიც ქვედა მხარეს სარკმლის ღიობს მიუყვება და ცენტრში სარკმლის თაღოვან დაბოლოებას იმეორებს - ჯვრის ქვეშ, გორაკივით „საფეხურს“ ქმნის. კომპოზიცია მარტკუთხა მოჩარჩოებიდან ამოზრდილი მცენარეული ელემენტებით იკვრება, რომლებიც წვერებით ეხება ერთმანეთს.

¹ მეფისაშვილი, ვალეს, 1950, გვ. 34.

ჯვარს ორივე მხრიდან და ქვემოდან გეომეტრიული ჩუქურთმა მიუყვება, რომელიც გარდაიქმნება და სრულდება მცენარეული ელემენტებით, მის ცენტრში აღმართული ჯვარიც სადად დეკორირებულია მცენარეული ელემენტებით. წარწერა არ გვხვდება. ჯვრები თაღოვან ლილვზე ცენტრიდან ამოზრდილ სვეტზე დგას. ჯვრების რელიეფის დამუშავება მსგავსია.

ორივე რელიეფის მოჩარჩოება იდენტურია: სწორკუთხა, ამობურცულ კანტში ჩასმული ლენტოვანი წნული. წნული ორი ლენტისგან შედგება, თუმცა სამხრეთ სარკმლის წნული ჩრდილოეთ სარკმლის რელიეფის წნულისგან მცირედით განსხვავდება (მაგ. ჩრდილოეთი ჯვრის მოჩარჩოების წნულს დამატებით მცირე ფოთლებიც აქვს).

ორივე ჯვარი მსგავსი პროპორციებისაა: ქვედა მკლავი უფრო გრძელია დანარჩენ სამ მკლავზე. ის დამატებით, „ტარზეა“ დამყარებული, რაც ჯვარს ვერტიკალურად აქცენტირებულ პროპორციებს ანიჭებს. ჯვრის ცენტრში დისკოა, რომელიც წვრილკანტიან წრეშია ჩასმული. წრიდან ოთხივე მხარეს ამოწეული ხაზობრივი კანტი გადის და ოთხივე მხარეს სამკუთხედებით სრულდება. ოთხივე ნაწილი ერთი ზომისა და ფორმის ასეთივე ამოწეული კანტით ჩარჩოვდება, მკლავები ბოლოში ფართოვდება და წვერებში რგოლებით სრულდება.

ჩრდილოეთ სარკმლის რელიეფი უკეთაა შემორჩენილი და კარგად იკითხება დეტალები, ხოლო სამხრეთ სარკმლის რელიეფი შედარებით დაზიანებული და გამოქარულია, თუმცა მისი დეტალური ანალიზის საშუალებას იძლევა.

აღმოსავლეთ ფასადზე ჯვრის გამოსახვა ქართული ხუროთმოძღვრებისთვის სახასიათოა. რაც უკავშირდება მეორედ მოსვლის უამს ქრისტეს ჯვრის წინამძღოლობით.² რასაც თეოლოგიური საფუძველი აქვს და უკავშირდება ეფრემ ასურის სიტყვებს: *„როდესაც ხილულ სამყაროს ბოლო მოეღება და აღმოსავლეთით ქრისტე გამოჩნდება, მას წაემძღვარება ჯვარი ისევე, როგორც ბასილევსს წინ მიუძღვის დროშა“*.³

ჯვრების აღმოსავლეთ ფასადზე განთავსების ერთ-ერთი ადრეული ნიმუში ბოლნისის სიონზე შემორჩა, უფრო გვიან ვხვდებით

² Elizbarashvili, Giviashvili, Architecture. 2023, pg. 56.

³ ჯობაძე, ადრეული, 2007, გვ. 48-49.

გურჯაანის ყველაწმინდაში (VIII-IX საუკუნეები), ხოლო ტაო-კლარჯეთის ადრეულ ეკლესიებში (პარეხთა, ნუკას საყდარი, ოპიზა, დოლისყანა) ჯვრები აღმოსავლეთ ფასადზე აღარ კეთდება, არამედ, მხოლოდ X საუკუნის მეორე ნახევრიდან და XI საუკუნის დასაწყისში ჩნდება კვლავ ჯვრები აღმოსავლეთ ფასადზე (იშხანი, ტბეთი).⁴ XI საუკუნეში გრძელდება უკვე მონუმენტური ჯვრის გამო-სახვა აღმოსავლეთ ფასადზე (ნიკორწმინდა, სამთავისი).

ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში განედლებული ჯვრის საზრისი უკავშირდება სიცოცხლის ხეს, რომელიც აერთიანებს თავად ჯვრის წინა სახესა და სიცოცხლის ხეს (ხე ცხოვრებისა). იოანეს სახარების (11:25) მიხედვით, სიცოცხლის ხე თავად ჯვარცმული იესოს სამეფო ტახტია, რომელიც ამბობს: „მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე“, რომელიც სძლევს ბოროტებას, სიკვდილსა და ცოდვას.⁵ სიცოცხლის ხისა და ჯვრის შერწყმით მიღებული განედლებული ჯვარი სატრიუმფო ხასიათის მატარებელია, რამდენადაც გამოხატავს სიცოცხლის, აღდგომისა და ხსნის იდეას. ძირითადად გამოსახვენ კარის ფრთებზე, მინიატიურებში ჩართულია წიგნის საწყის გვერდებზე და თავის დასაწყისში, ეს შესაძლოა აიხსნას, როგორც დასაწყისის, შესვლის იდეა საკრალურ, წმინდა სივრცეში, იგივე მიახლება სიცოცხლის ხესთან (იოანე, 22:14).⁶ განედლებულ ჯვარში ერთიანდება როგორც „ხე ცხოვრებისა“, ასევე „გოლგოთის ჯვარი“ და მეორედ მოსვლის მაუწყებელი ჯვრის ხატება.⁷

მცენარეულ მოტივში ვაზი ქრისტეს სიმბოლოს გამოსახავს – „მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამაჩემი მევენახეა“ (იოანეს სახარება, თავი 15:1⁸). ვაზის ორნამენტული მოტივის შერწყმა ჯვართან ხშირია როგორც ქართულ, ასევე კაპადოკიის ადრეული ეკლესიების მოხატულობის პროგრამაში, რაც სამოთხის თემაზე მიგვიბრუნებს.⁹

რაც შეეხება ჯვრის ფორმას – წაგრძელებული, ბოლოებგაფართოებული მკლავები, რომლებიც წრეებით სრულდება მკლავთა ორივე კუთხეში, საკმაოდ გავრცელებულია და ხშირად გამოიყე-

⁴ ჯობაძე, ადრეული, 2007, გვ. 49.

⁵ იოანეს სახარება, თავი 11.

⁶ Bandmann, Braundels, Kollwitz, Lexikon, 1994, pp. 166-170.

⁷ კვაჭატაძე, წმ. ნიკოლოზის, 2007, გვ. 140; სხირტლაძე, ადრეული, 2008, გვ. 59; Bandmann, Braundels, Kollwitz, Lexikon, 1994, pp. 263-266.

⁸ იოანეს სახარება, თავი 15.

⁹ სხირტლაძე, ადრეული, 2008, გვ. 59-62.

ნება ჯვრის რელიეფებში.¹⁰

პარალელების მოძიებისას ვალეს აღმოსავლეთ ჯვრების ფორმის მახასიათებლებით (ქვედა მაღალი მკლავი, მკლავების ბოლოების გაფართოება კიდებისკენ) ვიხელმძღვანელებ და დავინტერესდით, თუ რა პროცესს გადის და როგორ ვითარდება ის. ქრონოლოგიური სურათის შექმნით შევეცდებით განვსაზღვროთ ვალეს ჯვრების კონკრეტული პერიოდი.

როგორც უკვე აღვნიშნე, პირველი შემორჩენილი მაგალითი **ბოლნისის სიონში** (V საუკუნე) გვაქვს. როგორც ვიცით, აქ ეგრეთ წოდებული ბოლნური ჯვრები¹¹ – ტოლმკლავა, წრიულ მოჩარჩოებაში ჩასმული ჯვრები, საკმაო რაოდენობით შემორჩა. თუმცა ბოლნისის სიონის ეკლესიაშივე ფიქსირდება მეორე სახის ჯვრებიც – რომელთაც ვერტიკალურად აქცენტირებული პროპორციები აქვთ მოკლე განივი მკლავების გამო (ტაბ. 1). წაგრძელებული ჯვრების ეს ფორმა საწყისი ეტაპია და სრულიად მინიმალური ფორმითაა გამოსახული კაპიტელებზე, მათი მკლავების ზედაპირი გლუვია, არ არის დამუშავებული და ვალეს ჯვრების უძველესი ქართული პარალელია ვერტიკალურად აქცენტირებული პროპორციებითა და ბოლოებისკენ მკლავებგაფართოებული აგებულების გამო. ერთ-ერთი კაპიტელის ორნამენტში ჩართულია ასეთი სახის სამი ჯვარი. ეს გოლგოთას სამი ჯვრია, ანუ ჯვარცმის სიმბოლური გამოხატულება.¹² ხოლო სანათლავში, კაპიტელზე წარმოდგენილი ჯვრები (ტაბ. 1.1, 1.3) აღდგომის საზრისის მატარებელია, რაზეც ქვედა რეგისტრში არსებული მცენარეული ელემენტები, მეორე შემთხვევაში კი ფარშევანგები მიუთითებენ.

¹⁰ აღნიშნული ფორმა – Крест четвероконечный «наплевидный» (ბიზანტიური მინიატიურა, მოსკოვი, 1977, ტაბულა 30), II ს-ის ბერძნული სახარების მიხედვით ჯვრის ეს ფორმა გამოსახავს ჯვარცმის შემდეგ ქრისტეს სისხლით გაჟღერებულ ჯვარს, რომელიც ცოდვასთან ბრძოლის სიმბოლოდ იქცა (ლუკა 22:44). ხოლო როდესაც ჯვარზე სისხლი გადმოიღვარა (იოანე 19:34), ეს მაგალითი მორწმუნეთათვის სიკვდილამდე ბოროტებასთან ბრძოლის მოწოდებად იქცა. „მას (მაცხოვარს), რომელმაც შეგვიყვარა და თავისი სისხლით გვისწა ჩვენი ცოდვებისაგან“ (გამოცხადება 1:5). Кузнецов, История, 1997, ст. 44–45.

¹¹ მუსხელიშვილი, ბოლნისი, ტ. III, 1938, გვ. 311–376; ჩუბინაშვილი, ქართული, 1936, გვ. 38.

¹² გ. ჩუბინაშვილი, იქვე.

ჯვრის ამ ფორმის შემდგომ განვითარებას ვხედავთ მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესიაში (545-586 წლები),¹³ ზღუდერის ეკლესიაში, (VI-VII საუკუნეები),¹⁴ წრომსა (626-634/5 წლები) და არმაზში (864 წელი)¹⁵ (ტაბ. 2).^{16,17} სამივე შემთხვევაში ჯვრის მკლავებს ემატება წრეები თითოეული მკლავის წვეტზე, ხოლო დასმული ტარის ბოლოდან გამოსული მცენარეული ელემენტი ამკობს. როგორც ჩუბინაშვილი აღნიშნავს, ამ ჯვრებს აერთიანებთ ახალი დეკორატიული პრინციპის გამოყენება, ხოლო წრომი მის განვითარებას გვთავაზობს.¹⁸ წრომისა და ზღუდარის შემთხვევაში უკვე მკვეთრად არის ჩამოყალიბებული და გამოხატული ის ფორმები, რაც ბევრ საერთოს პოულობს ვალეს ჯვრის რელიეფებთან - ჯვრის მკლავების მოქნილი და არა სწორი ფორმა, ბოლოებში დასრულებული წრეებით, სამკუთხედ ფორმებად ჩაკვეთილი მკლავებით.

სწორედ ეს მაგალითები შეიძლება ჩაითვალოს ეკლესიებზე არსებული განედლებული ჯვრების პირველ მაგალითებად და, ფორმიდან გამომდინარე, ვალეს აღმოსავლეთ ფასადის ჯვრის რელიეფების წინამორბედებად.

შემდგომ პერიოდში, კერძოდ, X საუკუნეში, უკვე გვაქვს ისეთი ნიმუშები, სადაც აღმოსავლეთ ფასადის პასტოფორიუმების სარკმლებია შემკული განედლებული ჯვრის რელიეფებით. ჩვენ შევარჩიეთ ნიმუშები, რომლებიც ზუსტადაა დათარიღებული.

ესენია: ერედვის წმ. გიორგის ეკლესია (906),¹⁹ ერედვის ბერის

¹³ გ. ჩუბინაშვილი, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922-23, გვ. 51.

¹⁴ ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, Ars Georgica 2, Tb. 1948, გვ. 44.

¹⁵ Меписашвили Р. Цинцадзе В. Архитектура нагорной части исторической провинции Грузии — Шида Картли. 1975 გვ. 20.

¹⁶ გ. ჩუბინაშვილი, მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, ტფ. უნივ. მოამბე, II, 1922-23, გვ. 51-65.

¹⁷ მოხატულობებში მსგავსებები იკვეთება ატენის სიონის ანიკონურ მოხატულობაში (VII ს.), სადაც ჯვრები სწორედ სხენებულ ფორმას იმეორებს და ასეთივე განედლებული მოტივით არიან გამოსახულნი. თ. ვირსალაძე, ატენის სიონის მოხატულობა, ქართული მხატვრობის ისტორია, თბ. 2007, გვ. 103-202. ასევე საინტერესო მსგავსებაა სინასოსის წმ. ბასილის ეკლესიის (კაპადოკია) სამხრეთ კედლის სქემაში ჩასმულ განედლებულ ჯვართან. ზ. სხირტლაძე, ადრეული შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა, თელოვანი ჯვარპატიოსანი, თბ. 2008, გვ. 59.

¹⁸ ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია ტ.1, ტფ. 1936, გვ. 162.

¹⁹ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V ტომი, 1990, გვ. 168-169.

საყდარი (X საუკუნის შუა ხანები),²⁰ დირბი (957-967),²¹ დისევის ძელიცხოვრის ეკლესიის (X საუკუნე)²² აღმოსავლეთ სარკმლის რელიეფი,²³ პარხალი (961-973),²⁴ ზემო-სკრა (X საუკუნე),²⁵ ჯაყისმანის მთავარი ეკლესია (993),²⁶ ხცისი (1002).²⁷ ყველა დასახელებულ ეკლესიაში ჯვრიანი რელიეფები ჩასმულია სარკმლის თავსართად. წინა პერიოდის ნიმუშებისგან განსხვავებით, უფრო მდიდრულადაა გაფორმებული, დამატებული აქვს გარკვეული დეტალები, მაგალითად, სადა მოჩარჩოება (დირბი), პატარა ნახევარსფეროები მკლავებს ზემოთ (ბერის საყდარი) ან ფართოდ, ფილის მთელ ზედაპირზე გაშლილი ყლორტები (პარხალი, ტაბ. 3). რელიეფების ორნამენტიკა მცენარეული მოტივებითაა, ჯვრის ფორმა ცენტრიდან გამოსული ტოლი მკლავებით იქმნება, რომლებიც ბოლოებში ფართოვდება და მათი ბოლოები დეკორირებულია წრეებით. აღნიშნულ ნიმუშებს სწორედ ეს საერთო მახასიათებლები აქვთ, რაც აერთიანებთ ვალეს ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადის ჯვრებთან.

ვალეს მსგავსად, პარხალის ჯვრის რელიეფში შეინიშნება სარკმლის ნახევარწრის კომპოზიციის ნაწილად ქცევა: აქ სარკმლის ზედა, ნახევარწრიულ მოჩარჩოებას ორნამენტული წნული იმეორებს. სწორედ მასზეა დამყარებული ჯვარი; რელიეფები შესრულებულია კარგად დამუშავებულ თლილ ფილებზე. ცენტრში აღმართული ჯვრის გარშემო მოჩარჩოება შესრულებულია მცენარეული მოტივებით. ჯვრის ფორმა ცენტრიდან გამოსული ტოლი

²⁰ Меписашвили, Цинцадзе, Архитектура, 1975, с. 64.

²¹ გაგოშიძე, ჩიხლაძე, დირბის, 2006, გვ. 31.

²² დირბისა და დისევის რელიეფების შემთხვევაში აყვავებული ჯვრის საზრისი კონკრეტულ დანიშნულებას იძენს და როგორც გაგოშიძე აღნიშნავს, ედემის ბაღში დარგული აყვავებული ჯვრის სახით წარმოდგენილი სიცოცხლის, ხის განასახიარებას, ხოლო წრეში წარმოდგენილი ქტიტორი, სამოთხესთან ახლოს გამოსახვით, შესაძლოა გარდაცვლილი ქტიტორის გამოსახულება იყოს, გ. გაგოშიძე, ჩიხლაძე, დირბის, 2006, გვ. 24.

²³ Меписашвили, Цинцадзе, Архитектура, 1975, с. 99-101; შმერლინგი, ქართული, 1954, გვ. 45.

²⁴ ჯობაძე, ადრეული, 2007, გვ. 215.

²⁵ შმერლინგი, ქართული, 1954, გვ. 37; თაყაიშვილი, არქეოლოგიური, 1907, გვ. 64; ზაქარაია, შიდა ქართლის, 1959, გვ. 201-232.

²⁶ Такайшвили, Известия, 1907, ст. 66-68.

²⁷ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V ტომი, 1990, გვ. 460.

მკლავებით იქმნება, რომლებიც ბოლოებში ფართოვდება და მათი ბოლოები დეკორირებულია წრეებით.

საინტერესოა რეგიონში ვაღეს სიახლოვეს მდებარე, X საუკუნის ტაძრებზე გამოსახული განედლებული ჯვრის რელიეფების რამდენიმე მაგალითის მიმოხილვაც. მაგალითად, **კუმურდო (964)**,²⁸ **ბავრა (X საუკუნე)**,²⁹ **საღამოს ეკლესია (X საუკუნე)**³⁰ და **ჯაყისმანი (993)**.³¹

ვაღეს ჯვრებთან აღნიშნულ მაგალითებს ცოტა საერთო აქვთ, პარალელურად მხოლოდ საზრისის თვალსაზრისით განვიხილავ. მაგალითად, კუმურდოს რელიეფების ფორმა განსხვავებულია – ჯვრის მკლავებს სწორი ფორმა აქვთ და ბოლოებში არ ფართოვდება, თუმცა, ვაღეს მსგავსად, სრულდება წრეებით. სარკმლის თაღს იმეორებს წნული, რომელზეც ჯვარია ამოსული, ეს ორივე საერთო წნულითაა შემდგარი. შესრულების მანერაც განსხვავებულია, კუმურდოს შემთხვევაში ფაქიზად დამუშავებული ფორმებია, უფრო მონუმენტური და აქცენტირებულია. ჯაყისმანის რელიეფიც სრულიად განსხვავებულია, ტიმპანს სრულად ითვისებს მცენარეული ელემენტები და ჰაეროვნად ავსებს სივრცეს. აქ არ გვხვდება ჯვრის გამოკვეთილი ფორმა ვაღეს მსგავსად, არამედ ისეა ჩაფიქრებული, რომ ჯვარი ოთხივე მკლავიდან იტოტება და გადადის მცენარეულ ელემენტში, შესაბამისად, ჯვარი და მცენარე ერთ მთლიანობას წარმოადგენს.

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ X საუკუნის მეორე ნახევარი ამ რეგიონში ძიებების პერიოდია, ოსტატის ამოცანაა შექმნას სრულიად ახლებური განედლებული ჯვრის ფორმა. როგორც ჩანს, X საუკუნის სამცხე-ჯავახეთში აინტერესებთ აღდგომის, სიცოცხლის განახლების, მეორედ მოსვლის იდეა, რომლის მნიშვნელოვანი სიმბოლოც განედლებული ჯვრებია.

XI საუკუნიდან ჯვრის გამოსახვის მიდგომები იცვლება – მცირდება საფასადო მორთულობა და მონუმენტური ჯვარი დომინან-

²⁸ გუნია, კუმურდოს, 2019, გვ. 18. ეკლესიის აგების თარიღი მითითებულია მის სამშენებლო წარწერაში, იქვე, გვ. 18

²⁹ ბერძენიშვილი, ელიზბარაშვილი, ვაჩიშვილი, ჩაჩუნაშვილი, ჯავახეთი, 2000, გვ. 55.

³⁰ იქვე, გვ. 23.

³¹ Уварова, Христианские, 1894, ст. 94-96; Такайшвили, Известия, 1907, ст. 66-68; სილაგაძე, ჯაყისმანის, 2011, გვ. 95-119.

ტურ ადგილს იკავებს (სამთავისი, 1030 წელი).³² სამთავისის აღმოსავლეთ ფასადის ლაკონური და მკაცრად ჩამოყალიბებული რელიეფური კომპოზიცია პოპულარული ხდება და ფეხს იკიდებს მომდევნო პერიოდის განმავლობაში.

ვალეს აღმოსავლეთ ფასადზე წარმოდგენილი განედლებული ჯვრებისა და მისი პარალელური მასალის შესწავლამ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცა.

VI-VII სს-ის ტაძრებში მთავარი ყურადღება ექცეოდა ეკლესიის არქიტექტურული ფორმების ძიებას და რელიეფები ტაძრის არქიტექტურის აქცენტებად გამოიყენებოდა (წრომი). ამ შემთხვევაში რელიეფების განაწილება გააზრებულად ხდება, რათა ეკლესიის ფორმა გამოკვეთოს და ფასადი „შიშვლად“ არ დარჩეს, დაისვას ერთგვარი აქცენტი იმ ნაწილზე, რომლის გამოკვეთაც ოსტატს სურს.

ვალეს შემთხვევაში რელიეფები უკვე არა მხოლოდ არქიტექტურული ფორმების აქცენტებად, არამედ მთლიანი ტაძრის საერთო მხატვრულ-შინაარსობრივი პროგრამის ორგანულ ნაწილადაა ქცეული.³³ ეს კი პერიოდის მახასიათებელი ნიშანია.

მეორე მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც პერიოდის ცვლილებაზე მიუთითებს, მცენარეული ელემენტის განვითარებაა. თუ წრომისა და მცხეთის მცირე ტაძრის შემთხვევაში ორ-ორი მცენარეული ელემენტი გვაქვს, რომელიც ქვედა ტარიდან აქვს გამოზრდილი ჯვარს და მხოლოდ მასიური, თითო ფოთლით გამოიხატება, რომელიც გვერდით მკლავებს არ სცილდება. ხოლო ვალეს შემთხვევაში უკვე გართულებული ვერსია გვაქვს სახეზე: მცენარეული ელემენტი იტოტება და უკვე შემდეგ გადადის ფოთლოვან მოტივში, რომელიც აჩარხოებს ჯვარს. მცენარეული ელემენტის განვითარება და მისი ვარიაციები, მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს. აღსანიშნავია ისიც, რომ ადრეული პერიოდის ორნამენტები აშკარად ასახავს სასანური ხელოვნების გავლენას, ხოლო ვალეს და მისი პერიოდის ტაძრებში მცენარეული მოტივი იძენს განსხვავებულ ხასიათს, რაც ვაზისებრი ხვიარებით გამოირჩევა. მცენარეული მოტივების მრავალფეროვანი ვარიაციები შეიძლება მიუთითებდეს უცხოური გავლენებისგან გათავისუფლები-

³² მეფისაშვილი, სამთავისის, 2001.

³³ ხუნდაძე, X ს-ის ხუროთმოძღვრული, 2017, გვ. 126-151.

სა და ეროვნულ ფორმათა ძიების პროცესზე. საინტერესოა ისიც, რომ ვაღეს შემთხვევაში განსაკუთრებულად აქცენტირებულია მცენარეული ელემენტი, ის ჩარჩოს ფუნქციასაც ითავსებს, რამდენადაც ქვედა მკლავიდან გამოსული ორივე ყლორტი მიუყვება ფილის კიდეებს და სწორედ მათი წვეტების შეერთებით ჩარჩოვდება რელიეფი. მსგავსი პარალელი მხოლოდ პარხალის რელიეფზე გვხვდება, სადაც მცენარეული ელემენტების კიდეები ჯვრის თავზე წვერებით ეხება ერთმანეთს. თუმცა პარხალის რელიეფს კიდეც ცალკე მოჩარჩოება აქვს, სადაც მეტად განვითარებული მცენარეული ელემენტები არა ვაღეს მსგავსი სქემატურობით, არამედ თავისუფალი ხვიარებით ავსებენ და სრულად ითვისებენ სივრცეს.


მოძიებული მაგალითების ანალიზი და შედარება გვეხმარება განვსაზღვროთ ვაღეს აღმოსავლეთი ფასადის ჯვრის რელიეფების სავარაუდო პერიოდი: ისინი შესრულებული უნდა იყოს X საუკუნის 60-იან წლებამდე. ეს დასკვნა ეფუძნება იმ ფაქტს, რომ სწორედ X საუკუნის 60-იანი წლებიდან იკვეთება როგორც სარკმლის საპირეების დეკორატიული ორნამენტით დამუშავება (მაგ. დარკვეთის წმ. გიორგის ეკლესია, კუმურდოს აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალური სარკმელი), ასევე ფასადების სიბრტყეთა გეომეტრიული თუ მცენარეული ორნამენტებით შევსების ტენდენცია და ფორმათა მეტად დამუშავება, სიბრტყეთა რბილი, ოვალური ხაზებით გადმოცემა (ხცისი). X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისის მაგალითებში (ჯაყისმანი, ხცისი) კი უკვე გვხვდებით ისეთ ფორმებს, რომლებიც მრავალნაწილიანი, მდიდრული მცენარეული მოტივებით, დახვეწილი შესრულებით გამოირჩევა. აქ არის რელიეფის ზედაპირის ფენებად დამუშავება, გარკვეულად „პლანებად დაყოფა“, რაც აღნიშნული პერიოდის გამოკვეთილი მახასიათებელია. ამ თვალსაზრისით ჩემი და ნათელა ალადაშვილის მოსაზრებები ემთხვევა ერთმანეთს, რის მიხედვითაც, ვაღეს ტაძარი გარდამავალი ხასიათის ძეგლია, ის დგას ძველსა და ახალ მიდგომებს შორის და აჩვენებს ამ გარდამავალ პროცესს ძველიდან ახლისკენ.³⁴

³⁴ ალადაშვილი, ნიკორწმინდის, 1957, გვ. 59.



ჯვრის რელიეფური გამოსახულება პასტოფორიუმის სარკმელზე. ვალეს
ტაძრის აღმოსავლეთი ფასადი

ტაბ. 1: ბოლნისის სიონის ჯვრები.
V ს.



1.



2.



3.

1. სტუმბური ჩანახატი ერთ-ერთი სვეტისათვის ჩრდ. სტოპში
2. ამიკვეთილის ჯვრის ბაზილიკის მე-5 სვეტზე
3. კაპიტელის რელიეფი

ტაბ. 2: VI-IX სს.



4.

5.

6.

7.


4. მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, ჯვრის რელიეფი ნიშაში, 545-586 წწ.

5. ზღუდური, აღმოსავლეთი ფასადი, VI-VII სს.

6. წიშოში, სამხრეთი ფასადი, 626-634/5 წწ.

7. არმაზი, დავის კარის ტიმპანის მორთულობა, 864 წ.

ტაბ. 3: X ს. -ის შუა ხანები



8.



9.



10.

8. ერეკლე, ბერის საყდარი, აღ. ფასადი, X ს.

9. დიორის ღვთისმშობლის ეკლესიის კომპლექსი, სამხ. კარის ტიმპანი, 957-967 წწ.

10. პარბალი, 961-975 წწ.

ტაბ. 4: X ს. -ის II ნახ. – XI ს. -ის დასაწყისი



11.



12.



13.

11. ნადარბაზევი, კარის ტიმპანი, X ს.

12. ხვისი, წმიძიუთის ნათლისმცემლის ეკლესია, 1002 წ.

13. ხვისი, წმიძიუთის ნათლისმცემლის ეკლესია, 1002 წ.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ალადაშვილი ნ., ნიკორწმინდის რელიეფები: ფასადების სკულპტურის შესახებ შუა საუკუნეების საქართველოში, თბ., 1957.
- ბერძენიშვილი დ., ელიზბარაშვილი ი., ვაჩეიშვილი ნ., ჩახუნაშვილი ც., ჯავახეთი, ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი, თბ., 2000.
- გაგოშიძე გ., ჩიხლაძე ნ., ღირბის ღმრთისმშობლის მიძინების მონასტერი, თბ., 2006.
- გუნია დ., კუმურდოს კათედრალი, თბ., 2019.
- ვირსალაძე თ., ატენის სიონის მოხატულობა, ქართული მხატვრობის ისტორია, თბ. 2007.
- ბაქარაია პ., შიდა ქართლის ციხე-სიმაგრეები, თბ., 1959.
- თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტფ., 1907.
- კვაჭატაძე ე., წმ. ნიკოლოზის რელიეფური ხატი ანანურის ღმრთისმშობლის ეკლესიის სამხრეთ ფასადზე, საქართველოს სიძველენი N10, თბ., 2007.
- მაჩაბელი კ., ბოლნისის ქვაჯვარას კაპიტელის ორნამენტული დეკორის სისტემა: ქრონოსი N2, თბ., 2021.
- მეფისაშვილი რ., ვალეს ტაძარი და მისი აღმშენებლობის ორი ძირითადი პერიოდი, ქართული ხელოვნება: ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები 3, თბ., 1950.
- მეფისაშვილი რ., სამთავისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის დეკორატიული მორთულობის თავისებურება, ქართული ხელოვნება N11, თბ., 2001.
- მუსხლიშვილი ლ., ბოლნისი, თბილისი, ენემიკის მოამბე, ტ. III, თბ., 1938.
- რჩეულიშვილი ლ., ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, Ars Georgica 2, Tb. 1948.
- საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, V ტომი, თბ., 1990.
- სილაგაძე ნ., ჯაყისმანის მონასტრის მთავარი ეკლესია და მისი მომიჯნავე ნაგებობათა კომპლექსი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები III, თბ., 2011.
- სხირტლაძე ზ., ადრეული შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა, თელოვანი ჯვარპატიოსანი, თბ., 2008.
- შმერლინგი რ., ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი, თბ., 1954.

-
-
- ჩუბინაშვილი გ., მცხეთის ჯვრის მცირე ტაძარი, ტფ. უნივ. მოამბე, II, თბ., 1922-23.
 - ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია ტ.1, ტფ., 1936.
 - ხუნდაძე, X ს-ის ხუროთმოძღვრული ქანდაკება, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი, თბ., 2017.
 - ჯობაძე გ., აღრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2007.
 - Bandmann G., Braundels W., Kollwitz J., Lexikon der Christlichen Ikonographie, Freiburger Graphische Betriebe, 1994.
 - Donabedian P., Spécificité typologique des khatchkars diasporiques: les petites plaques à croix murals, Armenia between Byzantium and the Orient, Leyden/Boston, 2020.
 - Elizbarashvili I., Giviashvili I., Architecture of Upper Svaneti, Convivium, 2023.
 - Кузнецов В. П., История развития формы креста, Краткий курс православной ставрографии, Москва, 1997.
 - Мепишашვილი Р., Цинцадзе В., Архитектура нагорной части исторической провинции, Грузии, 1975.
 - Уварова П., Христианские памятники, 1894.
 - Чубинашвили Г., Шмерлинг Р., Храмы в древних селениях Триалети – Олтиси и Тетри цкаро, თბ., ქართული ხელოვნება, ქართული ხელოვნების ინსტიტუტის შრომები 2, 1948.
 - Такайшвили Е., Известия Кавказского Отделения Императорского Московского Археологического Общества, вып. 2, Тиф., 1907.

ინტერნეტრესურსები:

- იოანეს სახარება თავი 11 - https://www.orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/ioane-11.htm 10/06/2025.
- იოანეს სახარება თავი 15 - https://orthodoxy.ge/tserili/akhali_agtqma/ioane-15.htm 10/06/2025.

ქეთევან ოჩიკიძე,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის
მიმართულების ასისტენტი

რეზიუმე

ხახულის მთავარი ტაძრის (X საუკუნე) სამხრეთ პორტალზე წმინდა პეტრე კლიტითა და გასაღებით ხელში, სახარებისეული ნარატივის მიხედვით (მათე 16:18), სასუფეველის ბჭის მცველის ესქატოლოგიური სიმბოლოა და ამ მიმართებით პორტალს სასუფეველის კარის მნიშვნელობას სძენს, რომლის გავლით საკრალურ სივრცეში ვხვდებით. კარის ირგვლივ განლაგებული სხვა სკულპტურები (იონას ხსნა ვეშაპის მუცლიდან, ალექსანდრე მაკედონელის ამაღლება, გრიფონი, მამალი და სხვა), ფართო კონტექსტში გააზრებით, ხსნისა და აღდგომის თემას უკავშირდება, ტიმპანის „ჯვრის ამაღლება“ კი გამოსახულებებს ესქატოლოგიური იდეით აერთიანებს. თითოეული მათგანი ღრმა სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია და პორტალთან კავშირში ორიგინალური მხატვრულ-თეოლოგიური აზროვნების ამკარა მაგალითს წარმოადგენს.


წმინდა პეტრეს ესქატოლოგიასთან კავშირი დადასტურებულია „დღე განკითხვის“ კომპოზიციაში მისი ჩართულობით, რისი არაერთი მაგალითიც შემოგვრჩა შუა საუკუნეების ქართულ მონუმენტურ მხატვრობაში. რელიეფებზეც პეტრესა და პავლეს ფიგურები დაკავშირებულია ქრისტეს მიერ მსჯავრის აღსრულების მომენტთან და, შესაბამისად, იმავე, ესქატოლოგიური შინაარსით არიან დატვირთულნი (გორა, დმანისის რაიონი, VI საუკუნე, ჯოისუბანი, X საუკუნე).

ხახულის პორტალზე მოციქულ პეტრეს ფიგურას იდეურ-შინაარსობრივი პარალელები ეძებნება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნებაში. კერძოდ, კარგადაა გამოკვეთილი მოციქულ პეტრეს, სამოთხის კარიბჭის მცველის, განზოგადებული, სიმბოლური სახე, რომელიც, ფართო გაგებით, აპოკალიფსის მისტერიასაც მოიცავს.

წმინდა კიბრე ხახულის (X საუკუნე) მთავარი ტაძრის პორტალის რელიეფი

საკვანძო სიტყვები: შუა საუკუნეების ქართული ქანდაკება, ხახულის
ტაძრის პორტალი, მოციქული პეტრე, სამოთხის კარის მცველი,
განკითხვის დღე, ესქატოლოგია

ისტორიულ ტაოში მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი გამორჩეული ძეგლი, X საუკუნეში აგებული ხახულის ტაძარი, რელიეფური ქანდაკების შესანიშნავ ნიმუშებს შეიცავს. ფიგურული რელიეფები სიმბოლური სახეების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მთავარი ტაძრის პორტალის ორივე მხარეს არის თავმოყრილი და ალექსანდრე მაკედონელის ამალლების, ფასკუნჯის, ხარზე ლომის თავდასხმის, წმინდა პეტრეს, წინასწარმეტყველ იონას გეშაპის მუცლიდან სასწაულებრივი ხსნის, მამლისა და ლომის სკულპტურულ გამო-სახულებებს მოიცავს, რომელთაც ტიმპანზე გამოკვეთილი ჯვრის ამალლების კომპოზიცია აერთიანებს (სურ. 1). აღნიშნული ფიგურ-



სურ. 1. ხახულის მთავარი ტაძრის სამხრეთი პორტალის რელიეფები

რები კარგად გააზრებულ თეოლოგიურ საფუძველზეა აგებული და ორგანულად ეწყობიან ტაძრის „რელიეფური დეკორის სკულპტურულ პროგრამაში, რომელიც ქრისტიანობის ტრიუმფის, აღდ-

გომის, ამალღებისა და ხსნის იდეას გადმოგვცემს“ და ამავდროულად, ესქატოლოგიური დატვირთვა აქვთ.¹ თითოეული გამოსახულების აღნიშნულ იდეებთან მიმართება კარგადაა შესწავლილი ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში.²

ესქატოლოგიასთან პირდაპირ კავშირშია, კარის მარჯვენა მხარეს, ზედა რეგისტრში განთავსებული, პორტალისაკენ მიმართული წმინდა პეტრეს ფიგურა, დიდი ზომის ბოქლომითა და გასაღებით ხელში (სურ. 2). ხშირად სწორედ ამგვარი სახით წარმოგვიდგება მოციქული „ღღე განკითხვის“ იკონოგრაფიაში, სამოთხის კარის წინ, ფსიქოპომპის როლში – სამსჯავროს შემდეგ იგი მართალთ



სურ. 2. წმინდა პეტრე. ხახულის ტაძრის პორტალი, X ს.

სამოთხემდე აცილებს. მოგიერთ შემთხვევაში, წმინდა პეტრე გასაღების გარეშე ეგებება მართალთა დასებს სასუფეველის კართან.

პეტრე³ ქრისტეს ერთ-ერთი პირველი და საყვარელი, რჩეული მოწაფე, თავის მოძღვარს თან ახლდა მიწიერი ცხოვრების მანძილზე, იხილა მისი ფერისცვალება, სამგზის უარყო იესოს მოწაფეობა და აღიარა ის ღმერთის ძედ – „შენ ხარ ქრისტე, ძე ღმერთისა ცხოველისაჲ“ (მათე 16:16). ამის საპასუხოდ ქრისტემ მიუგო: „და მე გეტყვ შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესაზედა აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი, და ბჯენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას. და მიგცნე შენ

¹ ხუნდაძე, ალექსანდრე, 2007, N 10, გვ. 55.

² იქვე, გვ. 49-64; ალადაშვილი, ხახულის, 2004, გვ. 10-11; Djobadze, 1992, pp. 149-152; Winfield, Some, vol. 31, pp., 1968, pp. 33-72.

³ მოციქულობამდე მისი სახელი იყო სიმონი, პეტრე მას უწოდა ქრისტემ, რაც ბერძნულად ნიშნავს „კლდეს“.

კლიტენი სასუფეველისა ცათაფსანი; და რომელი შეჰკრა ქუეყანასა ზედა, კრულ იყოს იგი ცათა შინა; და რომელი განჰჴსნა ქუეყანასა ზედა, ჴსნილ იყოს იგი ცათა შინა“ (მათე 16:18-19). მათეს სახარების ეს პასაჟი საფუძვლად დაედო „განკითხვის დღის“ კომპოზიციებში ცეცხლოვანი ქერუბიმის მიერ დაცული სამოთხის კარის მართალ-თათვის გამღები მოციქული პეტრეს მხატვრულ სახეს. იგი თავს-დება სამოთხეში მყოფი კეთილგონიერი ავაზაკის, აღსაყდრებული ღვთისმშობლის, „აბრაამის წიაღის“ გვერდით. ხშირად მოციქულს თან ახლავს ანგელოზი, რომელიც სამოთხის კარზე მიუთითებს.

სპილოს ძვლის „დღე განკითხვის“ ადრეულ კომპოზიციებში (IX და XI საუკუნის ნიმუშები ვიქტორისა და ალბერტის მუზეუმიდან) მართალთა ჯგუფს სამოთხისკენ ანგელოზი მიუძღვის. წმინდა პეტრე გასაღებით ან მის გარეშე, XI საუკუნიდან უკვე ჩანს ხელნაწერის მინიატიურებში (Paris gr. 74, XI საუკუნე), სინას მთის „საშინელი სამსჯავროს“ ხატზე (XII საუკუნე), ტორჩელოს მოზაიკურ კომპოზიციაში (XII საუკუნე) (სურ. 3) და ასე შემდეგ და საბოლოოდ იმკვიდრებს ადგილს იკონოგრაფიაში. ის რომანული და გოტიკური კათედრალების პორტალების გრანდიოზული ზომის „საშინელი



სურ. 3. მინდა პეტრე სამოთხის კართან. „განკითხვის დღე“. ტორჩელოს მოზაიკა, XII ს.

სამსჯავროს“ შემადგენელი ნაწილია ან კარიბჭის სიახლოვეს თავსდება (ოტენი (XII საუკუნე), ბაზელი (XII საუკუნე), ამიენი (XIII საუკუნე) (სურ. 4), ბურჟი (XIII საუკუნე), არლი (XII -XV საუკუნეები), პარიზი (XIII საუკუნე), ფრიბური (შვეიცარია, XIV საუკუნე) (სურ. 4), ვებლე (XII საუკუნე) და ასე შემდეგ).



სურ. 4. წმინდა პეტრე. ფრიბურის კათედრალი. XIV ს.

დასავლეთევროპული ქვეყნების საფასადო ქანდაკებაში მოციქული პეტრე ეკლესიის ფლობისა და რომის პაპის ძალაუფლების სიმბოლოდ მიიჩნევა და გასაღებით ხელში „განკითხვის დღისაგან“ განცალკევებითაც გამოისახება.

ქართული მონუმენტური მხატვრობის არაერთმა ძეგლმა შემოინახა მოციქულის ფიგურა „განკითხვის დღის“ კომპოზიციაში, ესენია: ატენი (XI საუკუნე), ბოჭორმა (XI საუკუნე), იკვი (XII საუკუნე), ბეთანია (XII საუკუნე), ახტალა (XIII საუკუნე), ტიმოთესუბანი (XIII საუკუნე), ჭულე (XIV საუკუნე) და სხვა.⁴

განსხვავებული მდგომარეობაა ფიგურულ რელიეფებთან მიმართებით. სახულის გარდა, წმინდა პეტრე გასაღებით გვხვდება

⁴ ჩამოთვლილ მოხატულობებში დასტურდება წმინდა პეტრეს ფიგურა სამოთხის კარის სიახლოვეს, თუმცა, ფრესკათა დაზიანების გამო, ყველგან ვერ დგინდება მისი ატრიბუტიკა.


მხოლოდ ჯოისუბანში (X საუკუნე) (სურ. 5). მოციქულები პეტრე და პავლე მსაჯულ-ქრისტესთან ერთად უკანასკნელ მსჯავრს აღასრულებენ. ჯოისუბნის სარკმლის საპირეს ეს ნაწილი ასახავს ქრისტეს ტრიბუნალს, სადაც პეტრე გვევლინება როგორც სასამართლო პროცესის მონაწილე და ამავე დროს, სასუფეველის ბჭის გასაღების მფლობელი. უშუალოდ მის ქვემოთ, სხვა ფილაზე, მოთავსებულია მართლებისა და ცოდვილების სულთა (ან საქმეთა) აწონვის პროცესი. ფილებზე გამოსახულებათა ამგვარი განლაგება, ერთი შეხედვით, „დღე განკითხვის“ კლასიკურ კომპოზიციას მოგვაგონებს, სადაც მოციქული პეტრე წინ უძღვის მართალთა გუნდს სამოთხისკენ.



სურ. 5. წმინდა პეტრე გასაღებით. განკითხვა, ჯოისუბნის რელიეფი. X ს.

ჯოისუბნის მსჯავრის მსგავსი კომპოზიცია გამოკვეთილია ქვასვეტის კაპიტელზე (VI საუკუნე) სოფელ გორადან (დმანისის რ-ნი). აღსაყდრებულ ქრისტესთან ერთად, მოციქულების - პეტრესა და პავლეს შარავანდედიანი ფიგურებია,⁵ ყოველგვარი ატრიბუტის გარეშე (სურ. 6). სცენა ასახავს ქრისტეს სამსჯავროს სამფიგურიან ლაკონიურ იკონოგრაფიულ სქემას, რამდენადაც, ქრისტეს საყდარზე ჯდომა, უკვე არის მინიშნება სამსჯავროზე სამართლის

⁵ ჯავახიშვილი, ადრეული, 2014, გვ. 20-21.



სურ. 6. მოციქულები პეტრე და პავლე ქრისტე-მსაჯულთან ერთად. ქვასვეტის კაპიტელი სოფ. გორადან. VI ს.

აღსასრულებლად: „რამეთუ ჰყავ სამართალი ჩემი და მშავრი ჩემი, დასჯედ საყდართა ზედა, მსაჯულო სიმართლისაო“ (ფსალმუნი 9:4). ქვასვეტის მომიჯნავე წახნაგებზე არ არის „განკითხვის დღესთან“ უშუალოდ დაკავშირებული ისეთი გამოსახულება, როგორიცაა ხანდისის სტელაზე (VI საუკუნე), აღსაყდრებული ქრისტესკენ მიმართული საცეცხლურიანი ანგელოზი - აპოკალიფსის მომასწავებელი.⁶ გორას ქვასვეტის შემორჩენილ ფრაგმენტზე ჩვილადი ღვთისმშობლის, ასევე, ადორაციის ჟესტითა და ხელში ყვავილით საერო პირთა ფიგურები⁷ არ ეწინააღმდეგებიან კაპიტელის კომპოზიციის სამსჯავროდ გააზრებას. აღნიშნული სცენის პარალელს ვხედავთ V-VI საუკუნეების ბარბერიის ფირფიტაზე, ქრისტესა და მოციქულების მსჯავრის ერთ-ერთი უძველესი იკონოგრაფიული თემით.

ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნებში, გორას ქვასვეტის მსგავსი სამფიგურიანი ცენტრალური კომპოზიცია VI საუკუნის ანტიოქიის კულტურული წრის სპილოს ძვლის სახარების ყდებზეა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკასა და ეჩმიადინში (ინახება ერევანში, მატენადარანში),⁸ VII საუკუნის ნორავანქის სურბ-ასტ-ვაწაწინის ეკლესია-მავზოლეუმის მეორე სართულის კარის ტიმპანზე (ქრისტე-მსაჯული და მოციქულები გრაგნილებით). იკო-

⁶ აღსანიშნავია, რომ ხანდისისა და გორას ქვაჯვარებზე, აღსაყდრებულ ქრისტესთან გამოკვეთილია მზისა და მთვარის სიმბოლოები, მიმანიშნებელი მოვლენის ყოვლისმომცელობასა და საყოველთაოობაზე.

⁷ ჯავახიშვილი, სტელის, 1988, N8, გვ. 97-99.

⁸ Dalton, Byzantine, 911, pp. 207-208.

ნოგრაფიაში „დღე განკითხვისა“ ქრისტეს ტრიბუნალი ორზე მეტი მოციქულით წარმოდგენილია კასტორიის წმ. სტეფანეს ეკლესიის ნართექსის ფრესკაზე (IX-X საუკუნეები), ტორჩელოს მოზაიკაზე (XII საუკუნე), ქართული მონუმენტური მხატვრობის ძეგლებზე - გარეჯის უდაბნოს ქვაბული ეკლესიაში (X საუკუნე), ატენში (XI საუკუნე), ბოჭორმაში (XI საუკუნე), ტიმოთესუბანსა (XIII საუკუნე) და ასე შემდეგ.

წმინდა პეტრეს რელიეფური გამოსახულება, ქრისტესთან ერთად, ვალეს ტიმპანზე (X საუკუნე), მათთან ერთადაა პავლეც იყალთოს სამების (X საუკუნე) და გოგნის კანკელის (X საუკუნე)⁹ რელიეფებზე, სხვადასხვა კომპოზიციაში.

არსებული მასალის გაცნობა ცხადყოფს, რომ ქართული რელიეფური ქანდაკება პეტრე და პავლე მოციქულებს ქრისტე-მსაჯულის გვერდით უკვე VI საუკუნის ქვაკვარებზე გამოსახავს განკითხვის ლაკონიური ფორმულით, რომელსაც ღრმა ესქატოლოგიური პრინციპები ედო საფუძვლად. მოგვიანებით ამ იკონოგრაფიულ რედაქციას ჯოისუბნის მოქანდაკეც მიმართავს და X საუკუნეში „დღე განკითხვის“ შედარებით ვრცელ სურათს ქმნის, ამბატებს რა მსჯავრის ცენტრალურ კომპოზიციას ესქატოლოგიური დოგმატიკის შემცველ სკულპტურულ თემებს.

სიუჟეტურ კომპოზიციას თავს არიდებს ხახულის მოქანდაკე-ოსტატი და პორტალზე, დამოუკიდებელი ფიგურების სახით, ერთი შეხედვით ერთმანეთისაგან განცალკევებულად წარმოდგენილ გამოსახულებებს გარკვეული შინაარსობრივი კავშირით აერთიანებს. როგორც ზემოთ ითქვა, ესაა ქრისტიანობის დიდების, აღდგომისა და ესქატოლოგიური ხსნის იდეა. ამგვარი კომპოზიციური წყობა მეტი სიცხადით წარმოაჩენს გამოსახულებათა სიმბოლურ საზრისს. ალეგორიული მნიშვნელობის მქონე თითოეული ფიგურა ადრექრისტიანული ეპოქისათვის სახასიათო ხატოვანი მეტყველების პრინციპებს ექვემდებარება და, მხატვრული ღირსების გარდა, სიმბოლური ამროვნების სიღრმით გვიზიდავს.

ხახულის პორტალზე წმინდა პეტრეს განთავსებას საკრალური მნიშვნელობა აქვს. პორტალი აქ ტრადიციულად გაგებულია რო-

⁹ ერთი ვერსიით, გოგნის კანკელზე, ქრისტესთან ერთად, თავნი მოციქულთანი არიან, მეორე ვერსიის მიხედვით - წინასწარმეტყველები ენოქი და ელია. ამასთან დაკავშირებით იხ.: სარავა, კანკელის, 2013, კრ. XXIII, გვ. 197-206; კვაჭატაძე, უფლის, 2014, N 17, გვ. 131-143.

გორც სამოთხის კარი, სასუფეველის ბჭე, „რომელშიც მხოლოდ მართალნი შევლენ“.¹⁰ როგორც აღვნიშნეთ, პეტრე მოციქული გასაღებით „დღე განკითხვის“ იკონოგრაფიაში სწორედ სამოთხის ბჭესთან გამოსახება. გარდა ამისა, სახარების ტექსტიდან გამომდინარე, მაცხოვარი „კარიბჭესთან“ ასოცირდება, მისივე სიტყვებით – „მე ვარ კარი; ვინც ჩემით შევა, ცხონდება: შევა და გამოვა, და ჰპოვებს საძოვარს“ (იოანე 10:9). ის არის შუამავალი ადამიანსა და ღმერთს შორის, გზა ქრისტიანისა სასუფეველისკენ. აქ კარის ფუნქციური და სახისმეტყველებითი მნიშვნელობა გაერთიანებულია, მისი გავლით საკრალურ სივრცეში ვხვდებით, სამოთხის (საკურთხეველის) პირისპირ. ხახულის პორტალის ფიგურების ნაწილი ქრისტეს ანალოგად, ნაწილი კი აღდგომისა და ხსნის, ესქატოლოგიურ ნიშან-სიმბოლოდ მოიაზრება და თავისებურ მხატვრულ-თეოლოგიურ ნაშაგად გვევლინება.

პორტალზე არსებული მამლის ფიგურა, პეტრესთან მიმართებით, თვალნათლივ წარმოგვიდგენს ცოდვილის, რომელიც იწანიებს,¹¹ სიმბოლურ-თეოლოგიურ კონტექსტს და ორგანულად უკავშირდება სამოთხეში შესვლის იდეას.

ხახულის მსგავსად, ტაძრის პორტალის სამოთხის კარად და მათ ერთგვარ მცველებად მოციქულთა გააზრება, არაერთხელ მეორდება სომხური ტაძრების ფასადებზე – აღჯოცვანქის (XIII საუკუნე) დასავლეთი პორტალის მოციქულთა მონუმენტური გამოსახულებები – პავლე და პეტრე ხელში გასაღებით – კარიბჭისკენ არიან მიმართულნი¹² (სურ. 7), მრენის კათედრალის (VII საუკუნე) დასავლეთის ფასადზე პეტრე წელზე ჩამოკიდებული გასაღებითაა, გელარდის მონასტრის მავზოლეუმის (XIII საუკუნე) კარის სკულპტურულ შემკულობაშიც მოციქულები არიან (სურ. 8).

ხახულში ყურადღებას იპყრობს პეტრეს არატრადიციული იკონოგრაფიული ტიპი – მის მოპირდაპირედ განთავსებული აღექსანდრე მაკედონელის მსგავსად, ის ხვეულთმიანი და უწვერული ახალგაზრდა ჭაბუკია, ეს კი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ იკონოგრაფიაში გავრცელებული მოციქულის იერს. ატრიბუტები უეჭველს ხდის ფიგურის სწორედ წმინდა პეტრესთან იდენტიფიცირებას.¹³

¹⁰ ჯობაძე, ადრეული, 2007, გვ. 174-175.

¹¹ LCI, 1994, vol. 2, pp. 204-2010.

¹² Закарян, Образы, 1983, გვ. 6.

¹³ დ. ვინფილდის მოსაზრებით, გამოსახული ფიგურა შესაძლოა ეკუთვნოდეს



სურ. 7. მოციქულები პეტრე და პავლე.
აღვოცვანქის მონასტრის პორტალი. XIII ს.



სურ. 8. მოციქულები პეტრე და პავლე.
გელარდის ეკლესიის პორტალი. XIII ს.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის გათვალისწინებით, აღნიშნული ნიმუშის გარდა, სხვა ამგვარ გამოსახულებას ვერ დავასახელებთ. მისი სახით ქართულმა რელიეფურმა ქანდაკებამ წმინდა პეტრეს უნიკალური და საინტერესო მაგალითი შემოგვინახა.

რელიეფის შესრულების სტილური მახასიათებლები მისი შექმნის პერიოდის ამოცანებს პასუხობს. ფიგურის პირობით-სიბრტყობრივი გამოსახვისა და ასიმეტრიულობის მიუხედავად, შეიმჩნევა სხეულის მოდელირებისა და ცალკეული ფორმების გადმოცემაში დეკორატიული ელემენტების გამოყენებისაკენ სწრაფვა. ქსოვილის დენადი და მოქნილი აბრისი კომპოზიციური დასრულებულობის შეგრძნებას იწვევს და ფიგურას გამომსახველობას მატებს. აღნიშნული ტენდენციები გამოარჩევს მას წინა ეპოქის კუთხოვანი და პრიმიტიული რელიეფური ნიმუშებისაგან,

ამრიგად, ხახულის პორტალზე მოციქული პეტრე წამოგვიდგება კარიბჭის მცველის განზოგადებული, სიმბოლური სახით. ფართო გაგებით, ის საკუთარ თავში მოიცავს აპოკალიფსის მისტერიას და განკითხვის დღის საბოლოო შედეგზე მიუთითებს. სამოთხეში დამკვიდრების ამგვარი ლაკონიური ფორმით ასახვა თემის ინტერპრეტირების საშუალებას გვაძლევს. ვფიქრობთ, რელიეფის პორტალზე გამოსახვა თეოლოგიურ-მხატვრული ამოცანების ორიგინალურად გადაწყვეტის შემთხვევაა. „განკითხვის დღის“ იკონოგრაფიულ სქემაში შემავალი მოციქულ პეტრეს ფიგურა კლიტითა და გასაღებით, კიდევ ერთი ეპიზოდით ამდიდრებს ქართულ მოქანდაკეობაში წარმოდგენილ ესქატოლოგიურ თემატიკას.

ღმრთისმშობელს, სამოთხის კართან მისი სიმბოლური კავშირის გამო, თუმცა, საბოლოოდ, მას მაინც პეტრედ მიიჩნევს. ამასთან დაკავშირებით, იხ.: Winfield, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Dalton O. M., Byzantine Art and Archaeology, Oxford, 1911.
- Djobadze W., Early medieval Georgian monasteries in historical Tao, Klarjeti and Shavsheti, Stuttgart, 1992.
- Lexikon der Christlichen Iconographie (LCI), Herausgegeben von Engebert Kirschbaum, Rom, Freiburg, Basel, Wien, 1968, 1994, vol. 2.
- Winfield D., Some Early Figure Sculpture from North-East Turkey, Journal of the Warburg and Courtauld Institutes, vol. 31, 1968.
- ალადაშვილი ნ., ხახულის ტაძრის სამხრეთი პორტალი, ქართული ხელოვნების ნარკვევები, თბ., 2004.
- ჯავახიშვილი გ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული მცირე ქანდაკება, თბ., 2014.
- ჯავახიშვილი გ., სტელის ფრაგმენტი სოფელ გორადან, საბჭოთა ხელოვნება, 1988, N 8, გვ. 96-100.
- ჯობაძე გ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული მონასტრები ისტორიულ ტაოში, კლარჯეთსა და შავშეთში, თბ., 2007.
- ხუნდაძე თ., ალექსანდრე დიდის ამბავება ხახულის ეკლესიის რელიეფზე, საქართველოს სიძველენი, 2007, N 10, გვ. 49-64.
- Закарян Л., Образы Петра и Павла в армянской монументальной скульптуре и их грузинские параллели, ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი IV საერთაშორისო სიმპოზიუმი, თბ., 1983.

ქორეოლოგია

ლევან ალიაშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
სისტენტ-პროფესორი

რეზიუმე

ქადაგობის რიტუალი ქართული ხალხური ქორეოგრაფიის კვლევის საკითხს განეკუთვნება. საკითხის ისტორია იწყება მთვარის კულტთან დაკავშირებით გამართული რიტუალური ქმედებით, რომელიც მე-20 საუკუნემდე შენარჩუნდა ქართულ რელიგიურ გააზრებაში. როგორც იკვეთება, ქადაგობის ინსტიტუტმა ერთგვარი ფორმაცია განიცადა და საკრალური სივრციდან უშუალოდ ადამიანის საცხოვრებელში გადმოინაცვლა.

ქადაგობის სპეციფიკურ სახეს ხევისურეთში ვხვდებით „ტალავართ აღების“ რიტუალის სახით, რომლის შესახებ მოგვითხრობს მელანია ბალიაური. რიტუალი წარმოადგენს მიცვალებულის წლისთავზე გამართულ სპირიტულ სეანსს, სადაც ჯგუფურად იძახებენ გარდაცვლილი ადამიანის სულს გამოძახება და „მისი პირით“ – ქადაგობენ.

აღნიშნული ქმედება მისტერიული ხასიათისაა, სადაც ქალები იღებენ ალკოჰოლს, რომლის შემდგომაც იწყება ზემოხსენებული სეანსი.

აღსანიშნავია, რომ ქადაგობის დროს ხატის „მონა ქალის“ და „მეენეს ქცევის მახასიათებლები იდენტურია, ორივე რელიგიური ექსტაზის საფუძველზე ახორციელებს მოქმედებას. რიტუალი მიმდინარეობს გუნდისა და პროტაგონისტის ურთიერთკავშირის საფუძველზე. ქმედების გამომსახველობითი საშუალებები და მისი შესრულების სპეციფიკა მჭიდრო კავშირშია ქართულ ქორეოგრაფიაში ფართოდ გავრცელებულ საცეკვაო ფორმასთან ფერხულს შიგნით წრეში მოთამაშის სახით.

კვლევა განაპირობა სხვადასხვა მეცნიერებთა შეხედულებებმა ხევისურთა რელიგიური გააზრებების შესახებ და უმთავრესად დიმიტრი ჯანელიძემ, რომელიც პირდაპირ ამტკიცებს, რომ აღნიშნული რიტუალი საფერხულო წესით სრულდებოდა.

ტალავართ ალეზა

(სპირიტუალური მოვლენა მისნურ საცეკვაო რიტუალში)

საკვანძო სიტყვები: *რიტუალი, ქადაგი, ტალავარი, მოტირალი, ქორეოგრაფია*

მისნური საცეკვაო რიტუალების ძირითად მახასიათებელს წარმოადგენს ცეკვის საშუალებით „ქურუმის“ ექსტაზში შესვლა და ქადაგობა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მრავალი ინფორმაციაა ხელმისაწვდომი როგორც ეთნოგრაფიულ, ასევე სახელოვნებო ლიტერატურაში, თუმცა, ქადაგობის შესახებ ყველაზე მკაფიო აღწერა მოცემულია ივანე ჯავახიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართველი ერის ისტორია“ (ტომი I) სოფელ აწყურში დაფიქსირებულ „თეთრი გიორგობის“ მაგალითზე და ვერა ბარდაველიძის ნაშრომში „ივრის ფშავლები“. აღნიშნულ რიტუალს ვხვდებით თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, მათ შორის, ხევსურეთშიც.

ხევსურეთში ქადაგობას დიდი ისტორია და ტრადიცია გააჩნია. „ქადაგნი“ მამაკაცებიც შეიძლება ყოფილიყვნენ და ქალებიც, თუმცა, რიგ შემთხვევებში, უპირატესობა ქალებს ენიჭებოდა. მამაკაცები, ძირითადად, ჯვარ-ხატებში ქადაგობდნენ, ხოლო ქალები – სახლში. თინა ოჩიაურის ცნობით: „სახლში ქადაგობა, ძირითადად, ქალ-ქადაგთა ფუნქციას შეადგენდა. შესაძლებელია იგი ჯვარში ქადაგად დაცემულიყო, მაგრამ მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ქალებს უშვებდნენ“.¹

ქმედების ფუნქციონალობა ყველა შემთხვევაში იდენტურია, იგი ითვალისწინებს „რჩეულის“ (ქადაგის) მხრიდან ზებუნებრივ სამყაროში შეღწევას, იქ მყოფთა კეთილგანწყობის მოპოვებას, მათი ნებასურვილის ამ სამყაროში გაცხადებას.

თუ ჯვარ-ხატებში გამართულ ქადაგობაზე წმინდანთა ნების გაცხადებას ვხვდებით, სახლში ქადაგობისას საკრალური სუბიექტის ადგილს გარდაცვლილი ოჯახის წევრი იკავებს.

ხევსურთა რწმენით: „საიქიოს ყველაფერს ადრე გაიგებენ, თუ სამზეოს ვის რა მოელის. პირველად სულეთში გაარჩევენ სამზე-

¹ ოჩიაური, სარწმუნოების, 1954, გვ. 86.

ოს ბედ-იღბალს, სამშეოს საიქიოს განაჩენის თანახმად მოხდება ყველაფერი“.² სწორედ ამგვარ რელიგიურ გააზრებად უნდა ჩაითვალოს „ტალავართ ალების“ რიტუალი, რომელიც ამ რეგიონში არსებული ქადაგობის სპეციფიკური სახეობაა. აღნიშნული ითვალისწინებს ადამიანების მიერ ჯგუფურად გარდაცვლილის სულის გამოძახებას. ქმედება თავისი არსით სპირიტუალური სეანსია. „სპირიტების რწმენით, სპირიტული სეანსების გმირები, მედიუმები, შუამავლობენ დედამიწაზე მცხოვრებთა და გარდაცვლილთა სულთა შორის. სეანსის დროს ტრანსის (პათოლოგიური ძილის სახეობა) მდგომარეობაში ჩავარდნილი მედიუმები ლაპარაკობენ, წერენ და მოქმედებენ მათი „მაკონტროლებელი სულის“, – ჩვეულებრივ რომელიმე გამოჩენილი მიცვალებულის ან ერთ-ერთი დამსწრეთაგანის გარდაცვალებული ნათესავის „სულის“ სახელით“.³

მსგავსი ქმედება გვხვდება ხევსურეთში, რომელიც დაწვრილებით აქვს აღწერილი მეღანია ბალიაურსა და ნიკო მაკალათიას ნაშრომში – „მიცვალებულის კულტი არხოტის თემში“. როგორც იკვეთება, აღნიშნული რიტუალი მისტერიული ხასიათისაა, სადაც ხდებოდა ქალების შეკრება მიცვალებულისათვის განკუთვნილ ტაბლაზე, ალკოჰოლის მიღება და ხმით ტირილი.

„ხმით მოტირალის ტირილი ძალიან განსხვავდებოდა სხვების ტირილისაგან. ხმით ტირილი ყველას არ შეეძლო. ქალს რომ ხმით ტირილი დაეწყო, – უნდა „ატეხა“ ტირილი ისე, რომ ვითომ მას ძალაუვნებურად „მკვდარი ატირებდნენ“. სანამ მკვდარი დაუმარხავი იყო, ხმით ტირილის ახლად „ატეხა“ არ შეიძლებოდა, მაშინ ძველი ხმით მოტირლები ტიროდნენ. ხმით ტირილის პირველად ატეხა „ტალავართაზედ“ იცოდნენ, ტაბლის და სასმელების შემდეგ, განსაკუთრებით „საქნარში“, რადგან ქალები ლუდით და არყით ითვრებოდნენ. „ტალავართაზედ“ ქალების ტირილის დროს ვისაც ხმით ტირილის „ატეხა“ უნდოდა, დაიწყებდა ცახცახ-კანკალს, თავს აქეთ-იქით აქნევდა, იწყებდა ბარბაცს, ხელების ფშვნეტას, კბილების ღრჭენას; ვითომ სიტყვებს ვერ ამბობდა, არ უნდოდა, ხან მოქანცული მიესვენებოდა. როცა მოტირალი ქალები ამას შეამჩნევდნენ, ყველანი გაჩუმდებოდნენ და ელოდნენ, თუ რას ათქ-

² ბალიაური, მაკალათია, კულტი, ტ. III, 1940, გვ. 61.

³ ვასილიევი, მოვლენები, 1966, გვ. 41.

მეკინებდა მოტირალს მიცვალეზულის სული. ტირილის ამტეხი კი მეტად წვალობდა, ღმუილს დაიწყებდა, ხან გასაქცევად დაემზადებოდა, ქალები დაიჭერდნენ და ეტყოდნენ: „ქალო გამაილე ენა ნუ აწვალე, ნუ უტერ კბილთ, ანაბრივ შენ უნდისარ თავის მეენედ“. ასეთი სურათი რამდენჯერმე გამეორდებოდა, მიცვალეზულისათვის სახელს დასდებდნენ ყანწით არაყს, ლუდს და თუ სასმელი არ იყო „პურსატანთ“. სახელის მდები ქალი იტყოდა: „სადაც შენ ხარ (მიცვალეზულის სახელს იტყოდა), შენიმც სახმარი ას, ნუ აღონებ, გამაატანი ენაი შენს მეენეს“.

ამის შემდეგ ქალიც ამოიღებდა ხმას. პირველად მიცვალეზულის ენით დაიწყებდა ლაპარაკს. მაგალითად: „აძრახდი ჩემო მეენეო, ნუ დამაღონე სულეთიჩაო, ჩამიდევ წილი ტირილჩაო, მე შენ მინდისარ მეენედაო...“.⁴

ქალები თავად ეპატიჟებოდნენ ხმით მოტირლებს, მრავალგზის დაპატიჟების გარეშე, იგი არ იტირებდა. მოტირალის ტირილი მის იმპროვიზაციას ეყრდნობოდა, რადგან ყოველი მათგანი თავისებურად ტიროდა და ტექსტსაც თავისას ამბობდა.

„ხმით მოტირალს“ ტირილის დროს ჯოხი ან მიცვალეზულის ხანჯალი ეჭირა ხელში. ტირილის დროს ის თვალეზს ხუტავდა და ჯოხს (თუ ხანჯალს) ორივე ხელით ებჯინებოდა. ჯოხს ან ხანჯალს შუბლზე მიიდებდა, დაიქვითინებდა, მერე თავს მაღლა ასწევდა, სიტყვას იტყოდა, ისევ შუბლზე მიიდებდა, რაც ხელში ეჭირა და დაიქვითინებდა. ხმით ტირილის დროს ყველა გაჩუმებული იყო, არავინ არ ტიროდა ხმამაღლა; ხოლო როდესაც ხმით „მოტირალი“ ყოველი სიტყვის შემდეგ დაიქვითინებდა, მაშინ სხვა მოტირალი ქალებიც დაიქვითინებდნენ. ...ხმით მოტირალი როცა ტირილს გაათავებდა, თუ ხანჯალი ეკავა ხელში, იქ დადებდა, საიდანაც აიღო, თუ „მანდილის კანჭი“ ეკავა ხელში მანდილს გაისწორებდა“.⁵

თუ ზემოთ მოყვანილ აღწერას დავაკვირდებით, შეგვიძლია მკაფიო პარალელების გავლება ტრადიციული ფორმით ნაცნობ ქადაგობის რიტუალსა და „ტალავართ აღებასთან“:

1. ქმედების ფუნქციონალობა;
2. „რჩეულობის“ ინსტიტუტი;
3. ქადაგი ქალის ფსიქოლოგიური ასპექტი - „დატერილი“;

⁴ ბალიაური, მაკალათია, მიცვალეზულის, ტ. III, 1940, გვ. 39.

⁵ იქვე, გვ. 40.

4. ქადაგის ქცევის მახასიათებლები;
5. რიტუალის სამემსრულებლო ფორმა.

რიტუალის ფუნქციური დატვირთვის შესახებ ზემოთ მოკლედ აღვნიშნეთ – სხვა სამყაროში მყოფ სუბიექტთან კავშირის დამყარება კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით და მისი ნება-სურვილის სააქაოსთვის გაცხადება.

რელიგიური რიტუალის შემსრულებელს რომ განსაკუთრებული უნარები უნდა გააჩნდეს, ქალთა ყველა სახის საცეკვაო მისტერიაში იკვეთება. ზოგადად, განსაკუთრებით წარმართულ საწესრევულებო ქმედებებში, თვალშისაცემია გამორჩეული უნარების მქონე „პერსონა“ – თეთრი გიორგის რიტუალში ხატის რჩეული „მონა ქალი“, ბატონების რიტუალში სპეციალურად მოწვეული მებოდიშე, ლაზარობის რიტუალში ქალიშვილის შერჩევა, ამ შემთხვევაშიც ადგილი აქვს გამორჩეული უნარების მქონე ქალს, რომელსაც „მეწენე“ ან „მესულთანე“ ეწოდება. მსგავსი სახის ქმედებები გვხვდება უძველეს რელიგიებში შამანობის სახით.

აღნიშნულ საკითხს ზოგად-რელიგიურ კონტექსტში განიხილავს ნუნუ მინდაძე: „როგორც ცნობილია, შამანობა რჩეულობის ინსტიტუტის ყველაზე ადრინდელ საფეხურადაა მიჩნეული. მისთვის დამახასიათებელია როგორც სულის შესახლება, ისე სულის მიერ შამანის სხეულის დატოვება, შამანის სულის მოგზაურობა“.⁶ მინდაძის განმარტებას თუ დავეყრდნობით, აშკარაა, რომ ქადაგობის ეს სახეობა არქაული ბუნებისაა. პირველ კომპონენტს პირდაპირ პასუხობს ბალიაურის აღწერა, რომელშიც ნათქვამია, რომ „მეწენე“ გარდაცვლილის ენით ლაპარაკობს, რაც სხვა არაფერია, თუ არა მასში სულის შესახლება. რაც შეეხება შამანის სულის მოგზაურობას, ამ ნაწილშიც პირდაპირი პარალელის გავლება შეგვიძლია, რადგან მეწენე სულეთში მოგზაურობს.

მისნურ რიტუალში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ქადაგი ქალის ფსიქოლოგიური ასპექტები, რასაც უდიდესი გავლენა აქვს საცეკვაო პლასტიკაზე და „შემსრულებლის“ ქცევის ხასიათზე. თუ დავაკვირდებით „ხატის მონობასა“ და „ტალავართ აღებას“, მათ ამ კომპონენტში მნიშვნელოვანი გადაკვეთის წერტილი გააჩნიათ.

⁶ მინდაძე ნ., ქადაგობის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის ტ. XXIII, „მეცნიერება“ თბ., 1987, გვ. 179-180.

„თეთრი გიორგობის“ დღესასწაულზე ქადაგი ხატის დაჭერილია, ხოლო „ტალავართ აღებაზე“ მას მკვდართა სულები „იჭერენ“.

